შედგა, არ შედგა?! საკითხავი აი, ეს არის! A2

სტილი B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 2 დეკემბერი, 2002 წელი. №183

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### კარგი გაკვეთილი და „გენერალური მოთელვა„ „ნაციონალისტებისთვის„

*ნამცხვარი, კონიაკი, ყავა და მოსალოდნელისგან აბსოლუტურად განსხვავებული რეაქცია დაახვედრეს გუშინ ჟურნალისტებს "ნაციონალისტების" ოფისში. მიხეილ სააკაშვილი ირწმუნებოდა: 30 ნოემბერს დადასტურდა, რომ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია.*

A2

## ეკონომიკა

### მძარცველთა სინდიკატი იმერეთში -მოსახლეობას გროშებიც კი არ ხვდება

*სახელმწიფო მინისტრის გუშინდელი სტუმრობა ჭიათურმანგანუმის ხელმძღვანელებს შეიძლება თანამდებობების დაკარგვის ფასად დაუჯდეთ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებს კი ავთანდილ ჯორბენაძის ვიზიტის შედეგად ხელფასების ასი პროცენტით გაზრდის შანსი მიეცათ. სახელმწიფო მინისტრი საწარმოო ობიექტების მონახულების შუალედებში, "მოქალაქეთა კავშირის" ადგილობრივ ორგანიზაციებს დახურულ კარს მიღმა ხვდებოდა.*

A4

## უცხოეთი

### რუსეთი საზღვარგარეთ ახალ სამხედრო ბაზას ხსნის

*სულ ახლო მომავალში ბიშკეკის ახლოს მდებარე კანტის სამხედრო ბაზაზე რუსულ სამხედრო და სატრანსპორტო თვითმფრინავებს გადაისვრიან. მათ შორისაა ხუთი სუ-27, ხუთი სუ-25, ან-26 და ილ-76 სატრანსპორტო თვითმფრინავები, და მი-8 ტიპის შვეულმფრენები.*

A5

## საზოგადოება

### შიდსზე საუბრისას წითლდებიან...

*შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებდა შიდსის თემაზე კონკურსს ორ ნომინაციაში. კონკურსის თანახმად, თბილისის 100-ზე მეტ უფროსკლასელ მოსწავლეს შიდსის თემაზე პლაკატი და ესსე უნდა შეექმნა.*

A6

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 9 |
| ქუთაისი | 15 |
| ბათუმი | 17 |
| სოხუმი | 14 |
| ფოთი | 17 |
| თელავი | 7 |
| ზუგდიდი | 16 |
| გორი | 6 |
| ახმეტა | 8 |
| ქიათურა | 9 |
| გაგრა | 13 |
| სამტრედია | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1750 |
| ევრო | 2.1533 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3976 |
| რუბლი | 0.0683 |

# ბი-პი-ს მაინც დაუთმეს

## ხელისუფლება დღეს თავის "ლეგენდას" შემოგვთავაზებს



*შუაღამისას ჭორბენაძემ ჩხობაძე პრეზიდენტთან წაიყვანა*

*წუხელ საღამოს ცხრა საათიდან გარემოს დაცვის მინისტრთან ნინო ჩხობაძესთან დახურულ კარს მიღმა საგანგებო თათბირი დაიწყო, რომელსაც თანდათანობით შეუერთდნენ ჯერ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე და ბი-პი-ს წარმომადგენლები. დაახლოებით ღამის პირველის ნახევრისთვის თათბირმა, მამუკა ხაზარაძის გარეშე, კანცელარიაში, პრეზიდენტთან გადაინაცვლა და მას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის პრეზიდენტი, ბი-პი-ს აზერბაიჯანის ოფისის ხელმძღვანელი დევიდ ვუდვორდი შეუერთდა. ორი საათის შემდეგ კი მოთათბირენი ისევ ნინო ჩხობაძის კაბინეტს დაუბრუნდნენ და მსჯელობა ღამის ოთხ საათამდე განაგრძეს.*

მიუხედავად იმისა, რომ თათბირი გარემოს დაცვის სამინისტროშიც და კანცელარიაშიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, დაძაბულობა დერეფანშიც აღწევდა. როგორც გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ სოსო ცაბაძემ "24 საათს" განუცხადა, საუბარი სამინისტროს მიერ ბი-პი-სთვის წარდგენილ პირობებს ეხებოდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ბი-პი-ს თავისი პრეტენზიები ჰქონდა, ვინაიდან ის პირობები, რომლებიც სამინისტრომ მილსადენის ოპერატორ კომპანიას წარუდგინა, მას ალტერნატიული მარშრუტის ძიებას აიძულებდა. როგორც "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, **"სამინისტრომ უკვე მოწერა ხელი თავის დასკვნას, რომელიც კორექტული და, ბორჯომის**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ჩვენი ხელისუფლება სწორხაზოვნად მსჯელობს

### ნავთობსადენი მისი ერთადერთი და ბოლო იმედია

*როდესაც ეს ინტერვიუ იწერებოდა, ცნობილი იყო, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ბორჯომზე არ გაივლიდა – ეს თემა გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. მართალია, სახელმწიფო კანცელარია აქტიურად ცდილობდა იმ ხალხის უკან, რომელიც ამ დღეებში ბორჯომის დაცვას ითხოვდა, რუსეთის აგენტები დაენახა, მაგრამ საზოგადოებრივმა აზრმა მაინც თავისას მიაღწია. არავინ კამათობს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის უზარმაზარ მნიშვნელობაზე, მაგრამ საკამათო არც ბორჯომის მნიშვნელობაა. ხელისუფლება მზად იყო, საუკუნის დიდი პროექტისათვის ბორჯომი შეეწირა. რადგან პრობლემები ამ ხეობაში მაშინ იჩენს თავს, როცა დღევანდელი ჩინოვნიკები ამ ქვეყნის სათავეში უკვე აღარ იქნებიან. რაც შეეხება ნავთობსადენს, ის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იმ ხელისუფლებისთვის, რომლისთვისაც ბაქო-ჯეიჰანის პროექტის დაწყება ერთადერთი წარმატებაა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე. სამაგიეროდ, ბორჯომი გაცილებით ძვირფასი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის. საზოგადოებრივმა აზრმა კი გუშინ ბი-პი-ც აიძულა, დათმობაზე წასულიყო. რამდენად რეალური იქნება ეს დათმობა, უახლოეს ხანში გამოჩნდება.*

"როცა საზოგადოების მხრიდან მოთხოვნა არის კონკრეტული და დასაბუთებული,მაშინ საზოგადოებრივი აზრი, როგორც წესი, დიდ გავლენას ახდენს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაზე," – ამბობს "24 საათის" სტუმარი, პოლიტოლოგი **გია ნოდია**.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ხელოვნურად შექმნილი ენერგოქაოსით ჩინოვნიკები მილიონებს შოულობენ

მაია ურუშაძე

*ენერგეტიკული კრიზისის გამო დამნაშავეთა დასჯა ხელისუფლებამ დიდხანს წელა და უშუქობით გაწამებულ საზოგადოებას "განტევების ვაცები", სწორედ, იმ დროს "მიართვა", როცა ზამთრის ელექტროდეფიციტმა პიკს მიაღწია. თუმცა, მოლოდინის წინააღმდეგ, განტევების ვაცებად ისევ ის წვრილი ენერგოჩინოვნიკები იქცნენ, რომელთა "საქმეებიც" ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ ჯერ კიდევ ზაფხულში დაუდო წინ პროკურატურას.*

რაც შეეხება კომისიის უფრო "მსხვილ" საქმეებს, მათ სამართალდამცავთა მხრიდან ხმაურიანი რეაგირება კი მოჰყვა, მაგრამ ხმაური ხმაურად დარჩა და კომისიის მიერ წარდგენილ მასალათა უმრავლესობას პროკურატურის მხრიდან ლოგიკური გაგრძელება – სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა - არ მოჰყოლია.

გაგრძელება A4 გვერდზე

## კანდელაკი გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება

B7




*კანდელაკი მინსკში მიემგზავრება*

## „მესამე სექტორის„ ვერდიქტი - ხელისუფლებას არჩევნების საბოტაჟი სურს

თამარ ასათიანი

*დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურად გამოაცხადებს 30 ნოემბერს ოთხ საარჩევნო ოლქში გამართული არჩევნების შედეგებს. თუმცა, წინასწარი ინფორმაცია უკვე ყველასთვის ცნობილია – თბილისის საბურთალოს რაიონსა და რუსთავში არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდება, ხოლო სამტრედიასა და აბაშაში გამარჯვებულებად, შესაბამისად, ავთანდილ თევზაძე და თენგიზ კალანდაძე დასახელდებიან. თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ოთხივე რაიონში არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდნენ, დარწმუნებით აცხადებენ, რომ 30 ნოემბერს არჩევნები საკმაოდ სერიოზული დარღვევებით წარიმართა და შეშფოთებას გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ "ხელისუფლება და ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარების შეგნებულ საბოტაჟს ეწევა".*

ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდნენ, მთელი დღის მანძილზე ავრცელებდნენ ინფორმაციებს საარჩევნო უბნებზე აღმოჩენილი დარღვევების თაობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პლანეტა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სტილი B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## კარგი გაკვეთილი და „გენერალური მოთელვა" „ნაციონალისტებისთვის"



ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ნაციონალებმა" წარუმატებლობა "ტკბილად" აღნიშნეს...

*ნამცხვარი, კონიაკი, ყავა და მოსალოდნელისგან აბსოლუტურად განსხვავებული რეაქცია დაახვედრეს გუშინ ჟურნალისტებს "ნაციონალისტების" ოფისში. მიხეილ სააკაშვილი ირწმუნებოდა: 30 ნოემბერს დადასტურდა, რომ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია.*

თამარ ხორბალაძე

გუშინ სააკაშვილი ორიგინალურად გამოხატავდა თავის განწყობას. მისი თქმით, შაბათის გაბრაზებამ გადაუარა, კვირას კარგად დაფიქრდა და აღმოაჩინა, რომ კმაყოფილია არჩევნების შედეგებით.

**"ზვიად ძიძიგურს საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ჰქონდა 3000 ლარი, საბოლოო ჯამში, სულ 6000 ლარი დახარჯა... მისმა მოწინააღმდეგემ კი დახარჯა 100000 დოლარი. ამასთან, მის მხარეს იყო არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ყველა სხვა პარტიაც... ზვიად ძიძიგურმა ორი კვირის მუშაობის შედეგად მოახერხა, რომ მისი თავდაპირველი რეიტინგი - 1500 ხმა 13000 ხმამდე აეყვანა. ხელისუფლებას კი ყველა თავისი რეზერვი ამუშავებული ჰქონდა. ეს ნიშნავს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ჩვენ იმ 600-ხმიან სხვაობას, რომლითაც ძიძიგურმა არჩევნები წააგო, წარმატებით ავკრეფთ..."** - ამბობს სააკაშვილი არჩევნების მეორე დღეს და საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ სამტრედიაში - "გაერთიანებული დემოკრატებიც", "ახლებიც" და სხვა ოპოზიციური ძალებიც თევზაძის მხარდასაჭერად მუშაობდნენ.

**"ვფიქრობ, რომ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ცენტრის დაუკითხავად მოქმედებდნენ სამტრედიაში. არ მგონია, მსგავსი დირექტივა გაეცა ზურაბ ჟვანიას, რომელმაც ამდენი გააკეთა, რომ ზვიად ძიძიგურის კანდიდატურა არ მოეხსნათ არჩევნებიდან..."** – აცხადებს ის, თუმცა იქვე აღნიშნავს, - **"ჩვენ მარტონი აღმოვჩნდით ხელისუფლების წინაშე. მარტო აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც გაბედა ამ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურების წამოყენება..."**

საბურთალოს ოლქთან დაკავშირებით სააკაშვილი ირწმუნება, რომ მოსახლეობის დაბალი აქტივობა სიების "გაბერვით" არის გაპირობებული. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს დაურიგეს საბურთალოს არჩევნების შედეგები, რომელთა მიხედვითაც საარჩევნო ყუთთან მისული ამომრჩევლის 59,3 პროცენტმა ხმა გივი თარგამაძეს მისცა, "მოქალაქეთა" და "სოციალისტთა" გაერთიანებულმა კანდიდატმა თემურ გოცაძემ კი ამ საარჩევნო ხმების 31,8 პროცენტი მიიღო.

სააკაშვილისთვის მნიშვნელოვანია, რომ მიღწეულია მთავარი შედეგი: **"ხელისუფლება ვერ ახერხებს ბიულეტენების ყუთებში ჩაყრას".** ყველა სხვა წინაღობის გადასალახავად კი იგი საშემოდგომოდ ძალების მაქსიმალურად მობილიზებას აპირებს: **"ჩვენ ვაყალიბებთ ძლიერ ადგილობრივ ორგანიზაციებს. სპეციალურად გვყავდა ჩამოყვანილი წარმომადგენლები სხვა რეგიონებიდანაც - არჩევნების დამკვირვებლებად."**

და მაინც, "ნაციონალთა" ლიდერის აზრით, **"თუ არ მოხდა ოპოზიციური ძალების კოორდინირება, ძალზე ძნელი იქნება ბრძოლის მოგება... ფული ყველგან ანათებს, მათ შორის - ოპოზიციის შიგნითაც..."**

და ბოლოს: სააკაშვილი 30 ნოემბრის არჩევნებს, გენერალურ მოთელვასთან ერთად, კარგ გაკვეთილს უწოდებს.

## „მესამე სექტორის" ვერდიქტი - ხელისუფლებას არჩევნების საბოტაჟი სურს

პირველი გვერდიდან

გუშინ კი ამ ორგანიზაციებმა "სამართლიანი არჩევნების" ოფისში პრესკონფერენცია გამართეს, სადაც კიდევ ერთხელ მიუთითეს იმ დარღვევებზე, რომელიც კენჭისყრის დღეს გამოვლინდა.

**"30 ნოემბრის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარებასთან დაკავშირებით საზოგადოების ღრმა შეშფოთებას სერიოზული საფუძველი აქვს. არჩევნები კვლავ მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა, რაც არყევს მოქალაქეთა ნდობას საარჩევნო პროცესის მიმართ. არჩევნების სამართლიანად ჩატარების საფრთხეს, პირველ რიგში, საარჩევნო სიების გაუმართაობა ქმნის, რამაც განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი ადგილობრივ არჩევნებში. არასამთავრობო ორგანიზაციათა და პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, შესაბამისმა საოლქო კომისიებმა ექვსი თვის განმავლობაში არ უზრუნველყვეს სიების დაზუსტება, რითიც მნიშვნელოვნად შეიზღუდა მოქალაქეთა უფლებები",** - ნათქვამია "სამართლიანი არჩევნების" მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში. ამ პათოსს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც უერთდებიან.

მაგალითად, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი გიგა ბოკერია აცხადებს, რომ, **"არასამთავრობოთა კოალიცია დღეიდან დაიწყებს საკმაოდ აგრესიულ კამპანიას დიდი ხმაურისა და ისტერიკის ფონზე, რათა ეს პრობლემა, რაც შეიძლება, სწრაფად გადაწყდეს".** ამ პრობლემამ, ბოკერიას აზრით, შესაძლოა, მთელი სიმწვავით იჩინოს თავი მომავალი საპარლამენტო არჩევნების დროს და ამით ხელისუფლება აშკარა საბოტაჟზე წავიდეს – ერთი მხრივ, უსაშველოდ გაბეროს ამომრჩეველთა სიები და მეორე მხრივ, შეგნებული ბარიერი შეუქმნას არჩევნებზე მისულ ამომრჩეველს, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სიებში საკუთარ მონაცემებს ვერ აღმოაჩენს.

როგორც ბოკერია აცხადებს, საერთაშორისო დონორები მზად არიან, ხელისუფლებას ამომრჩეველთა სიების დადგენასა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტექნიკურ უზრუნველყოფაში დაეხმარონ.

არჩევნების მიმდინარეობით საკმაოდ შეშფოთებულები იყვნენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე თინა ხიდაშელი და "კავკასიური ინსტიტუტის" დირექტორი გია ნოდია. მათი შეშფოთება, განსაკუთრებით, ამომრჩეველთა პასიურობით იყო გამოწვეული, რაც **"ისევ ხელისუფლების ინტერესებში შედის".**

ერთადერთი რაიონი, რომელიც 30 ნოემბერს ამომრჩეველთა პასიურობას ნამდვილად არ უჩიოდა, აბაშა აღმოჩნდა. როგორც "სამართლიანი არჩევნების" დირექტორმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, **"იქ კომუნისტური ხანა დაბრუნდა. აბაშის ექსპერიმენტი, რაც აბაშის აჭარიზაციით გამოიხატება, საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს. აჭარის მსგავსად, იქ ამომრჩეველთა აქტიურობამ სხვადასხვა უბანზე 97, 98, და 100 პროცენტიც კი შეადგინა".**

გუშინვე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საფუძველი ეყრება ახალ კოალიციას, რომლის წევრი ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ არ მისცენ ხელისუფლებას არჩევნების საბოტაჟის შანსი. თუმცა, კონკრეტულად რა ფორმას მიიღებს არასამთავრობოთა ერთობა, ჯერჯერობით, დაზუსტებული არ არის.

ბოლოს, საინტერესო დეტალი - საბურთალოს საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე ზურაბ სვანიძე, საბურთალოს რაიონში არჩევნების ჩაშლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ამომრჩეველთა სიების მოუწესრიგებლობას მიიჩნევს, რაშიც იგი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ადანაშაულებს. ჟურნალისტებთან საუბრისას იგი თითქმის ეხმიანება არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების პათოსს და აცხადებს, რომ, **"არჩევნები დღემდე 1983 წელს შედგენილი სიებით ტარდება, რაც საარჩევნო კომისიას დიდ პრობლემას უქმნის."** სვანიძის თქმით, იგი თავად აპირებს, მონაწილეობა მიიღოს საბურთალოს რაიონის მოსახლეობის ხელახალ რეგისტრაციაში, **"რათა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ზუსტი სიები მომზადდეს".**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

არასამთავრობო სექტორი არჩევნების შედეგებით შეშფოთებულია

## აშშ-ში საქართველოთი დაინტერესება იზრდება

საქართველოში აშშ-ს ხელისუფლების წარმომადგენლების გახშირებული ვიზიტები აბსოლუტურად შეესაბამება იმ ინტერესს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მიმართ უკვე საკმაოდ ნათლად გამოხატავს.

ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის მიმდინარე პროცესის გაცნობა, ენერგეტიკის საკითხების განხილვა გახდა გუშინ საქართველოში ამერიკელი კონგრესმენების - კურტ უელდონის, როსკო ბარლეტის და სენატორ ქოლრათ ბერნსის ჩამოსვლის მიზეზი.

საინტერესოა, რომ დელეგაციასთან "იტერა ინტერნეიშენელის" წარმომადგენელი ახლავს.

გუშინ დელეგაციის წევრები შეხვდნენ აშშ-ს სავაჭრო პალატის წევრებს, გუშინვე შედგა შეხვედრა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანთან, თედო ჯაფარიძესთან. დღეს კი იწყება ოფიციალური შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან...

ამერიკელი კონგრესმენები და სენატორი მოინახულებენ კრწანისის საწვრთნელ ბაზასაც.

**"24 საათი"**

## შედგა, არ შედგა?! საკითხავი აი, ეს არის!

*იმპერატორმა კალიგულამ სენატს საკუთარი ცხენი ინციტატუსი ჯერ სენატორად, ხოლო შემდეგ კონსულად აარჩევინა. როცა ახლადარჩეულმა "კონსულმა" სენატის სხდომაზე დაიჭიხვინა, კალიგულას აღმოხდა: "ძლივს არ გავიგონე ერთი ადამიანური ხმა ამ სენატში!"*

მაია მოსიაშვილი

თუ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, კალიგულას დროინდელ სენატამდე ჩვენს პარლამენტს აღარაფერი დააკლდება. მით უფრო, რომ საქართველოს მოსახლეობის ინდიფერენტულობა არჩევნებისადმი დღითიდღე იზრდება. 30 ნოემბრის არჩევნების წინა რუსთაველების უმრავლესობა აცხადებდა, რომ ისინი კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას არ აპირებდნენ და არჩევნები მათ გარეშეც მშვენივრად ჩატარდებოდა. კენჭისყრის დღეს ხალხის სიმწირე საარჩევნო უბნებზე ყველასთვის თვალშისაცემი ფაქტი იყო. მრავალარჩევნებნახული "სამართლიანი არჩევნებისა" და "ენ-დი-აი"-ს მონაცემებით (მათ ყველა უბანზე ჰყავდათ დამკვირვებლები), რუსთავში ამომრჩეველთა მთელი რაოდენობის მხოლოდ 13,5 პროცენტი მივიდა.

რუსთავის საარჩევნო უბნებზე სიტუაცია 20 საათისათვის დაიძაბა, იყო უამრავი გარეთ გამოყრილი დამკვირვებელი, ხოლო უბნებზე დარჩენილები სიტყვიერ შეურაცხყოფასა და კანონდარღვევებს შეძლებისდაგვარად ითმენდნენ.

რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიაში უბნებიდან ოქმების შემოსვლა დილის ექვს საათამდე გრძელდებოდა. ნეიტრალური და არანეიტრალური დამკვირვებლები ერთხმად საუბრობდნენ უამრავ და უხეშ კანონდარღვევაზე, მაგალითად, ორ უბანზე ყველას თვალწინ, ყუთის გაუხსნელად, მოგონილი ციფრი ჩაიწერა ოქმში; რამდენიმე უბანზე კომისიამ ძირითად ამომრჩეველთა რაოდენობა 300-400-ით შეამცირა პროცენტული მაჩვენებლის ასაწევად; მეორეგან ყველას თვალწინ 200-300 ბიულეტენი ჩაყარეს ყუთში; უმეტეს უბნებზე ყველა დამკვირვებელი გარეთ გამოყარეს და ოქმები ჩაკეტილ კარს მიღმა დაიწერა და ასე შემდეგ.

"სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელი ნუგზარ კუპრეიშვილი აცხადებს, რომ რუსთავში არჩევნები არ ჩატარდა და კენჭისყრაზე მოსახლეობის 10-12 პროცენტი მივიდა.

"თუ საოლქო საარჩევნო კომისია დაასკვნის, რომ არჩევნები შედგა, მაშინ ჩვენ მათ სასამართლოში შევხვდებით და შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ რუსთავში არჩევნები არ ჩატარებულა. საოლქო კომისიაში ჩვენი მხრიდან თითქმის ყველა უბანი გასაჩივრდება. დარღვევები დღის განმავლობაში არ იყო, თუმცა საღამოს იგივე მოხდა, რაც რამდენიმე თვის წინ თვითმმართველობის არჩევნებზე - ჩაიყარა ზედმეტი ბიულეტენები და მოხდა ხელმოწერების ფალსიფიცირება," - განუცხადა "24 საათს" ნუგზარ კუპრეიშვილმა. არჩევნების ბათილობის მოთხოვნით სასამართლოში ჩივილს აპირებს "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტიც", რომლის წარმომადგენლებმა "სამართლიან არჩევნებთან" ერთად გუშინ საღამოს საჩივრები შეიტანეს საოლქო საარჩევნო კომისიაში. საღამოს იმიტომ, რომ დღის განმავლობაში კომისიის ოთახში მხოლოდ ორი პოლიციელი იჯდა პატიოსნად, კომისიის ყველა წევრს გამორთული ჰქონდა მობილური და არც სახლში იმყოფებოდა.

საოლქო კომისიაში საღამოს 8 საათისთვის კანდიდატების გვალიასა და ომანიძის მხრიდანაც შევიდა საჩივრები. ორივე კანდიდატი აცხადებს, რომ არჩევნები არ შედგა და ის ტოტალურად გაყალბდა.

შედგა თუ არ შედგა არჩევნები რუსთავში? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთ ადამიანს - კანდიდატ როლანდ მგალობლიშვილს აქვს. "ჩვენ გვაქვს ოქმები ყველა უბნიდან, რომელთა მიხედვით არჩევნებზე 26 000 ადამიანი მივიდა, ეს 34 პროცენტია და ესე იგი, ის შედგა. ჩემი ყოფილი კონკურენტები საწინააღმდეგოს იმიტომ აცხადებენ, რომ მათ წააგეს," - განუცხადა "24 საათს" როლანდ მგალობლიშვილმა.

რადგან რუსთავის საოლქო კომისიის წევრები უჩინმაჩინებად იქცნენ, "24 საათი" ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილეს გია ზესაშვილს დაუკავშირდა. იმ დროისათვის ცესკო-ს, რუსთავის გარდა, მონაცემები ყველა ოლქიდან ჰქონდა მიღებული. "ჩვენი ინფორმაციით, რუსთავში გარკვეული პრობლემებია," - გვითხრა ზესაშვილმა, თუმცა, ნათქვამის დაკონკრეტება ველარ შესძლო.

"ამ დროისათვის რუსთავიდან ინფორმაცია არ გვაქვს. რა ხდება ვერ გეტყვით, წინასწარ ძნელია თქმა, მაგრამ, როგორც ჩანს, იქ საეჭვო რაღაცეები ხდება. ვნახოთ, რა დოკუმენტაცია და საჩივრები ჩამოვა ჩვენამდე," - განაცხადა მან.

იმ შემთხვევაში, თუ რუსთავში არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდება, საარჩევნო კოდექსის თანახმად, მეორე ტური აღარ დაინიშნება და რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატის სკამი მომავალ შემოდგომამდე ცარიელი დარჩება.

## მომავალ ფავორიტებს ბევრი რამ ექნებათ გადასანაწილებელი

ბადრი კოპლატაძე

"მოქალაქეთა კავშირის" და "სოციალისტების" წინასაარჩევნო ალიანსი პირველი ნიშანი აღმოჩნდა იმ პროცესისა, რომელსაც შეიძლება, ვუწოდოთ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის კანცელარიის მზადება. უკვე ფაქტია, რომ არ და ვეღარ გამეორდება წინა არჩევნების სცენარი, რომელიც განვითარდა, როდესაც ორი სახელისუფლო ბლოკის დაპირისპირებამ შთანთქა ყველა დანარჩენი პოლიტიკური ძალა.

თავის დროზე, ვიდრე ავთანდილ ჯორბენაძე მოქკავშირს ჩაუდგებოდა სათავეში, არსებობდა ალტერნატიული გზა - შექმნილიყო ახალი მრავალპარტიული გაერთიანება, რომელიც თავისუფალი იქნებოდა წარსულის მძიმე ცოდვებისაგან, რაც უზრუნველყოფდა მანამდე ოპოზიციურად წოდებული პარტიების სახელისუფლო ორბიტაზე უმტკივნეულო გადასვლას. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო სახელმწიფო მინისტრისათვის, რადგან მას თავისუფლად მოქმედების ბევრად ფართო არეალი ექნებოდა. მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ სხვაგვარად განსაჯა. მან მაშინაც არ უღალატა ტრადიციას და ახლად დანიშნულ ჯორბენაძეს არ მისცა სრული კარტბლანში, შემოსაზღვრა რა მისი სამოქმედო ზონა მოქკავშირით. ამან თავის დროზე ჯორბენაძეს პარტიებთან მოლაპარაკებებში პრობლემები შეუქმნა, რადგან სახელგატეხილ მოქკავშირთან ურთიერთობა ყველამ წამგებიანად მიიჩნია. გამონაკლისი ვახტანგ რჩეულიშვილი აღმოჩნდა, რომელმაც მომენტალურად გადაინაცვლა ბათუმური "ნავიდან" კანცელარიის "ხომალდში". თანაც იქვე მიანიშნა, რომ უახლოეს მომავალში ამ ალიანსს კიდევ სხვა ძალები შეუერთდებიან. ამიტომაც ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვის ინტერესში უფრო შედის ასეთი ტიპის გაერთიანების შექმნა - შევარდნაძის, ჯორბენაძის თუ "სოციალისტების" მსგავსი პოლიტიკური ძალების?

რჩეულიშვილის ინტერესი აშკარაა. ბოლო არჩევნებმა აჩვენა, რომ "სოციალისტებს", ისევე როგორც იმ პარტიებს, რომელთა პარტნიორობაზეც ის მინიშნებებს აკეთებს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, მარტო გამოსვლის შემთხვევაში, ფაქტობრივად, არანაირი შანსი არა აქვთ. მათ მიერ მიღებული პროცენტები იმის დასტურია, რომ ე.წ ლოკომოტივის გარეშე გარანტირებული პოლიტიკური სიკვდილი ელით. აქედან გამომდინარე, მათი ეს ნაბიჯი ტრაგიკული აღსასრულისათვის თავის არიდების მცდელობაა და არაფერი აქვს საერთო იმ რიტორიკულ არგუმენტაციასთან, რასაც საზოგადოებას სთავაზობენ.

მსგავსი სიტუაცია იყო წინა არჩევნების დროსაც, როდესაც თითქმის განწირული პარტიები მხოლოდ ასლან აბაშიძის ფრთებქვეშ მოხვედრამ იხსნა. იგივე ხდება ახლაც, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ რჩეულიშვილმა შევარდნაძის ორბიტაზე დაბრუნებით დიდი ხნის ოცნება აისრულა. "სოციალისტთა" ლიდერი, როგორც ჩანს, დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური სარგებლის მიღების შანსი მას კანცელარიისგან უფრო აქვს, ვიდრე ბათუმიდან. მით უფრო, რომ აბაშიძემ თავის დროზე მას პარლამენტის თავმჯდომარეობაზე პრეტენზიის გაცხადების საშუალებაც კი არ მისცა. აქედან გამომდინარე, რჩეულიშვილი კანცელარიის ფლანგზე თავისი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად აქტიურად იბრძოლებს.

მეორე საკითხია უკვე ის, თუ სახელმწიფო მინისტრისთვის რამდენად ხელსაყრელია ასეთი ტიპის ადამიანის თავის გუნდში გამოჩენა, მით უფრო, რომ, ჯერჯერობით, ჯორბენაძემ კანცელარიაში მთავარი კონკურენტის - ვანო ზოდელავას ჩამოცილებაც ვერ მოახერხა. ამ მიმართულებით არსებობს როგორც პლიუსები, ისე მინუსები. სავარაუდოა, რომ სახელმწიფო მინისტრი პარტიებთან გარიგებებით მასთან დაპირისპირებული ჯგუფების დაბალანსებას შეეცდება. გარდა ამისა, ჯორბენაძეს პარლამენტშიც სჭირდება პოლიტიკურ პაექრობაში გამოცდილი ადამიანები, რომლებიც მის ინტერესებს აქტიურად დაიცავენ. მიუხედავად მხარდაჭერისა, ჯორბენაძე ალბათ ბოლომდე არ არის დარწმუნებული სახელისუფლო ფრაქციების ლიდერებში. ის რომ არც ვიტალი ხაზარაძე და არც ირაკლი გოგავა კონსულტაციების მიმდინარეობაზე ინფორმაციას არ ფლობდნენ, სწორედ ამაზე მეტყველებს.

მეორე მხრივ, დღესვე იკვეთება, რომ მოქკავშირის თუ მასთან დაკავშირებული ბლოკის საარჩევნო სია საკმარისზე მეტად მრავალფეროვანი იქნება, ანუ მასში სხვადასხვა სახელისუფლო, პარტიული და ბიზნეს ჯგუფების წარმომადგენლები გაერთიანდებიან. ასეთ მიდგომას თავისი მახასიათებელი ნიშანი აქვს. როგორც უახლოესმა წარსულმა აჩვენა, ეს ჯგუფები საბოლოოდ ფორმალური ლიდერის გარშემო თავს არ იყრიან. სხვა სიტყვებით, თუ მოქკავშირმა, ისევ მოახერხა არჩევნებში წარმატების მიღწევა, კრიტიკულ მომენტში სახელმწიფო მინისტრს შეიძლება, მხოლოდ იმ ადამიანთა იმედი ჰქონდეს, ვინც სიაში უშუალოდ მისი პროტექციით მოხვდება. თუკი მოქკავშირმა არჩევნებზე მარცხი განიცადა, რისი ალბათობაც საკმაოდ დიდია, ჯორბენაძე მარტოოდენ პატარა ფრაქციის ლიდერად მოგვევლინება. მოვლენების განვითარების ყველა შემთხვევაში დღევანდელ სახელმწიფო მინისტრს წინ საკმაოდ რთული გზა ელის.

თავის გარშემო განსხვავებულ ჯგუფთა კონცენტრაცია სრულიად მისაღებია პრეზიდენტ შევარდნაძისათვის, რომელიც სწორედ ამ დროს გრძნობს თავს ყველაზე კომფორტულად და სწორედ ამ დროს ახერხებს მაქსიმალურ თვითრეალიზებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პრეზიდენტი, მიუხედავად ყველაფრისა, თავს იკავებს ზოდელავას გადაყენებისგან, არ არის გამორიცხული, შევარდნაძე თავისივე ორბიტაზე ახალი დაპირისპირების წახალისებას შეეცადოს. ეს კი, თავის მხრივ, ხელსაყრელი იქნება უკვე შევარდნაძის გარემოცვისათვის, რომელსაც საშუალება ექნება, საჭიროების შემთხვევაში, ადრე დადებული ფსონი შეცვალოს.

საბოლოოდ ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად, შიდა კულუარული დაპირისპირება კანცელარიაში უფრო მეტად გამოკვეთილ სახეს მიიღებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტის დღევანდელ თუ მომავალ ფავორიტებს კიდევ ბევრი რამ ექნებათ ერთმანეთში გადასანაწილებელი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ჩვენი ხელისუფლება სწორხაზოვნად მსჯელობს

## ნავთობსადენი მისი ერთადერთი და ბოლო იმედია

პირველი გვერდიდან

**- როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა, რომ ბორჯომის საკითხი ასე გვიან გახდა აქტუალური. მაშინ, როცა საკმაოდ დიდი ხანია, ცნობილა იმის შესახებ, რომ ნავთობსადენი ამ ხეობაზე გაივლიდა. ამ მარშრუტზე მუშაობისას ხელისუფლებამ რატომ არ გაითვალისწინა ის პრობლემები, რომელიც ნავთობსადენის მიერ ბორჯომის გადაკვეთას მოჰყვებოდა?**

- ხელისუფლება ძალიან მოწადინებული იყო, ამ ნავთობსადენს საქართველოში გაევლო. ამიტომ ის შინაგანად მზად იყო, რომ ნებისმიერ პირობაზე დათანხმებულიყო. გარკვეული გამართლება ამასაც აქვს, რადგან ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენმა ჩვენთვის დიდი პოლიტიკური დატვირთვა მიიღო.

უფრო გასაკვირია, რომ მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ, როგორც უშუალოდ დაინტერესებულმა მხარემ, ამ საკითხის განხილვა უფრო ადრე არ დაიწყო, განგაში არ ატეხა.

მამუკა ხაზარაძე ამბობს, რომ ბი-პი-ს ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებული ჰქონდა. ეს ჩემთვის საკმაოდ არადამაჯერებლად ჟღერს, რადგან კონკრეტული მარშრუტი შეიძლება გვიან განისაზღვრა, მაგრამ ის, რომ ამ მილსადენს ბორჯომის ხეობაზე უნდა გაევლო, უკვე დიდი ხანია, ცნობილია.

ცოტა მიკვირს, თავის დროზე რატომ არ გამოიჩინეს მათ მეტი დაინტერესება და ეს პრობლემა საზოგადოების განსჯის საგანი არ გახადეს.

რაც შეეხება ამ კომპანიის ბოლოდროინდელ აქტიურობას, ამასთან დაკავშირებით ჩემი ვარაუდი მაქვს. ვფიქრობ, რომ ეს აქტიურობა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ხაზარაძე ეძებს პარტნიორებს - დიდ ტრანსნაციონალურ კომპანიებს. ხაზარაძეს უნდა, რომ ეს კომპანიები ბორჯომის ბიზნესში შემოიყვანოს, რათა "ბორჯომის" გლობალიზაცია მოხდეს და ის მსოფლიო ბაზარზე გავიდეს. მაგრამ, როგორც ჩანს (მამუკა ხაზარაძის ინტერვიუს თუ დავეყრდნობით), დასავლურმა კომპანიებმა ბორჯომზე ნავთობსადენის გავლის შემთხვევაში რისკების დონე შეაფასეს და ინვესტიციის ჩადებაზე უარი განაცხადეს.

ალბათ, უცხოელ კომპანიებთან კონტაქტებმა უფრო კარგად დაანახა მამუკა ხაზარაძეს ის საფრთხე, რასაც ნავთობსადენის ბორჯომზე გავლა გამოიწვევდა. ხოლო თუ ის ამ საფრთხეს მანამდე ხედავდა და მაინც ჩუმად იყო, ეს მაშინ უკვე გაუგებარია.

**- მაგრამ მამუკა ხაზარაძე კერძო ბიზნესმენია, სახელმწიფო ინტერესების დაცვა კი, პირველ რიგში, ხელისუფლებას ევალება. მართალია, გარემოს დაცვის სამინისტრომ ბოლო მომენტში პრინციპულობა გამოიჩინა, მაგრამ მას შეეძლო განგაში ამ საკითხზე უფრო ადრე აეტეხა.**

- ნინო ჩხობაძემ პრინციპული პოზიცია დაიკავა, რადგან საზოგადოებრივი აზრი უკვე მკვეთრად გამოხატული იყო და, როგორც ჩანს, მას არ სურდა იგივე შეცდომის განმეორება, რაც "გაორთან" დაკავშირებით ერთხელ უკვე დაუშვა. თუმცა, სტიმული ამ მოძრაობას მაინც ხაზარაძემ მისცა.

რაც შეეხება ხელისუფლებას, მისი ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს ის სისტემურ კვლევებს და ანალიზს არასოდეს ეყრდნობა. ამიტომ მისი პასიურობა არც ამ შემთხვევაშია გასაკვირი.

ხელისუფლება სულ რეაქციის რეჟიმში მუშაობს, ანუ ის მხოლოდ მაშინ იწყებს კონკრეტულ პრობლემებზე ფიქრს, როცა ან მოსახლეობა მოუწყობს მიტინგს, ან სავალუტო ფონდი გაზრდის ზეწოლას და ასე შემდეგ.

**- ერთ-ერთი ალტერნატიული მარშრუტი ნავთობსადენის ახალქალაქზე გატარებას გულისხმობს. მაგრამ საჯაროდ ეს მარშრუტი საერთოდ არ განხილულა, იმ მიზეზით, რომ ეს რეგიონი ნავთობსადენისთვის ბევრ რისკს შეიცავს. თუმცა, არსებობს კონტრ-არგუმენტიც. ნავთობსადენის ახალქალაქზე გატარება საშუალებას იძლეოდა, რომ ამ რეგიონში ცენტრალურ ხელისუფლებას თავისი ლეგიტიმურობის ხარისხი გაეზარდა და რეგიონის უსაფრთხოებისთვის მეტი ზომები მიეღო.**

- ბი-პი-ს ეს მარშრუტი საჯაროდ არ განუხილავს, ამიტომ მათი არგუმენტები ჩემთვის ცნობილი არ არის. მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა არგუმენტები შეიძლება ჰქონდეს ამ კომპანიას. მათ ეშინიათ არა მარტო რუსული ბაზის, არამედ მთლიანად რეგიონის. რადგან ჯავახეთს პოტენციურად არასტაბილური რეგიონის სახელი აქვს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

გარდა ამისა, სომხეთი ხშირად ოფიციალურად თუ არაოფიციალურად გამოთქვამს შეშფოთებას ამ ნავთობსადენთან დაკავშირებით. სომხეთში მიაჩნიათ, რომ ბაქო-ჯეიჰანი, საბოლოო ჯამში, აზერბაიჯანის გამდიდრებას ემსახურება, რაც ნიშნავს, რომ ის ისევ განაახლებს ყარაბაღის კონფლიქტს. ამის გამო დროდადრო ძალიან აგრესიული გამოსვლები იყო ერევანში. ამიტომ, როგორც ჩანს, უსაფრთხოების ანალიტიკოსებმა ურჩიეს ბი-პი-ს, რომ ძალიან დიდი რისკია ნავთობსადენის ახალქალაქის ტერიტორიაზე გატარება.

მე არ ვიცი ქართული მხარის პოზიცია, განსხვავდებოდა თუ არა ის აზერბაიჯანის ან თურქეთის პოზიციისაგან. შემიძლია, ვივარაუდო, რომ აზერბაიჯანს და თურქეთს არ უნდოდათ, რომ ამ ნავთობსადენს ახალქალაქზე გაევლო და ამ იდეას აქტიურად შეეწინააღმდეგებოდნენ.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების რეაქციას, მისთვის მთავარია ნავთობსადენმა საქართველოზე გაიაროს, და სად გაივლის - ახალქალაქზე თუ ბორჯომზე - ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჯავახეთის მიმართ ზედმეტი შიში აქვს და მისი ახლანდელი პოლიტიკა ამ რეგიონში ძალიან არაშორსმჭვრეტელურია.

ჯავახეთში ბევრი პრობლემაა და ნავთობსადენის ამ ტერიტორიაზე გატარებას ადგილობრივი მოსახლეობიდან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოჰყვებოდა. ერთი მხრივ, ეს პროექტი, შესაძლოა, ეკონომიკურად მომგებიანი ყოფილიყო მოსახლეობის კონკრეტულად იმ ნაწილისთვის, სადაც ნავთობსადენი გაივლიდა. მეორე მხრივ, ჯავახეთის სომხურ მოსახლეობას პარანოიამდე მისული დამოკიდებულება აქვს თურქეთისადმი, მათ ჰგონიათ, რომ თურქები შემოჰყვებიან ნავთობსადენს და რეგიონს გაათურქებენ.

მაგრამ, თუ ხელისუფლება ამ ადამიანებთან ნორმალურად იმუშავებდა და სიტუაციას აუხსნიდა, მაშინ ამ რეგიონში ნავთობსადენის გატარება, საქართველოს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, მომგებიანი იქნებოდა.

თუმცა, თურქეთს, აზერბაიჯანსა და ბი-პი-ს ვერ მოსთხოვ საქართველოს ინტერესებზე ზრუნვას.

მათ უნდათ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში რისკები მაქსიმალურად შეამცირონ და ამითომ მიიჩნევენ, რომ ნავთობსადენმა, ჯობს, ამ ტერიტორიაზე არ გაიაროს.

**- მაგრამ ნავთობსადენის ბორჯომზე გატარება ამ რისკს არ ამცირებს. თუ ვინმეს დივერსიის მოწყობა უნდა, ის ამას ახალქალაქშიც შეძლებს და ახალქალაქთან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ბორჯომის ხეობაში. გარდა ამისა, ბორჯომში ზარალიც ორმაგი იქნება. ნავთობსადენი და დაბინძურებული ეკოსისტემა.**

- გეთანხმებით, მაგრამ ბორჯომის მარშრუტზე რისკები რამდენიმე პროცენტით მაინც შემცირებულია. ასპროცენტიანი გარანტიები კი არსად არ არსებობს.

**- რამდენად სავარაუდოა, რომ იმ შემთვხევაში, თუ ახალქალაქის ტერიტორიაზე ნავთობსადენი გაივლიდა, ამერიკელები უფრო დაინტერესებულები იქნებოდნენ რუსული ბაზების საქართველოდან გასვლით?**

- ჩვენთვის ეს მომგებიანი იქნებოდა. მაგრამ ასეთ სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხებს რაც შეეხება, საქართველოს ხელისუფლება პასიურ პოზიციას იკავებს და ფიქრობს, რომ ამერიკის ხელისუფლება ამ საკითხებს უკეთესად მოაგვარებს და თან აზერბაიჯანის პოზიციასაც გაითვალისწინებს.

**- მაგრამ პატარა ქვეყნის ძლიერება იმაშია, რომ დიდი პოლიტიკური თამაშებიდან მოგება ნახოს და თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს.**

- ჩვენი ხელისუფლება უფრო სწორხაზოვნად მსჯელობს. ნავთობსადენის საქართველოზე გავლის ფაქტს ის იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ ამ დეტალებზე დროს აღარ ხარჯავს.

ამ ხელისუფლებას პოლიტიკური კაპიტალი აღარ დარჩა. აფხაზეთს ვერ იბრუნებს და ნატო-ში შესვლასაც ვერ მოასწრებს, ასე რომ, ნავთობსადენი მისი ერთადერთი და ბოლო იმედია.

# ბი-პი-მ თავისი მაინც გაიტანა

პირველი გვერდიდან

**ხეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღები იყო."**

როგორც ჩანს, ბი-პი-მ არჩია, თავად დაემუშავებინა ალტერნატიული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც მილსადენი მხოლოდ ცხრაწყარო-კოდიანას მონაკვეთს შემოუვლიდა და, შედეგად, პროექტში არსებითი ცვლილებები არ შევიდოდა. **"ბი-პი-მ წარმოადგინა ალტერნატიული ვარიანტი, რომლის შესახებაც ახლა მიდის მსჯელობა. საბოლოოდ, ყველაფერი იქით მიდის, რომ მილსადენმა ბორჯომის ხეობა უნდა გადაკვეთოს, თუმცა, რა ალტერნატივაზეა ახლა მსჯელობა, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია,"** – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

ამდენად, წუხელ, პრაქტიკულად, მთელი ღამის განმავლობაში პრეზიდენტი შევარდნაძე, ნინო ჩხობაძე, ავთანდილ ჯორბენაძე, დევიდ ვუდვორდი და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის თითქმის მთელი ხელმძღვანელობა ბი-პი-ს მიერ წარმოდგენილ სრულიად ახალ ალტერნატივას განიხილავდნენ.

**"გუშინდელი გარემოს დაცვითი ნებართვა, რაც ბი-პი-მ მიიღო, მხოლოდ პროექტი იყო, რომელიც არ შეიცავს არავითარ პირობებს,"** – განაცხადა სოსო ცაბაძემ. ამ ნებართვას კი თან ერთვის იმ პირობების ჩამონათვალი, რომელიც ბი-პი-მ ბორჯომის ხეობის ეკოლოგიის დასაცავად უნდა გაატაროს. კერძოდ, **"არის გასარკვევი ცხრაწყარო-კოდიანას მონაკვეთთან დაკავშირებული საკითხები. ბი-პი-სთვის წარდგენილ პირობებში ჩვენ გამოვიყენეთ ტერმინი "ნულოვანი ვარიანტი", რაც, შესაძლოა, არც იყო კორექტული. ვითარება შეიძლება შეფასდეს, როგორც ზეწოლა, ოღონდ დროის თვალსაზრისით – დოკუმენტის საბოლოო შეთანხმებამდე, უბრალოდ, ძალიან ცოტა დრო რჩება,"** – განაცხადა ცაბაძემ.

მოთათბირენი კომენტარებისგან თავს იკავებდნენ. გიორგი ჭანტურიამ საერთოდ აარიდა თავი ჟურნალისტებთან საუბარს. **"მოვედით, ვიმსჯელეთ, გავერკვიეთ. სადაო პუნქტები არ ყოფილა,"** - განაცხადა ავთანდილ ჯორბენაძემ. ნინო ჩხობაძის თქმით კი, **"დოკუმენტში სანიტარული ზონების შესახებ ჩაწერილი პუნქტი არ იცვლება."**

რაც შეეხება დევიდ ვუდვორდს, მან დაადასტურა, რომ მილსადენი ბორჯომის ხეობაზე აუცილებლად გაივლის. **"ჩვენ ხელი არც გუშინ, არც დღეს, არაფერზე მოგვიწერია და მხოლოდ სიტყვიერად შევთანხმდით,"** – განაცხადა მან კანცელარიაში შეხვედრის შემდეგ.



*მამუკა ხაზარაძემ ვერაფერი გააწყო.*

ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გატარების გადაწყვეტილება ბი-პი-ს ვერც პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეაცვლევინა. მიუხედავად ხანგრძლივი დებატებისა, კომპანიას კვლავ შეუვალი პოზიცია ეკავა და ნებისმიერ პირობაზე თანახმა იყო, მარშრუტის შეცვლის გარდა.

სამაგიეროდ, პრეზიდენტმა პოზიციები დაათმობინა გარემოს დაცვის მინისტრს, რის შედეგადაც, მრავალსაათიანი მსჯელობის შემდეგ, ნინო ჩხობაძემ, როგორც გამთენიისას გახდა ცნობილი, ბი-პი-ს გარემოს დაცვის ახალ დოკუმენტზე მოუწერა ხელი. **"ამ დოკუმენტის მიხედვით მილსადენის ოპერატორ კომპანიას გაცილებით უფრო მეტი თავისუფლება ენიჭება და ცხრაწყარო-კოდიანას სანიტარულ მონაკვეთზე მილსადენის გატარების საკითხიც უფრო ბუნდოვანი ფორმულირებით არის ჩამოყალიბებული",** - გვაცნობა მამუკა ხაზარაძემ.




# ხელოვნურად შექმნილი ენერგოქაოსით ბიზნესმენები მილიონებს შოულობენ

პირველი გვერდიდან

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და სემეკის საქმიანობის შესწავლის შესახებ მომზადებული მოხსენების პროკურატურაში კვლავ ხელმოუწერელად დევს.

დღემდე არ შეჩერებულა არც ენერგეტიკის დარგის მიზანმიმართული ნგრევა. უახლოეს მომავალში კი დღის წესრიგში გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გასხვისების საკითხიც უნდა დადგეს.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გასხვისების საკითხი მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით, ჯერ კიდევ 1996 წელს შემუშავებული "ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის" იმ კონცეფციით არის გათვალისწინებული, რომლის არასწორი განხორციელების შედეგად დარგში სრული განუკითხაობა და ქაოსი წარმოიშვა. არადა, ეს კონცეფცია, სწორი რეალიზების შემთხვევაში, დარგის რეაბილიტაციის წინაპირობად უნდა ქცეულიყო.

საქმე ისაა, რომ ის, რასაც კონცეფცია გულისხმობდა, ხელისუფლებამ და, ძირითადად, ენერგეტიკის კურატორებმა, სათავისოდ გაიგეს; აურაცხელი დამატებითი ნორმატიული აქტების კონიუნქტურული დაწერით და, საბოლოოდ, დარგში ისეთი არეულობა შექმნეს, რომ უფროსს ხელქვეითი, ხელქვეითს კი უფროსი ველარ ეცნო. განუკითხაობამ ახალი კორუფციული სქემების შექმნის შესაძლებლობა გამოიწვია, რითაც ისევ ენერგომამებმა და დარგის კურატორებმა ისარგებლეს.

მაგალითად, დარგის რეაბილიტაციის ერთიანი კონცეფციით, ელექტროენერგეტიკაში უნდა ჩამოყალიბებულიყო ფინანსების მოძრაობის მყარი, ლოგიკური და ქმედითი ჯაჭვი: ელექტროსადგურებს (გენერაცია) დენი დისპეტჩერიზაცია-გადაცემის (ამჟამად, უკვე "საქართველოს გაერთიანებული ენერგოსისტემა") გავლით, საბითუმო ბაზრისთვის უნდა მიეწოდებინათ, საიდანაც მას შეისყიდიდნენ სადისტრიბუციო კომპანიები ("ეი-ი-ეს თელასი", "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია" და სხვა) და მიაწვდიდნენ მოსახლეობასა და მსხვილ მომხმარებლებს. თუმცა, ხელისუფლებამ, სემეკის ხელშეწყობით, უამრავი გამონაკლისი დაუშვა. მაგალითად, სადისტრიბუციო კომპანიებს, დენის საბითუმო ბაზრის გვერდის ავლით, პირდაპირ ელექტროსადგურებისგან შესყიდვის, მსხვილ მომხმარებლებს კი – სადისტრიბუციო კომპანიების გვერდის ავლით, პირდაპირ საბითუმო ბაზრისგან შესყიდვის უფლება მისცა. შედეგად, კონცეფციით გათვალისწინებული სქემა დაირღვა და, ბუნებრივია, პოზიტიური შედეგიც ვერ მოიტანა.

დაგვიანებებისა და ბრძანებულებების, რომლებმაც ენერგოპოლიტიკაში არეულობა გამოიწვია, მთავრობის ახსნა მოიძებნა; მაგალითად, ელექტროსადგურებს დისტრიბუტორებთან პირდაპირ ხელშეკრულებების გაფორმების უფლება იმიტომ მიეცათ, რომ ენგურჰესის, ხრამჰესის და სხვა მნიშვნელოვანი ენერგოობიექტების ანგარიშებზე ფული უფრო მალე მოხვედრილიყო. არადა, ფინანსების მოძრაობის ლოგიკური ჯაჭვიდან საბითუმო ბაზრის ამოვარდნამ ჯგუფური ინტერესები გააჩინა, რის შედეგადაც ამ წუთებშიც იტანჯება ქვეყნის მოსახლეობა. საქმე ისაა, რომ საბითუმო ბაზრის პირველადი ფუნქცია იაფი ჰიდროენერგიისა და ძვირი თბოენერგიის დაბალანსება უნდა ყოფილიყო. ანუ, დისტრიბუტორებს არ უნდა ჰქონოდათ არჩევანის საშუალება იაფსა და ძვირ ენერგიას შორის. მათთვის დადგენილი იყო ერთიანი ტარიფი, ხოლო ის გაანგარიშება, რომლის მიხედვითაც დისტრიბუტორები გაყიდულ ენერგიაში თბო და ჰიდროენერგიის ბალანსი უნდა გადანაწილებულიყო, საბითუმო ბაზრის სუბიექტს უნდა ეწარმოებინა. ამ სქემის დარღვევამ დისტრიბუტორებს ჰიდროენერგიის შესყიდვისკენ უბიძგა, საბითუმო ბაზარმა თბოენერგიის გამომუშავებისთვის საჭირო თანხების მობილიზება ვერ მოახერხა და, შედეგად, "ეი-ი-ეს მტკვარმა" მე-9 ბლოკი დღემდე ვერ აამუშავა.

ენერგეტიკის განვითარების კონცეფციის თავდაპირველი სქემა მაშინაც დაირღვა, როდესაც სემეკმა მსხვილ მომხმარებლებს (მაგალითად, ზესტაფონის "ფეროს"), ელექტროენერგიის სადისტრიბუციო კომპანიების გვერდის ავლით, პირდაპირ საბითუმო ბაზრისგან შესყიდვის უფლება მისცა. ამ გადაწყვეტილების საფუძველიც ფინანსური ჯაჭვის შემოკლება იყო, თუმცა, შედეგად, კვლავ ახალი კორუფციული სქემა წარმოიშვა. სადისტრიბუციო კომპანიებს კი ის მომხმარებლები ჩამოშორდნენ, რომელთა წილადაც ელექტროენერგიის მოხმარების ყველაზე სოლიდური მაჩვენებლები მოდის. "ამოღების მაღალ მაჩვენებლებზე ფარცხანაყანებით გავიდეთ"? – წუხან სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში.

ის აურაცხელი ენერგოჩათვლები და არეულობა კი, რის გამოც ვერავინ გაარკვია, თუ ენერგეტიკის კუთვნილი ფინანსებიდან რომელი ნაკადი ვის ჯიბეში მიედინება, დარგის მესვეურთა მიერ ხელოვნურად არის გამოწვეული.

ამდენად, დღევანდელი ენერგოკრიზისი საერთაშორისო ექსპერტების მიერ შემუშავებული ენერგეტიკული დარგის რეაბილიტაციის კონცეფციის მიზანმიმართულად არასწორი რეალიზაციის ლოგიკური შედეგია.

# მძარცველთა სინდიკატი იმერეთში - მოსახლეობას გროშებიც კი არ ხვდება

*სახელმწიფო მინისტრის გუშინდელი სტუმრობა ჭიათურმანგანუმის ხელმძღვანელებს შეიძლება თანამდებობების დაკარგვის ფასად დაუჯდეთ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებს კი ავთანდილ ჯორბენაძის ვიზიტის შედეგად ხელფასების ასი პროცენტით გაზრდის შანსი მიეცათ. სახელმწიფო მინისტრი საწარმოო ობიექტების მონახულების შუალედებში, "მოქალაქეთა კავშირის" ადგილობრივ ორგანიზაციებს დახურულ კარს მიღმა ხვდებოდა.*

სოფო კვინტრაძე



*სამთავრობო დესანტი იმერეთისკენ მიემართება*

სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ჭიათურმანგანუმსა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ესტუმრა. ჯორბენაძესათან ერთად იმერეთში იმყოფებოდნენ - ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი, ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე, ჯანდაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე, პარლამენტარი ვიტალი ხაზარაძე და სახელმწიფო მინისტრის მოადგილე აკაკი ზოიძე .

შეხვედრა, რომელიც თბილისელ სტუმრებს ჭიათურმანგანუმის ადმინისტრაციულ შენობაში გაუმართეს, საკმაოდ დაძაბული და ხმაურიანი აღმოჩნდა. ჭიათურის მცხოვრებლები სახელმწიფო მინისტრს სააქციო საზოგადოება ჭიათურმანგანუმში არსებული გაუსაძლისი პირობების შესახებ ესაუბრნენ. როგორც ადგილობრივები აცხადებდნენ, მათთვის მთავარი პრობლემა უშუქობა, უწყლობა და უხელფასობაა. ელქტროენერგიის არარსებობის პირობებში მთლიანად პარალიზებულია საწარმოო პროცესი ჭიათურმანგანუმში, რომელიც ერთადერთი საწარმოო ობიექტია მთელს ქალაქში. მანგანუმი 2001 წლიდან რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობს და მას სასამართლოს მიერ დანიშნული რეაბილიტაციის მმართველი ხელმძღვანელობს. თუმცა, რეაბილიტაციის პროგრამამ არ გაამართლა, მანგანუმის კრედიტორული დავალიანება კი დღითიდღე იზრდება - ამჟამად იგი 54 მილიონ ლარს შეადგენს. მანგანუმის კონცენტრატის ექსკლუზიური მყიდველი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაა. ქალაქში ძალზე მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობაა, რაც, ნაწილობრივ, კერძო კოოპერატივების საქმიანობითაა განპირობებული. როგორც ცნობილია, ჭიათურმანგანუმის გარდა, ქალაქში მადანის მომპოვებელი უამრავი პატარა კერძო კოოპერატივია, რომელთა საქმიანობა, ხშირ შემთხვევაში, ეკოლოგიური ნორმების დაცვის გარეშე მიმდინარეობს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კოოპერატივების მიერ დამზადებული კონცენტრატის თვითღირებულება ჭიათურმანგანუმის მიერ დამზადებული იგივე პროდუქციის თვითღირებულებაზე ნაკლებია. აქედან გამომდინარე, კოოპერატივები ქარხანას სერიოზულ კონკურენციას უწევენ.

სახელმწიფო მინისტრმა შეშფოთება გამოთქვა ჩამოთვლილი ფაქტების გამო და შექმნილ სიატუაციაში მთლიანად მანგანუმის ხელმძღვანელობას და ადგილობრივ ადმინისტრაციას დასდო ბრალი. ჯორბენაძემ ქონების მართვის მინისტრს დაავალა, რომ მან ჭიათურმანგანუმის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს და უახლოეს ხანებში მოძებნოს მათი შემცვლელი კადრები. გარდა ამისა, ჯორბენაძემ კოოპერატივების ლიცენზირების საკითხის გამოძიებაც მოითხოვა. როგორც გაირკვა, აღნიშნულ ლიცენზიებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გასცემს. მოსახლეობამ უკმაყოფილება გამოთქვა ადგილობრივი და სამხარეო ადმინისტრაციის მისამართითაც. მათი განცხადებით, ჭიათურის რაიონის გამგებელი დავით ივანიშვილი და იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი, ისევე როგორც ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები, თავად არიან ჩართულნი ჭიათურის მანგანუმის "კოოპერატიული დატაცების" პროცესში. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი კი აცხადებს, რომ ჭიათურმანგანუმი გაკოტრების პირას მისული საწარმოა და მისი გაკოტრება გარდაუვალია.

გაცილებით ოპტიმისტური განწყობით დახვდნენ სახელმწიფო მინისტრს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. ავთანდილ ჯორბენაძე ფეროში მიმდინარე საწარმოო პროცესს გაეცნო, შემდეგ კი ქარხნისა და რაიონის ადმინისტრაციას შეხვდა. ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი, გენო შარაიძე სახელმწიფო მინისტრს ქარხნის პრობლემებსა და მიღწეულ წარმატებებზე ესაუბრა. როგორც გაირკვა, ჭიათურის მსგავსად, ფეროშიც უმთავრესი პრობლემაა ელექტროენერგიის დეფიციტი. იგივე გასაჭირი აქვს მთლიანად ქალაქსაც. სახელმწიფო მინისტრი ადგილობრივ ადმინისტრაციას უშუქობის პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა - იმ პირობით, თუ გამგეობა ელექტროენერგიის საფასურის 80-პროცენტიან ამოღებას უზრუნველყოფს. ავთანდილ ჯორბენაძემ ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორს კატეგორიულად მოსთხოვა, ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასების ასი პროცენტით გაზრდა. სახელმწიფო მინისტრის მეორე მოთხოვნა ფეროსა და მანგანუმის ურთიერთთანამშრომლობას შეეხებოდა - მან ხაზგასმით მიუთითა, რომ ფეროს ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს ჭიათურმანგანუმის ფუნქციონირებას - მანგანუმის კონცენტრატი მხოლოდ მისგან იყიდოს და არა კერძო კოოპერატივებისგან.

## მოკლედ

**თბილისი.** ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენი უნდა ასცდეს ბორჯომის ხეობას და წალკის მტკნარი წყლის რეზერვუარს. ეს არის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინიტროს მიერ კომპანია „ბი-პი"-სთვის წაყენებული ორი ძირითადი პირობა, რომელიც კომპანიას დასკვნის სახით დღეს საღამომდე გადაეცემა. როგორც „მედია-ნიუსს" სამინისტროში მოქმედი ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე მომუშავე ქართულ-ჰოლანდიური საექსპერტო ჯგუფის კოორდინატორმა გივი კალანდაძემ განუცხადა, მოლაპარაკებები პროექტის გარემოზე შეფასებასთან დაკავშირებით წუხელ, მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. "ბიპიმ" უნდა შეისწავლოს ალტერნატიული მარშრუტები", — აცხადებს გივი კალანდაძე. მისივე თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით ვადები დათქმული არ არის და ეს უკვე "ბიპის" მარიფათზეა დამოკიდებული. ბორჯომის შემთხვევაში მილსადენების მარშრუტი 17 კმ-ით უნდა გაიზარდოს და ის ახალქალაქსა და ბორჯომს შორის მდებარე ყარაყაის მიმართულებით გაივლის. გარდა ამისა, მილსადენი უნდა ასცდეს ტაბაწყურის (წალკის) მონაკვეთს. სწორედ ამას სთავაზობს გარემოს დაცვის სამინისტრო ოპერატორ კომპანიას. ექსპერტთა გათვლებით, მილსადენის ეს მონაკვეთი რამდენიმე მილიონი დოლარით მეტი დაჯდება, ვიდრე უკვე არსებული პროექტი. ამჟამად სამინისტროში დასკვნის ტექსტზე მუშაობენ და იგი საღამომდე გადაეცემა „ბიპის". აღსანიშნავია, რომ „ბიპი" - აზერბაიჯანის წარმომადგენელს, დევიდ ვუდვორდს ბოლო წუთამდე იმედი ჰქონდა, ჩხობაძისგან ნებართვას მიიღებდა. **"მედია ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის სავარაუდო რისკების შეფასებისთვის საქართველოში აშშ-ს ექსპერტთა ჯგუფი ჩამოვა. როგორც „მედია-ნიუსს" ამ პროექტის ძირითადი ინვესტორის — კომპანია „ბიპის" აზერბაიჯანის წარმომადგენლობის თავმჯდომარემ, დევიდ ვუდვორდმა აცნობა, ამერიკელ ექსპერტთა ვიზიტი უახლოეს დღეებშია მოსალოდნელი. ექსპერტები შეისწავლიან მილსადენის მშენებლობასა და მოქმედებასთან დაკავშირებით სავარაუდო რისკის ფაქტორებს და მათი საშიშროების რეალობას. გაიმართება შეხვედრები ყველა სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლებთან, მილსადენის უსაფრთხოებაზე საქართველოს უშიშროების საბჭოშიც იმსჯელებენ. მილსადენის მარშრუტის არჩევისას „ბიპი" მის უსაფრთხოებას ექვსი ფაქტორის —ტერორიზმის, საბოტაჟის, საომარი ზემოქმედების, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კრიმინალური მდგომარეობის მიხედვით აფასებდა. დევიდ ვუდვორდის თქმით, ამ სქემით შეფასებული იყო ბორჯომის, ახალქალაქის და ყარაყაის მარშრუტები. აქედან ყველაზე დაბალი რისკის ფაქტორი ბორჯომის მარშრუტზეა, — თქვა ვუდვორდმა. **"მედია ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათიდან დაიწყება რუსეთიდან საქართველოში მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზით - "კავკასიონით" ელექტროენერგიის იმპორტი. როგორც კავკას-პრესს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მერაბ კვეკვესკირმა განუცხადა, ეს ორივე ქვეყნის ენერგოსისტემის პარალელურ რეჟიმში მუშაობის საშუალებას იძლევა.

მისი თქმით, შეთანხმება ამის შესახებ მიღწეული იყო გუშინ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს, დავით მირცხულავასა და რუსული კომპანია РАО "ЕЭС" - ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ანატოლი ჩუბაისს შორის მოლაპარაკებებისას.

მინისტრის მოადგილის თქმით, "კავკასიონი" მთლიანად მზადაა იმპორტისათვის. კონტრაქტი იმპორტზე მომზადებული იყო ჯერ კიდევ ორი კვირის წინ. შეთანხმების მიხედვით, ელექტროენერგიის იმპორტი ყოველდღიურად 200 მეგავატის ოდენობის იქნება. ეს ზამთარში ენერგოდეფიციტის დაფარვისა და სიხშირეების სტაბილურობის საშუალებას იძლევა.

დღეისათვის საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავება მთლიანად ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის. ისინი თავისი შესაძლებლობების ზღვარზე მუშაობენ და გამოიმუშავებენ 880-900 მეგავატს, რაც ქვეყნისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის მხოლოდ მესამედს შეადგენს. ***კავკას-პრესი.***

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 26 ნოემბერი - 2 დეკემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6441 | 0.6399 | 0.0053 |
| US$ | 1.5526 | | 0.9931 | 0.0082 |
| €uro | 1.5629 | 1.0069 | | 0.0082 |
| ¥en | 190.11 | 122.49 | 121.67 | |

### 2002 წლის 2 დეკემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1509 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3723 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4573 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1650 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3968 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1770 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0680 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4426 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3696 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0588 ლარი |

# მაღალი გადასახადები ტურიზმის განვითარებას აფერხებს

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების ინფრასტრუქტურაში არსებული ექვსასამდე ობიექტი დღეისათვის, ფაქტობრივად, პარალიზებულია. სასტუმროები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, რომლებიც იძულებით გადაადგილებული სამასი ათასამდე ადამიანით არის დასახლებული, კარგა ხანი ველარ მოემსახურება ტურისტებს. დარჩენილი ტურისტული ობიექტების 99 პროცენტი პრივატიზებულია და კერძო საკუთრებას წარმოადგენს. აქ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 200 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციაა განხორციელებული, მაგრამ...

**"ტურიზმის ინფრასტრუქტურის შექმნას ბევრად მეტი თანხები სჭირდება. სამაგიეროდ, ტურიზმი სწრაფად მზარდი დარგია და საქართველოში მისი განვითარება კომუნიკაციებს, ტრანსპორტს, კვების მრეწველობას და სხვა დარგებს გააცოცხლებს."**-განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა შუბლაძემ. მისი თქმით, **"საქართველოში ინვესტიციების განხორციელება სარისკო გახდა და ინვესტორს თუ მომგებიანი პირობები არ შესთავაზე, აქეთ არც კი გამოიხედავს. არადა, უცხოური ინვესტიციის გარეშე, ჩვენს სახელმწიფოში არსებული საბიუჯეტო სახსრების, ეკონომიკური (გნებავთ – პოლიტიკური) ვითარების პირობებში ყოვლად შეუძლებელია რაიმე ღირებულის გაკეთება."** ტურიზმის დეპარტამენტის მიერ პარლამენტში განსახილველად წარდგენილი პროექტიც "საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" სწორედ ინვესტორთა მოსაზიდად შემუშავდა. ტურიზმის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ამ კანონის ამოქმედების გარეშე კარგა ხნით უნდა დავივიწყოთ ტურიზმის განვითარებაზე ფიქრი. შუბლაძის თქმით, რეალურად არსებობენ ინვესტორები, რომლებიც მზად არიან, საგადასახადო კოდექსში ცვლილებების განხორციელების შემდეგ 500 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება მოახდინონ საქართველოს ტურიზმში. ამ ცვლილებებს ელოდება და შეჩერებულია ბაზალეთის ტბის კომპლექსის მშენებლობაც, სადაც 400-მდე ადამიანი უნდა დასაქმდეს. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ტურიზმის სფეროში საგადასახადო შეღავათების მინიჭება ინვესტიციების მოცულობის მიხედვით უნდა განხორციელდეს; კერძოდ, ინვესტორი, რომელიც საქართველოს ტურიზმში დააბანდებს არანაკლებ სამი მილიონი აშშ დოლარის კაპიტალს, მოგების გადასახადისაგან ორი წლის განმავლობაში მთლიანად გათავისუფლდება, ხოლო შემდგომ, ოთხი წლის განმავლობაში, გადასახადის 50 პროცენტს გადაიხდის; არანაკლებ 10 მილიონი დოლარის ინვესტირებისას გადასახადისგან ინვესტორი მთლიანად გათავისუფლდება ხუთი წლის განმავლობაში და შემდეგი ორი წელი გადასახადის 50 პროცენტს გადაიხდის, ხოლო 50 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირების შემთხვევაში, ინვესტორი მოგების გადასახადისგან 10 წლის განმავლობაში თავისუფლდება. ესე იგი ინვესტორი გარკვეული წლების განმავლობაში სარგებლობს მოგების გადასახადის გადახდის განსხვავებული რეჟიმით.

ტურიზმის დეპარტამენტის მიერ პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტი თავის რიგს ელოდება. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის დემურ გიორხელიძის განცხადებით, კომიტეტმა უკვე განიხილა და მხარი დაუჭირა ტურიზმის დეპარტამენტის წინადადებას "საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. **" ჩემი აზრით, ეს წესები მარტო ტურიზმზე არ უნდა ვრცელდებოდეს. მრეწველებს და მეწარმეებს საერთოდ უნდა მოეხსნათ მოგების გადასახადი. დავუტოვოთ ცალკეულ დარგებს თავიანთი მოგება, რათა საქმიანობა გაიფართოონ, მოახდინონ რეინვესტირება. ეს ხომ საბოლოო ჯამში ისევ ქვეყნის მოგებაზე იმუშავებს. ის ინვესტორები, რომელთაც ეს ცვლილება უნდა შეეხოთ, ჯერჯერობით, არ ჩანან, მაგრამ მათი დაინტერესებისთვის აუცილებელია საგადასახადო კოდექსში ამ ცვლილებების შეტანა."**

# „უორლდკომი„ ამერიკის მთავრობას გაურიგდა

*სკანდალში გახვეულმა კავშირგაბმულობის გიგანტმა "უორლდკომმა" ამერიკის მთავრობასთან ნაწილობრივ გარიგებას მიაღწია, რის წყალობითაც კომპანია სანქციებსა და დაშლას გადაურჩება. "უორლდკომი" წარსულის ცოდვების გამოსასყიდად (რაც 9 - მილიარდიანი ხარჯების დაფარვასა და ინვესტორთა შეცდომაში შეყვანაში გამოიხატა) გვარიან ჯარიმას გადაიხდის (ამ უკანასკნელის ოდენობა ცნობილი არაა) და ხელისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ განაგრძობს საქმიანობას. სპეციალისტთა თქმით, ამ გარიგებით "უორლდკომს" მშვენიერი შანსი ეძლევა და კომპანია, წესით და რიგით, საბოლოო გაბანკროტებას უნდა გადაურჩეს.*

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს საოლქო მოსამართლის, ჯედ რაკოვის აზრით, კომპანიაზე ხელისუფლების კონტროლი მყარი გარანტიაა იმისა, რომ "უორლდკომი" ფინანსურ თაღლითობაზე ხელს აიღებს. კომპანია უკვე დათანხმდა, რომ დაიქირაოს სპეციალისტები, რომლებიც მის ხარჯთაღრიცხვას გააკონტროლებენ. გარდა ამისა, "უორლდკომი" რეგულარულად ჩაატარებს წვრთნებს საბუღალტრო აღრიცხვასა და კორპორაციულ ეთიკაში. მომავალ წელს კავშირგაბმულობის გიგანტის ეს საქმიანობა სპეციალური კომისიის მიერ შეფასდება და დამატებითი სანქციები იმის საფუძველზე იქნება გამოტანილი, თუ რამდენად შეასრულებს კომპანია თავის დანაპირებს.

აღნიშნული გარიგება, ასე ვთქვათ, პრეცედენტს ქმნის ფასიანი ქაღალდების კომისიისათვის, რომელიც მომავალში (კორპორაციული თაღლითობის აღმოჩენის შემთხვევაში) პრობლემას, ალბათ, სწორედ ამგვარად გადაჭრის.

როცა ივნისის ბოლოს "უორლდკომმა" ხარჯთაღრიცხვებში ოთხი მილიარდი დოლარის გაუჩინარების შესახებ განაცხადა, ფინანსურმა ბაზარმა ნამდვილი შოკი მიიღო. საქმიან სამყაროს ჯერ "ენრონისა" და "ანდერსენის" სკანდალები ვერ მოენელებინა და "უორლდკომის" ისტორიამ ბირჟებზე ნამდვილი პანიკა გამოიწვია. ორ თვეში კავშირგაბმულობის გიგანტმა კიდევ 3,3 მილიარდის დამალვა აღიარა... საბოლოოდ ამ მაჩვენებელმა 9 მილიარდს მიაღწია, "უორლდკომმა" კი ბანკროტობის შესახებ ცნობილ მე-11 მუხლს "შეაფარა თავი." ეს მუხლი კომპანიებს საშუალებას აძლევს საქმიანობა ძველებურად განაგრძონ და მევალეებისგან დაცულნი იყვნენ.

თუმცა, ახლა კავშირგაბმულობის გიგანტი თითქოს ფეხზე დგება. კომპანიის ხელმძღვანელობა შეიცვალა. ყოფილი მთავარი აღმასრულებელი ბერნი ებერსი (რომელმაც საკუთარ თავს კომპანიის ანგარიშებიდან 508 მილიონი დოლარი ასესხა) "ჰიულეტ-პაკარდის" ყოფილმა ბოსმა მაიკლ კაპელასმა შეცვალა, რომელიც საქმიან სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. სამარცხვინო მე-11 მუხლის მფარველობას კი "უორლდკომი", ალბათ, მომავალი წლის გაზაფხულზე დააღწევს თავს.

# რუსეთი საზღვარგარეთ ახალ სამხედრო ბაზას ხსნის

შოთა უტიაშვილი

საგენტო ინტერფაქსი, ყირგიზეთის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით, იუწყება, რომ 5 დეკემბერს დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია ახალი სამხედრო-საავიაციო ბაზის გახსნას აპირებს ყირგიზეთში.

სულ ახლო მომავალში ბიშკეკის ახლოს მდებარე კანტის სამხედრო ბაზაზე რუსულ სამხედრო და სატრანსპორტო თვითმფრინავებს გადაისვრიან. მათ შორისაა ხუთი სუ-27, ხუთი სუ-25, ან-26 და ილ-76 სატრანსპორტო თვითმფრინავები, და მი-8 ტიპის შვეულმფრენები.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ბაზაზე 700-მდე სამხედრო მოსამსახურე და ტექნიკური პერსონალი დაიდებს ბინას. მისი შენახვა წლიურად 50 მილიონი დოლარი დაჯდება.

ბაზის ფუნქციონირება მოხდება დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის სწრაფი რეაგირების ჯარების ეგიდით. შეთანხმება მისი გახსნის შესახებ ორგანიზაციის ექვსმა წევრმა ქვეყანამ (რუსეთი, ბელორუსი, მოლდოვა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი) დსთ-ს კიშინიოვის სამიტზე დადო.

მართალია, ბაზა ფორმალურად მრავალმხრივი ძალების განკარგულებაში იქნება, მაგრამ, როგორც ცნობილია, როცა საქმე დსთ-ს შეეხება, ტერმინს "მრავალმხრივი" სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს და, როგორც წესი, რუსულს აღნიშნავს. ასეა, მაგალითად, აფხაზეთში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების შემთხვევაში.

ბაზის გახსნის ცერემონიალს რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი დაესწრება, ხოლო რამდენიმე დღით ადრე ყირგიზეთს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ეწვევა – ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, ვინ იქნება ბაზის ნამდვილი ბატონ-პატრონი.

ჯერჯერობით, მიღწეულია შეთანხმება ბაზის დროებითი განთავსების შესახებ, თუმცა, თავდაცვის სამინისტრო არ გამორიცხავს მუდმივი ბაზირების შესახებ ხელშეკრულების დადებასაც.

აქამდე ცენტრალური აზიის რესპუბლიკებიდან რუსეთს სამხედრო ბაზა მხოლოდ ტაჯიკეთში ჰქონდა.



*პუტინი და აკაევი*

ყირგიზეთსა და უზბეკეთში კი ანტიტერორისტული კოალიციის სამხედრო ბაზებია განთავსებული. 11 სექტემბრის შემდეგ ბიშკეკმა, ავღანეთში სამხედრო ოპერაციის მხარდასაჭერად, შეერთებულ შტატებს გადასცა დედაქალაქის ახლომდებარე, მანასის სამხედრო აეროპორტი. იქ ამჟამად კოალიციის 2000-მდე ჯარისკაცია განთავსებული. რუსეთის "ხელისუფლების გარკვეულმა წრეებმა", რომელთა გავლენაც კრემლზე სულ უფრო იზრდება, ცენტრალურ აზიაში ამერიკელების გამოჩენა "ისტორიულ უსამართლობად" აღიქვა. კონსერვატიულად განწყობილმა მოსახლეობამ ეს ფაქტი რუსეთის გავლენის სფეროში ამერიკული იმპერიალიზმის შემოჭრად შეაფასა.

ყირგიზეთსა და უზბეკეთში ამერიკული ბაზები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, თუმცა, ოპერაციის აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ მათი მომავალი გაურკვეველი რჩება. მიუხედავად პენტაგონის თავდაპირველი განცხადებებისა, რომ ისინი ბაზების დიდი ხნით დატოვებას არ აპირებდნენ, ნელ-ნელა სულ უფრო გამოიკვეთა აზრი, რომ ამერიკელები ცენტრალურ აზიაში "სერიოზულად და დიდი ხნით" შედიოდნენ. პრეზიდენტი აკაევი 2 თვის წინ ესტუმრა ვაშინგტონს, სადაც ჯორჯ ბუშს შეხვდა. ამის შემდეგ ამერიკის ელჩი ყირგიზეთში ო`კიფი აცხადებდა, რომ მის ქვეყანას განზრახული აქვს, ყირგიზეთს დახმარება გაუორმაგოს. სულ უფრო მტკიცდებოდა თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ყირგიზეთის მთავრობა უპრეცედენტო ვითარებაში აღმოჩნდა. იგი იძულებულია, ერთდროულად უმასპინძლოს აშშ-სა და რუსეთის სამხედრო-საჰაერო ბაზებს, რომლებიც ერთმანეთისგან, დაახლოებით, 60-70 კილომეტრითაა დაშორებული. რუსებმა აქტივში ერთი მნიშვნელოვანი ქულა ჩაიწერეს.

კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის მიერ ცენტრალურ აზიაში ბაზის განთავსებას შეიძლება ძალზე უბრალო ახსნა მოეძებნოს. რეგიონი ხომ ისლამური ფუნდამენტალიზმისა და ტერორიზმის ერთ-ერთ შესაძლო კერად მიიჩნევა. ყირგიზეთმა თავის თავზე გამოსცადა ეს საფრთხე, როდესაც უზბეკეთის ისლამისტური მოძრაობის რაზმები მის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ყირგიზეთი, მნიშვნელოვანი ეთნიკური და რეგიონული განსხვავებებისა და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის გამო, ამ საფრთხისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა.

თუმცა, მას შემდეგ, რაც ამერიკამ თალიბანი გაანადგურა, რეგიონში ისლამური ტერორიზმის გავრცელების საფრთხე მნიშვნელოვნად შემცირდა. თანაც, ყირგიზეთში კოალიციის ჯარების ყოფნა უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიას იძლეოდა. ასე რომ, თუ რუსეთს მართლაც ქვეყნის ტერორიზმისაგან დაცვის სურვილი ჰქონდა, ეს გაცილებით უფრო ადრე უნდა გაეკეთებინა.

თუმცა, შესაძლებელია, ადრე ბიშკეკისაგან თანხმობის მიღება გაცილებით უფრო რთული ყოფილიყო.

2002 წლის 17 მარტს ქვეყნის სამხრეთით აყსიში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, როდესაც უშიშროების ძალებმა 5 მშვიდობიანი დემონსტრანტი მოკლეს ქვეყანაში, ვითარება უკიდურესად დაიძაბა. სამხრეთ რეგიონის მცხოვრებლებმა (გეოგრაფიულად და კულტურულადაც ქვეყანა ორ გამოკვეთილ, ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებად იყოფა) დაიწყეს საპროტესტო სვლა დედაქალაქისაკენ. მათ სათავეში ჩაუდგნენ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები - ბეკნაზაროვი, კულოვი, სიდიკოვი და სხვები. ისინი პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ. ნელ-ნელა პროტესტანტთა რიცხვი გაიზარდა, რადგანაც მას ხალხი სხვა რაიონებიდანაც შემოუერთდა. ხელისუფლება უძლურია, მათ წინააღმდეგ რაიმე იღონოს და ოპოზიციას ქვეყნის დესტაბილიზაციისა და ანარქიის მცდელობაში ადანაშაულებს. აკაევმა დაითხოვა რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი და განაცხადა, რომ კონსტიტუციური ვადის ამოწურვისთანავე გადადგებოდა (ცენტრალური აზიისათვის, ხელისუფლების ნებით დათმობა უპრეცედენტო მოვლენაა), მაგრამ ამან ვითარება ვერ განმუხტა. პირიქით, კონფლიქტმა ეთნიკური შეფერილობაც მიიღო, რაკი მასში სამხრეთით მცხოვრები უზბეკები და ტაჯიკებიც აღმოჩნდნენ ჩართულნი.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ დესტაბილიზაციის საფრთხე რეალურია და თანაც, ვითარებიდან რეალური გამოსავალი არ ჩანს. ამან კი რუსეთთან ურთიერთობებში მნიშვნელოვნად შეასუსტა პრეზიდენტ აკაევის პოზიციები.

ბევრი კი იმასაც ამბობს, რომ "ცივი ომი," შეიძლება, დასრულდა, მაგრამ ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში იგი კიდევ დიდხანს გასტანს.

# ჩინეთში პუტინის ვიზიტი დაიწყო

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ჩინეთში გაემგზავრა. პეკინში ის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთან ძიან ძემინთან მოლაპარაკებებს გამართავს. მოსალოდნელია, რომ ორმხრივ შეხვედრაზე რუსეთის და ჩინეთის ლიდერები ხელს მოაწერენ ერთობლივ დეკლარაციას რუსეთ-ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ. ამის შემდეგ ვლადიმირ პუტინის და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ახალი ხელმძღვანელის ჰუ ძინტაოს შეხვედრაა დაგეგმილი.*

უნდა ითქვას, რომ მოსკოვი პეკინის საგარეო პოლიტიკურ კურსში კარდინალურ ცვლილებებს არ ელოდება. რასაკვირველია, ცვლილებები არ შეეხება ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობასაც. კრემლი იმედოვნებს, რომ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში რუსეთ-ჩინეთის ორმხრივმა ურთიერთობებმა განსაკუთრებით მჭიდრო ხასიათი შეიძინა. ეს თანამშრომლობა, პირველ რიგში, სამხედრო-ტექნიკურ და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში შეინიშნება. რუსეთსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ბრუნვა წელს შარშანდელთან შედარებით 18 პროცენტით გაიზარდა და, დაახლოებით, 12 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ორივე ქვეყნის ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ამ თანხის საგრძნობლად გაზრდა შესაძლებელია. ამდენად, ანალიტიკოსების აზრით, პუტინის ვიზიტის დროს ძირითადი აქცენტი ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე გაკეთდება და მოლაპარაკებების ერთ-ერთი უმთავრესი თემა იქნება.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩინეთის და რუსეთის ხელმძღვანელები პოლიტიკის თემას გვერდს აუვლიან. მოსალოდნელია, რომ მეორე უმთავრეს განსახილველ თემად ის საერთაშორისო პრობლემატიკა იქნება, რომლიც აზიის რეგიონს უკავშირდება. მოლაპარაკებების დღის წესრიგში, გაერო-ს როლის, საერთაშორისო ტერორიზმის, ორ კორეას შორის არსებული კონფლიქტის დარეგულირების, ერაყის, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის საქმიანობის საკითხების განხილვა დგას.

მხარეები, ასევე, რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასაც განიხილავენ.

პეკინში ვიზიტის ფარგლებში რუსეთის პრეზიდენტი ძიან ძემინთან ერთად ხელს მოაწერს ერთობლივ დეკლარაციას. გარდა ამისა, მოსალოდნელია ათამდე შეთანხმების და ხელშეკრულების გაფორმება. აღნიშნული დოკუმენტები შეეხება საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევების და სხვა ეკონომიკური დანაშაულებების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას. განსაკუთრებული ყურადღება ფულის გათეთრების აღსაკვეთად ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებაზე და ამ განხრით თანამშრომლობაზე გამახვილდება. გარდა ამისა, დაგეგმილია საბანკო სფეროში თანამშრომლობის შესახებ სამი შეთანხმების გაფორმება და სამეცნიერო საკითხებში ერთობლივი პროექტების წარმართვაზე ხელშეკრულებების ხელმოწერა. ამავე ვიზიტის დროს, ტურიზმის სფეროში ორმხრივი ორგანოც ჩამოყალიბდება.

თავად რუსეთის პრეზიდენტმა ამ ვიზიტს **"დაგეგმილი, მაგრამ განსაკუთრებული"** უწოდა. მისი თქმით, რუსეთისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ როგორი ურთიერთობები ექნება ჩინეთს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან. **"ჩვენთვის ეს საკითხი პირველხარისხოვანია, რადგან ჩინეთი მსოფლიოს საკითხებში ჩვენი უმთავრესი პარტნიორია და ორმხრივ სფეროებში ასევე სერიოზული გეგმები გაგვაჩნია,"** განაცხადა პუტინმა პეკინში გამგზავრების წინ.

თავად ჩინეთშიც ამ ვიზიტს საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სავარაუდოა, რომ პუტინის და ძიან ძემინის შეხვედრა ქვეყნის ლიდერების დონეზე უკანასკნელი იქნება, რადგან 2003 წლის მარტში ძიან ძემინი ოფიციალურად ტოვებს ჩინეთის ლიდერის პოსტს. პუტინის ეს ვიზიტი შესაძლოა ჩინეთის კომპარტიის ახალ ხელმძღვანელთან და ჩინეთის მომავალ ლიდერთან ურთიერთობების დამყარების ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპად განვიხილოთ. ვიზიტის ფარგლებში პუტინის და ჰუ ძინტაოს შეხვედრაა დაგეგმილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მათი გაცნობა არ იქნება. პუტინი ჰუ ძინტაოს ჯერ კიდევ შარშან შეხვდა და მასთან მთელი რიგი საკითხების განხილვაც მოასწრო. ამდენად, რუსეთის სახელისუფლო წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინეთის მომავალი ლიდერი რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

რუსეთის პრეზიდენტის აზიურ ტურს ყირგიზეთსა და ინდოეთში ვიზიტები დაასრულებს.

# პოლიტიკურმა შუღლმა, შესაძლოა, არჩევნები კვლავ ჩაშალოს

ზელიკო ცვიანოვიჩი
IWPR-ის კორესპონდენტი
ბელგრადი

*იუგოსლავიის ორ ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსს შორის მიმდინარე ბრძოლა, სავარაუდოდ, მეორე კონსტიტუციურ კრიზისს გამოიწვევს ქვეყანაში.*

მომავალ თვეში განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნები სერბეთის პრემიერ-მინისტრ ზორან ჯინჯიჩსა და იუგოსლავიის პრეზიდენტ ვიოცლავ კოშტუნიცას შორის დაპირისპირების გამო შეიძლება კვლავ ჩაიშალოს .

ანალიტიკოსები შიშობენ, რომ 8 დეკემბერს დანიშნულ არჩევნებზე, შესაძლოა, იგივე განმეორდეს, რაც სექტემბერში მოხდა, როდესაც ამომრჩეველთა პასიურობის გამო არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა. ექსპერტების აზრით, ამის ძირითად მიზეზს პრემიერ-მინისტრის მიერ პრეზიდენტ კოშტუნიცას მხარდაჭერაზე უარი წარმოადგენს.

მართალია, კოშტუნიცა სერბეთის ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად რჩება, მაგრამ ჯინჯიჩის დახმარების გარეშე მას ხმათა 50 პროცენტის მოგროვება მაინც გაუჭირდება. მეორე მხრივ, პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერაზე დათანხმებით კოშტუნიცამ, შესაძლოა, სწორედ იმ ამომრჩეველთა ხმები დაკარგოს, რომლებიც მას მხარს სწორედ მთავრობის მკაცრი კრიტიკის გამო უჭერენ. ასე რომ, ის ჯინჯიჩისათვის საჯაროდ ამის თხოვნას ვერ ბედავს.

ქვეყნის ორ ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსს შორის არსებული დაპირისპირების მოგვარებას ცდილობს დემოკრატიული ცენტრის პარტიის ლიდერი დრაგოლუბ მიკუნოვიჩი, რომელიც, ამავდროულად, მმართველი კოალიციის - სერბეთის დემოკრატიული ოპოზიციის წევრიც არის.



*ვიოცლავ კოშტუნიცა*

მას იმედი აქვს, რომ ქვეყნის პრეზიდენტის დარწმუნებას შეძლებს, რათა მან მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა შეწყვიტოს. ამავდრულად, მიკუნოვიჩი მოუწოდებს ჯინჯიჩს, რათა ამ უკანასკნელმა კოშტუნიცას დაუჭიროს მხარი.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, არსებული კანდიდატურები - ზომიერი ნაციონალისტი ვოიცლავ კოშტუნიცა და რადიკალური მემარჯვენე შეხედულებების მქონე ვოისლავ სესეჟი და ბორისლავ პელევიჩი - ვერ შეძლებენ მოქალაქეთა დიდი ნაწილის მოზიდვას, რათა ისინი არჩევნებზე მივიდნენ.

ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური კოშტუნიცასა და რეფორმატორ კანდიდატს მიროლუბ ლაბუსს შორის მიმდინარეობდა. ლაბუსი პროფესიით ეკონომისტია. მას მხარს უჭერდნენ სერბეთის დემოკრატიული ოპოზიცია და ჯინჯიჩი.

როდესაც არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა, ლაბუსი, რომელმაც ზუსტად იმდენი ხმა მოაგროვა, რამდენიც კოშტუნიცამ, ჯინჯიჩს ჩამოშორდა და განაცხადა, რომ მეორედ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ გეგმავდა. ლაბუსს, ძირითადად, მემარცხენე-ცენტრისტული ელექტორატი ჰყავს.

ექსპერტების აზრით, იუგოსლავიის პრეზიდენტის ნაციონალისტური განცხადებები ქვეყნის მუსლიმ და უნგრული წარმოშობის მოსახლეობას გულზე არ ეხატება. მათ წინა არჩევნებზე ლაბუსს დაუჭირეს მხარი. კოშტუნიცას მმართველი კოალიციის 17 წევრიდან შვიდი უჭერს მხარს. ამდენად, ჯინჯიჩის მხარდაჭერის გარეშე ამჟამინდელ პრეზიდენტს არაფერი გამოუვა.

ახლა, სამთავრობო კოალიციაც და საერთაშორისო თანამეგობრობაც ყველაფერს აკეთებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს. 28 სექტემბერს ჩაშლილი არჩევნების შემდეგ, სერბეთის პარლამენტი დასავლეთის ზეწოლის ქვეშ მოექცა, რათა მათ მილოშევიჩისდროინდელი საარჩევნო კანონი შეცვალონ, რომლის თანახმად, არჩევნების ორივე ტურში, სულ მცირე, ამომრჩეველთა 50 პროცენტის მონაწილეობა არის აუცილებელი. იუგოსლავიის პარლამენტში შემუშავებული ახალი კანონპროექტის მიხედვით, ამომრჩეველთა ნახევრის გამოცხადება მხოლოდ პირველი რაუნდისას არის სავალდებულო.

თუმცა, კანონმდებლობაში გასატარებელი ცვლილებების გარდა, მნიშვნელოვან პრობლემებს საარჩევნო სიებიც ქმნის, რომლებიც მილოშევიჩის შემდეგ არ განახლებულა. ექსპერტების აზრით, სიებში შეტანილი 6.5 მილიონი ამომრჩევლიდან, მინიმუმ, 600 000 ყალბია. მათი ნაწილი ან მკვდარია, ან საზღვარგარეთ ცხოვრობს.

ბელგრადის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის თანამშრომლის შრეკო მიხაილოვიჩის თქმით, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 65 პროცენტმა მაინც უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, რათა კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმუმი (50 პროცენტი) დააკმაყოფილოს. მიხაილოვიჩის აზრით კი, ეს "ნაკლებ სავარაუდოა".

## მოკლედ

**ბელორუსი.** პრეზიდენტ ლუკაშენკოს განცხადებით, ის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას აპირებს. გამარჯვების შემთხვევაში, რაშიც ეჭვი არავის ეპარება, მისი პრეზიდენტობის მესამე ხანა დაიწყება. ამის შესახებ მან ბელორუსის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გამართულ ლექციაზე განაცხადა. მისდამი წაყენებულ ბრალდებას ერაყთან იარაღით უკანონო ვაჭრობის შესახებ, ლუკაშენკომ საფუძველს მოკლებული უწოდა. **"თითოეული ავტომატი, რომ არაფერი ვთქვათ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაზე, აღრიცხვაზე იმყოფება და თავისი ნომერი გააჩნია,"** განაცხადა ლუკაშენკომ. მისი თქმით, ბელორუსის ხელისუფლებას ამ ბრალდების დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ მიუღია. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ ბელორუსში იზრდება სამრეწველო საქონლის წარმოება, მაგრამ თუ ადრე ექსპორტის 80-პროცენტიანი წილი რუსეთზე მოდიოდა, ახლა ეს წილი 50 პროცენტამდეა დაყვანილი. მან აღნიშნა, რომ ბელორუსი საგარეო ეკონომიკურ კავშირებს საგრძნობლად აღრმავებს, თავის საქონელს წარმატებით ყიდის ევროპის ქვეყნებში და, ასევე, ითვისებს ახალ ბაზრებს ჩინეთსა და არაბულ ქვეყნებში. ამასთანავე, ალექსანდრე ლუკაშენკომ აღიარა, რომ ბელორუსს **"ერაყში ეკონომიკური ინტერესები გააჩნია."** მან განაცხადა, რომ ბელორუსის ლიდერს ხშირად სდებენ ბრალს სადამ ჰუსეინთან, არაბებთან და სხვა მუსულმანებთან განსაკუთრებულ მეგობრობაში, მაგრამ **"აქ საქმე ლუკაშენკოში არ არის. ბელორუსის სახელმწიფოს და ხალხის ინტერესები ჩვენ ამისკენ გვიბიძგებენ,"** განაცხადა ლუკაშენკომ.

■ ■ ■

**ავღანეთი.** ირანის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტო – "ირნას" მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილში მოულოდნელი თავდასხმის შედეგად, სულ ცოტა, 40-მდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. თავდასხმა შაბათს გამთენიისას, ავღანეთ-პაკისტანის საზღვართან ახლოს მოხდა, სადაც აშშ-ს სამხედრო ნაწილები "თალიბანის" და "ალ-ქაიდას" მებრძოლების გასანადგურებლად სპეცოპერაციას ახორციელებდნენ. ამერიკელი სამხედროების ბაზა დასახლებულ პუნქტ – შუგელში იყო განლაგებული. ეს ადგილი ქალაქებს - ჯალალაბადსა და ასდაბადს შორის მდებარეობს. "ირნას" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდამსხმელთა ვინაობა უცნობია. მათ ამერიკელებზე თავდასხმა სარაკეტო დანადგარების მეშვეობით განახორციელეს. ამ ინფორმაციას სხვა წყაროები არ ადასტურებენ.

■ ■ ■

**ალ-ქაიდა.** კენიის ქალაქ მომბასაში განხორციელებულ ტერაქტამდე რამდენიმე დღით ადრე არაბულ ინტერნეტ-საიტებზე მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის ოსამა ბინ ლადენის ამერიკელი ხალხისადმი მიმართვა გამოქვეყნდა. წერილის სრული ტექსტი ბრიტანულმა გაზეთმა "ობზერვერმა" თარგმნა და დაბეჭდა. ამ წერილში ბინ ლადენი ამერიკის მოქალაქეებსა და აშშ-ს ობიექტებზე მისი მებრძოლების თავდასხმების მიზეზის ახსნას ცდილობს. ამის უმთავრეს მიზეზად ძებნილი ტერორისტი ისრაელის სახელმწიფოს არსებობას და თეთრი სახლის მიერ წარმოებულ პროისრაელურ პოლიტიკას ასახელებს. **"ისრაელის შექმნა და მისი დღევანდელ დღემდე არსებობა ყველა დროის და ხალხის ისტორიაში უდიდეს დანაშაულს წარმოადგენს. ამ დანაშაულში კი ამერიკელებს პირდაპირი და უშუალო წვლილი მიუძღვით. არავისთვის არ არის საჭირო იმის ახსნა და მტკიცება, რომ, რაც ახლო აღმოსავლეთში ხდება, აშშ-ს ამასთან უშუალო კავშირი აქვს და მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ვაშინგტონი ისრაელს ეხმარება. არც იმის ახსნაა საჭირო, რომ, ვისი ხელიც ასეთ დანაშაულებებში ურევია, ის საკადრისად უნდა დაისაჯოს. და ფასიც მაღალი უნდა იყოს,"-** აცხადებს ოსამა ბინ ლადენი.

უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ტერორისტის ორიენტაციის ასეთი მოულოდნელი ცვლილება საკმაოდ დიდ ყურადღებას იმსახურებს. ადრინდელ მიმართვებსა და გამოსვლებში ბინ ლადენი უმთავრეს მტრად, ებრაელებთან ერთად, ვაშინგტონს განიხილავდა და ამერიკელების წინააღმდეგ ბრძოლას არაბულ ქვეყნებში ამერიკის სამხედრო ყოფნით ამართლებდა. ამჟამად კი მთავარი აქცენტი ისრაელზეა გაკეთებული. ტერორიზმის კვლევის ინსტიტუტის დოქტორის და ექსპერტის იორამ ქეხათის განმარტებით, ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უკანასკნელ ხანებში ისრაელ-პალესტინის კონფლიქტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და იმ ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომელიც მუსულმანურ სამყაროს აერთიანებს. მომბასას ტერაქტი კი ბინ ლადენის მოქმედების კურსის ცვლილების პირველ დამამტკიცებელ ფაქტს წარმოადგენს. "ალ-ქაიდას" ტერორისტულმა ქსელმა თავისი დარტყმები უშუალოდ ისრაელის ობიექტების და ებრაელი ხალხის წინააღმდეგ მიმართა.

■ ■ ■

**აშშ.** შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ თავისი მოქალაქეები იემენსა და აღმოსავლეთ აფრიკაში მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ გააფრთხილა. **"აშშ-ს მთავრობამ მიიღო ინფორმაცია, რომლის სარწმუნოებაც, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის, მაგრამ ტერორისტული აქტების განხორციელება შესაძლებელია,"** ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ მიმართვაში, რომელიც კენიაში მომხდარი ტერაქტის შემდეგ გაკეთდა. **"აშშ-ს ობიექტებზე უსაფრთხოების რეჟიმის გამკაცრებამ ტერორისტები აიძულა, დაიწყონ ისეთი ადვილად შესაღწევი ადგილების მოძებნა, როგორიცაა კლუბები, რესტორნები, სასტუმროები, რეკრეაციული ადგილები, სანაპიროები და თვითმფრინავები,"** აცხადებს სახელმწიფო დეპარტამენტი. ერთ-ერთ საშიშ ადგილად, იემენთან ერთად, დასახელებულია ჯიბუტის სახელმწიფო, რომელიც ეთიოპიას, სომალსა და ერითრეას ესაზღვრება. ამერიკის მთავრობა თავის მოქალაქეებს განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ მოუწოდებს.



# ლტოლვილი არა ვარ, მე ჩემს სამშობლოში ვცხოვრობ

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში ჩატარდა "ახალი მემარჯვენეების" ქალთა კლუბის სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონკურსის ბოლო ღონისძიება – წერითი კონკურსი. მსგავსი კონკურსები ნოემბრის ბოლო ორი კვირის განმავლობაში უკვე ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის, გორის, ოზურგეთისა და გურჯაანის ფილიალებში.*

ლელა მარგიანი

კონკურსი გარკვეული სტიმულიც იყო, რადგან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების რამდენიმეწევრიანი კომისიის მიერ თითოეულ ფილიალში გამოვლენილი ოთხი ლაურეატი (სულ 20 სტუდენტი), გამარჯვებულის სიგელთან ერთად, წინასწარ განსაზღვრულ არც-თუ მცირე ოდენობის ფულად ჯილდოსაც მიიღებს (50-დან 200 ლარამდე).

სოხუმის უნივერსიტეტში, წერით კონკურსში, 50 სტუდენტი მონაწილეობდა. გასაგები მიზეზების გამო, საკონკურსოდ შერჩეული ხუთი თემიდან ორი უშუალოდ აფხაზეთს ეხებოდა.

სტუდენტთა უმეტესობამ არჩევანი შეაჩერა თემაზე "მზეს ველოდები, ანუ..." ("უცნობის" ცნობილი წინასაარჩევნო ჰიტიდან).

სტუდენტები თხზულებებში მსჯელობენ საქართველოს მომავალზე, პარლამენტში მოკინკლავე პოლიტიკოსებზე, გაყალბებულ არჩევნებსა და, რა თქმა უნდა, აფხაზეთზე:

"აფხაზეთის კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. ის, რაც აფხაზებსა და ქართველებს შორის მოხდა, იყო ძმათა შორის სისხლისღვრა, რომელიც არასდროს არ უნდა გამეორდეს", - წერს ერთ-ერთი.

"საქართველო აფხაზეთიდან, სოხუმიდან იწყება. რომელი პარტია მოვა ხელისუფლების სათავეში, ამას რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, თუ ის ერის კეთილდღეობისა და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის არ იბრძოლებს", - ფიქრობს სხვა.

თურმე, სტუდენტები ძალიან მტკივნეულად განიცდიან, როცა მათ უწოდებენ "ლტოლვილს", "დევნილს". აი, რას წერს ერთ-ერთი მათგანი: "ეს სიტყვები საშინლად მაღიზიანებს. ჩემი მშობლები თვლიან, რომ ისინი სამშობლოდან არიან გამოძევებული. თითქოს მათი სამშობლო მხოლოდ აფხაზეთით, სოხუმით შემოიფარგლება. არა მგონია, რომ ეს ასე იყოს". მეორე სტუდენტი წერს: "ლტოლვილია, - ასე გააცნო ჩემი თავი მასწავლებელმა ამხანაგებს. სახლში მისულმა დედას ვკითხე, რას ნიშნავდა ეს სიტყვა. მან მიპასუხა, რომ მე სამშობლოდან გამომაგდეს და ახლა სხვის ქვეყანაში ვიმყოფები. ერთი რამ მიკვირდა, "სხვის ქვეყანაში" ქართულად რომ ლაპარაკობდნენ...

არა, მე არ ვარ ლტოლვილი, რადგან ჩემს სამშობლოში ვარ და არა სხვა ქვეყნის კალთას შეფარებული. მე, ალბათ, დროებით ადგილნაცვალი უფრო ვარ და, იმედი მაქვს, ღმერთი არ გაწირავს საქართველოს", - ასე მიაჩნია მესამეს.

ამ დარდით და საფიქრალით სწავლობენ და ცხოვრობენ აფხაზეთიდან ადგილნაცვალი სტუდენტები და, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მათ თბილისელ თანატოლებს, მათაც სცივათ, ცუდ პირობებში არიან და, როგორც სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ოთარ ჭურღულიამ გვითხრა, ზოგჯერ "ლექციებზე შიმშილისგან გულიც მისდით", სტუდენტთა ნაწერებში მაინც იგრძნობა მომავლის იმედი.

"ქალთა კლუბის" თავმჯდომარემ, მაია გეგიამ, "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში პროფესორ-მასწავლებელთა კომისია განიხილავს საკონკურსო ნამუშევრებს და გამარჯვებულები საზეიმოდ დაჯილდოვდებიან.

# წუნიებს ლილოც სანატრელი გაუხდათ

თბილისის მერიის ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა თავშესაფრებით უზრუნველყოფას აციებამდე მოასწრებდა. ამ დაპირებამ მესამე კატეგორიის ავარიული სახლების ზოგიერთი მეპატრონე შეაგულიანა და ფონდის მიერ პირველ ეტაპზე ლილოსა და ფონიჭალაში ნაყიდი ბინები დაიწუნა. მერია ფულს ხელახლა რომ გადმოგირიცხავთ, იმითი ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი ბინები გვიყიდეთო, მოსთხოვეს დაზარალებულებმა ფონდის ხელმძღვანელობას. თუმცა, დღეს ბევრ მათგანს ლილოც სანატრელი გაუხდა.

მერიისა და პრეზიდენტის ფონდის არაერთგზის დაპირებისა და სახელმწიფო მინისტრის მოთხოვნის მიუხედავად, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდს სექტემბერში მისაღები 2,5 მლნ. ლარი დღემდე არ მიუღია. მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსმა ერთი თვის წინათ განაცხადა, რომ ქალაქის ბიუჯეტიდან შეპირებულ თანხას ფონდი წლის ბოლომდე მთლიანად მიიღებდა, მაგრამ, ჯერჯერობით, 200 ათასზე მეტი არ გადარიცხულა. ფონდის ხელმძღვანელს ზურაბ გუდავაძეს კი განუცხადეს, რომ პრეზიდენტის ფონდიდან 1,5 მლნ. ლარის გადასარიცხად პარლამენტის დადგენილებაა საჭირო და ეს საკითხი, სავარაუდოდ, დეკემბრის დასაწყისში გადაწყდება. **"24 საათი"**

## მოკლედ

**ზუგდიდი.** აფხაზეთის განათლების სამინისტროს ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის 55-მა პედაგოგმა სექტემბრისა და ოქტომბრის ხელფასი ორიოდე დღის წინათ მიიღო, ხოლო ნოემბერისას დეკემბრის დასაწყისში ელიან. როგორც ცნობილია, ამ სკოლის პედაგოგები ხელფასების მიუღებლობის გამო გასულ კვირას გაიფიცნენ. აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილის ვახტანგ გასვიანის თქმით, მასწავლებლების გაფიცვა დასრულდა და სასწავლო პროცესიც განახლდა. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლას წლეულს „წლის საუკეთესო სკოლის" ტიტული მიენიჭა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**კოდორი.** კოდორის ხეობის აჟარის საშუალო სკოლა სახელმძღვანელოებისა და ინვენტარის მწვავე დეფიციტს განიცდის. მასწავლებლებს ბოლო 12 წლის განმავლობაში არ მიუღიათ კომუნალური თუ სამივლინებო დახმარება, რაც, სკოლის დირექტორის რუსუდან პირველის აზრით, მასწავლებელთა უფლებების დარღვევაა. გარდა ამისა, აჟარის საშუალო სკოლის პედაგოგებს არ მიუღიათ მიმდინარე სასწავლო წლის ოქტომბრისა და ნოემბრის ხელფასები. ამჟამად სკოლაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი 60 ათასი ლარით ფინანსდება. სკოლის დირექტორის თქმით, მატერიალური და ტექნიკური დახმარება აღუთქვეს მოქალაქეთა კავშირმა, გაერო-მ და სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, თუმცა, სკოლა შეშითა და ღუმელებით საკუთარი ხარჯებით მოამარაგეს. წლეულს სკოლაში, რომელიც აფხაზეთის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია, 160-მდე მოსწავლეა, რაც შარშანდელზე ნაკლებია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** 8 დეკემბერს სოხუმში ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია გაიხსნება. როგორც კავკას-პრესისათვის გახდა ცნობილი, ამ ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები დასრულებულია. ეკლესია 1913 წელს აიგო, თუმცა, პირველი ჩამოსახლებული ლუთერანელები აქ ერთი საუკუნით ადრე 1817 წელს გამოჩნდნენ. შესაბამისად, აღსდგება საეკლესიო მსახურება. საზეიმო დღეებში იქ ჩავლენ მორწმუნე ლუთერანელები სოხუმის მიმდებარე სოფლებიდან: კელასურიდან, ზედა ეშერადან, ესტონკადან და ლიძავადან. ეკლესიის ლუთერანული მრევლისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება აფხაზეთის ხელისუფლებამ დიდი ფიქრის შემდეგ, საქართველოს მოქალაქის, პასტორ ჰიუმელის მორიგი მიმართვის შემდეგ მიიღო. აფხაზურმა მხარემ საამისოდ პირობა დასვა. კერძოდ, ეკლესიის საქმიანობა და შემდგომი დახმარება სოხუმის ლუთერანული ეკლესიის განვითარებისათვის მხოლოდ რუსეთის ეკლესიათა კავშირის გზით განხორციელდება. სულ ეკლესიის აღსადგენად დაიხარჯა 65 ათასი დოლარი. ეკლესიაში მსახურებას წარმართავს გერტ ჰიუმელი, რომელიც სოხუმში თბილისიდან თვეში ერთხელ ჩავა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ავტობუსების საქალაქთაშორისო 30 მარშრუტზე ხელახალი ტენდერი გამოცხადდება. ადმინისტრაციის მიერ ყველა მარშრუტის შემოწმების შედეგად სწორედ ამ რეგიონში უამრავი დარღვევა დაფიქსირდა. როგორც რეგიონის სატრანსპორტო სამსახურში განაცხადეს, ტენდერი, სავარაუდოდ, იანვარში გამოცხადდება და მცხეთის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში ჩატარდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წყალდიდობის შედეგად დაზიანებული გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმების აღსადგენად ვანის რაიონის ხელმძღვანელობა 2003 წლის ბიუჯეტის პროექტში 50 ათასი ლარის გათვალისწინებას ითხოვს. ამის გარდა, როგორც ვანის რაიონის გამგეობაში აცხადებენ, 50 ათასი ლარი გადამწვარი კინოთეატრისა და 30 ათასი ლარი ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის შენობების აღდგენას სჭირდება, ხოლო 100 ათასი ლარი - სოფელ განოჯას დანგრეული სკოლის შენობას. **მედია-ნიუსი**

*1 დეკემბერი - შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე*

# შიდსის წინააღმდეგ - გამართული გეგმით და ნახევრად ცარიელი ჯიბით

*შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, 1 დეკემბერს, საქართველოშიც, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მთელი კვირეული უძღოდა წინ. მის ფარგლებში, მსურველები უფასოდ გამოიკვლიეს ამ საშიშ ინფექციაზე, უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლების უფროს კლასებში ჩატარდა სპეციალური კონკურსები, საგანმანათლებლო ღონისძიებები, გავრცელდა შიდსის საწინააღმდეგო საინფორმაციო მასალები და ბუკლეტები. საინფორმაციო მასალები მოხალისეებმა გუშინ თბილისის ქუჩებშიც დაარიგეს. ქართული საზოგადოება თანდათან ეჩვევა იმ აზრს, რომ შიდსი არ ხუმრობს.*

მაკა ჯაიანი

შარშან, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ბაზაზე მიწვეულმა ექსპერტთა ჯგუფმა, გაერო-ს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, საქართველოში შიდსის სიტუაციური ანალიზი მოამზადა. შესწავლილ იქნა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, დემოგრაფიული, განათლებისა და შიდსთან დაკავშირებით საინტერესო სხვა საკითხები. ანალიზით გამოიკვეთა, რომ: საქართველოში შიდსის გავრცელების ძირითადი წყაროა ინტრავენური ნარკომანია, მოსახლეობაში ამ ინფექციასთან დაკავშირებით ცოდნის ძალიან დაბალი დონეა, სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, უმაღლეს სასწავლებლებში კი აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოებაა საჭირო, მაღალია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების რისკი. გაირკვა ისიც, რომ სახელმწიფოს არა აქვს ამ მიმართულებით ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელებისთვის საკმარისი არც ადამიანური და არც ფინანსური რესურსები, ქვეყნის კანონმდებლობა კი მნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებს.

წლეულს, ისევ გაერო-ს ბავშვთა ფონდის დახმარებით, იმავე ბაზაზე, შიდსთან ბრძოლის ღონისძიებათა საპასუხო ანალიზი და სტრატეგიული გეგმა მომზადდა. დოკუმენტი 2003-2007 წლებზეა გათვლილი. მის ფარგლებში, საქართველოში უნდა გაფართოვდეს ზიანის შემცირების პროგრამა, რომელიც რისკ-ჯგუფებთან მინენსიურ საინფორმაციო მუშაობას, თავდაცვისა და ერთჯერადი საინექციო საშუალებებით მათ მომარაგებას გულისხმობს და ამჟამად მხოლოდ პილოტურ დონეზე ხორციელდება. 2007 წლისთვის საქართველოს რეგიონებში ხუთი ასეთი პროგრამა ამუშავდება. პარალელურად განხორციელდება პროგრამა Peer Education, რომელიც შიდსთან და მის მაპროვოცირებელ დაავადებებთან დაკავშირებული ინფორმაციის თანატოლიდან თანატოლზე გადაცემას ითვალისწინებს. ამ თვალსაზრისით მუშაობა გაფართოვდება როგორც რისკ-ჯგუფებთან, ისე სტუდენტებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან.

გეგმა ნარკომანებისთვის კონფიდენციალური სამსახურების განვითარებასაც მოიცავს. გაფართოვდება ნებაყოფლობითი კონსულტაციების, ფსიქოლოგიური დახმარებისა და ტესტირების ქსელი, რომელიც ჩვენს ბაზაზე უკვე მუშაობს. 2007 წლისთვის, ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ასეთი ცენტრი უნდა იყოს. დაგეგმილია, ზიანის შემცირების პროგრამა ციხეებშიც შეიტანონ. ნარკომანები, ჩვენი კანონმდებლობით, კრიმინალები არიან, მათი დიდი ნაწილი საპატიმროებშია, იქ კი ნარკოტიკებიც შედის და ერთსა და იმავე შპრიცსაც ხშირად იყენებენ. ნებაყოფლობით კონსულტაციებს, ფსიქოლოგიურ დახმარებასა და ტესტირებას ითვალისწინებს პოგრამა, რომელიც ცალკე, მეძავებისთვის განხორციელდება. ამ რისკ-ჯგუფისთვის ჩაფიქრებულია ჯანმრთელობის კაბინეტებში მათი უფასო სამედიცინო მომსახურება, კონსულტირება, შემოწმება, დიაგნოსტირება და მკურნალობა. გვინდა, ესეც მხოლოდ თბილისის დონეზე არ დარჩეს. გეგმაში ჩადებულია ნარკომანებისა და მეძავების თავდაცვის საშუალებებით უფასო მომარაგება და მათთან საგანმანათლებლო მუშაობა. პარალელურად, სკოლებში დაიწყება შიდსის პრევენციის საგანმანათლებლო სწავლება.

დაგეგმილია ასევე ორსულ ქალთა მომსახურების გაფართოება. ფინანსების უკმარისობის გამო, დღეისთვის ამ კატეგორიას შიდსზე ვერ იკვლევენ. სტრატეგიულ გეგმაში ჩაიდო ორსულთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების განვითარება და მათი ტესტირება შიდსზე. პროგრამა დაიწყება მაღალი რისკის ორსულებით, იმ ქალებით, ვისაც ისტორიაში სისხლის გადასხმა ან სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, შემთხვევითი სქესობრივი კავშირები აქვს დაფიქსირებული. შემდეგ გამოკვლევები ორსულთა დანარჩენ ნაწილზეც გავრცელდება. გეგმა ითვალისწინებს ასევე წვრთნებს მედიცინის მუშაკების, გინეკოლოგებისა და მეანებისთვის, რათა ორსულებს შიდსთან დაკავშირებით საჭირო კონსულტაცია ჩაუტარონ და ტესტირების აუცილებლობაში გაარკვიონ. გათვალისწინებულია მათი განსწავლა იმაშიც, თუ როგორ მოემსახურონ ინფიცირებულ ორსულებს ისე, რომ თავად არ დაავადდნენ.

პარალელურად, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 8 ოქტომბრის



*აქციაზე*

№587 ბრძანებულების საპასუხოდ, საქართველოში აივ ინფექცია-შიდსის პრევენციის ეროვნული მულტისექტორალური გეგმაც შეიქმნა. ვადებში იგი ზემოხსენებულ გეგმას ემთხვევა და კონკრეტულ ღონისძიებებს შეიცავს აღმასრულებელი სტრუქტურებისთვის. მაგალითად, განათლების სამინისტროს ევალება სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევების სწავლების შემოღება და ამისთვის საჭირო კადრების მომზადება, ასევე პროგრამის დამუშავება, პილოტირება, ფართო დანერგვა. ყველაფერი ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს. იუსტიციის სამინისტრომ კანონმდებლობის დახვეწაზე უნდა იზრუნოს და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შიდსის პროფილაქტიკას შეუწყოს ხელი. შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს დაევალათ საკუთარი კადრების, როგორც რისკ-ჯგუფში შემავალი კონტინგენტის, შემოწმება შიდსზე. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტრომ თავის სამედიცინო ბაზაზე სპეციალური ლაბორატორია უნდა ჩამოაყალიბოს. ჯანდაცვის სამინისტრო მოქმედ პროგრამებს გააფართოებს. პროგრამაში აქტიურად ჩაერთვებიან მასმედია და ახალგაზრდული ორგანიზაციები. ეს უკანასკნელნი, ძირითადად, საგანმანათლებლო სამუშაოებს ჩაატარებენ კონცერტების, ღონისძიებების, რაიონებში სხვა გასვლების სახით.

სახელმწიფომ, როგორც იქნა, აღიარა, რომ შიდსის პროფილაქტიკაზე ზრუნვა მხოლოდ ერთი უწყების - ჯანდაცვის სამინისტროს საქმე არ არის. ახლა სიტყვა ფინანსურ უწყებებზეა. მარტო სტრატეგიული გეგმის განხორციელებას 16 მილიონი დოლარი ესაჭიროება. დღეს უკვე ამბობენ, რომ აქედან სახელმწიფოს 6-7 მილიონი დოლარის დაფარვა თუ შეუძლია. სად უნდა მოვიპოვოთ დანარჩენი 9-10, ჯერ არავინ იცის. მოლაპარაკებები დონორ ორგანიზაციებთან მოკლე ხანში დაიწყება. ალბათ, "ზოგი ჭირის" პრინციპი გვშველის - შიდსი ერთი ქვეყნის პრობლემა ვერ იქნება.

# შიდსზე საუბრისას წითლდებიან...

*შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებდა შიდსის თემაზე კონკურსს ორ ნომინაციაში. კონკურსის თანახმად, თბილისის 100-ზე მეტ უფროსკლასელ მოსწავლეს შიდსის თემაზე პლაკატი და ესსე უნდა შეექმნა.*

ირინე სანებლიძე

საქართველოში ამოქმედდა "გაერო-ს მოსახლეობის ფონდის" სამწლიანი პროექტი - "სოციალური მარკეტინგი ახალგაზრდობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის". პროექტს განახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაცია "მოსახლეობის საერთაშორისო მომსახურების" საქართველოს წარმომადგენლობა. პროექტის დანიშნულებიდან გამომდინარე, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე ყურადღების მიღმა არ დარჩა.

ამ დღეს მიეძღვნა თბილისის უფროსკლასელ მოსწავლეთა ნახატების გამოფენა ელენე ახვლედიანის სახელობის გალერეაში. მოსწავლეთა ნამუშევრები მძაფრი იყო, რაც, თემისა და პრობლემის გათვალისწინებით, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო. ნახატების სიმძაფრე გამოიხატებოდა ჩონჩხებით, ნემსებით, სათაურებით: "განგაშის ზარი გვიხმობს", "შიდსი სასიკვდილოა", "ნარკომანია და გარყვნილება", "მომავალი იღუპება", "სასიკვდილო სიამოვნება", "დაფიქრდი მომავალზე", "ერი იღუპება", "გაუფრთხილდით სიცოცხლეს", "Когда побеждает Разум?!", "გონს მოეგეთ!" და სხვა.

ღონისძიების მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე საუბრისას კონკურსის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მოსახლეობის საერთაშორისო მომსახურების მარკეტინგის მენეჯერმა ირაკლი ხვედელიძემ გვითხრა: "ჩვენი მიზანი იყო, საშუალო სკოლების უფროსკლასელებში შიდსის პრობლემა წინა პლანზე წამოგვეწია. გვინდოდა, გაეგოთ და დაინტერესებულიყვნენ, რას ნიშნავს შიდსი. ჩვენც გვაინტერესებდა, რას ფიქრობს მოსწავლე ახალგაზრდობა შიდსზე და თვითგამოხატვის საშუალება მივეცით. ეს გამოფენა ნათელი სურათია იმისა, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოების ეს ნაწილი შიდსს".

"საზოგადოებას, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდებს, რატომღაც, უჭირთ შიდსზე საუბარი. ზოგს ურჩევნია, თავისი სათქმელი ნახატით ან ესეთი გამოხატოს; ეს ღონისძიება ამითაცაა ღირებული და მნიშვნელოვანი", - აღნიშნა თამარ ხომასურიძემ, "გაერო-ს მოსახლეობის ფონდის ოფისის" წარმომადგენელმა.



*გამოფენაზე*

როგორც მოსალოდნელი იყო, გამოფენას, ძირითადად, მონაწილეთა მშობლები, ნათესავები, მეგობრები ესწრებოდნენ. ბევრი მათგანი არც უფროსკლასელი იყო და არც ის იცოდა, რას ნიშნავს შიდსი: "ანანოს შიდსის გამოფენაზე მოვედი", - გვითხრა ანანოს რვა წლის დამ. უფროსკლასელებთან შიდსზე საუბრისას ზოგმა მედიცინის ენაზე გაგვიმარტა, რომ "შიდსი - ეს არის შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის აბრევიატურა და იგი აივ-ინფექციის საბოლოო სტადიაა", ზოგიც, უბრალოდ, მორცხვად გატრიალდა...

# ოფიციალურად საქართველოში 361 ადამიანია ინფიცირებული, რეალურად-2000!

გუშინ, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შიდსის წინააღმდეგ რესურსების მობილიზაციის მიზნით, სასტუმრო „შერატონ მეტეხ პალასში" გაიმართა შეხვედრა საერთაშორისო დონორებისა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან. როგორც ამ შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ექიმმა მაია ცინცაძემ განაცხადა, დღეისთვის საქართველოში შიდსით 361 ადამიანია ინფიცირებული. აქედან შიდსი 74 პაციენტს განუვითარდა, ანუ მათი შიდსის საწინააღმდეგო რეტროვირუსული მკურნალობაა საჭირო, თუმცა მკურნალობის კურსი ძვირია და სახელმწიფო ბიუჯეტი სრულად მხოლოდ ექვსი ავადმყოფის მკურნალობას უზრუნველყოფს. დანარჩენებს შიდსით გამოწვეული სიმპტომების მიხედვით უტარდება მკურნალობა. ცენტრის ხელმძღვანელის თენგიზ ცერცვაძის ინფორმაციით, სახელმწიფოს ჯერჯერობით არ აქვს შიდსთან ბრძოლის პროგრამის გაფართოების საშუალება. დონორებთან გამართული შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო სწორედ დამატებითი სახსრების მოძიება. სპეციალისტთა შეფასებით, ოფიციალური სტატისტიკა არ ასახავს საქართველოში შიდსის გავრცელების რეალურ სურათს. ექსპერტთა შეფასებით, ინფიცირებულთა რიცხვი არა 361-ია, არამედ 2000-ს აღწევს.

* * *

განათლების სისტემა აქტიურად მიიღებს მონაწილეობას შიდსთან ბრძოლის საქმეში. როგორც გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე განათლების მინისტრის მოადგილემ რუსუდან გორგილაძემ განაცხადა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა აუცილებლად უნდა დაინერგოს განათლების სისტემაში. დღესვე გაიმართა შიდსის თემაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება. კონკურსში სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მათ შიდსის თემაზე ნახატები და ესეები შექმნეს. კონკურსი განათლების სამინისტროსთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციამ "პი-ეს-აი" და გაერო-ს მოსახლეობის ფონდმა მოაწყვეს. ორგანიზატორებმა კონკურსში გამარჯვებული ექვსი მოსწავლე დააჯილდოვეს.

* * *

საქართველოში ვერტიკალური გზით, ანუ დედიდან ბავშვზე შიდსის გადაცემის უკვე ორი შემთხვევა დაფიქსირდა. ინფექციური პათოლოგიების, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიების ცენტრის ინფორმაციით, ამჟამად შიდსით ინფიცირებულია 22 წლის ორსული ქალი, ანუ არსებობს საშიშროება, ბავშვი ინფიცირებული დაიბადოს. ორსულის მტკიცებით, მას შიდსი მეუღლისგან გადაეცა. ქმრის დაავადების გაგების დროს ცოლი უკვე 5 თვის ორსული ყოფილა. მას სპეციალური მკურნალობის კურსი უტარდება. სპეციალისტთა ინფორმაციით, ამ შემთხვევაში ბავშვის ჯანმრთელად დაბადების 30-პროცენტიანი შანსი არსებობს.

* * *

გაერო-ს შიდსის პროგრამის მონაცემებით, შიდსი შესულია მსოფლიოში სიკვდილის ძირითადი მიზეზების ათეულში. ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე ინფიცირებულია 40 მილიონი ადამიანი, მათ შორის 37,1 მილიონი მოზრდილი და 3 მილიონი 15 წლამდე ასაკის ბავშვია. ინფიცირებულთა შორის 18,5 მილიონი ქალია. ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე შიდსით 24,8 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა. მარტო შარშან მსოფლიოში გამოვლინდა შიდსის 5 მილიონი ახალი შემთხვევა, მათ შორის 800 ათასი 15 წლამდე ასაკის ბავშვი იყო. ეს მონაცემები დღეს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე გაერო-ს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა კავკასიაში ისმაილ ოლდ შეიხ აჰმედმა გამოაქვეყნა. გაერო-ს ბავშვთა ფონდი შიდსთან ბძროლაში საქართველოს ყველაზე მეტ დახმარებას უწევს. ისმაილ ოლდ შეიხ აჰმედის ინფორმაციით, დახმარება გაისადაც გაგრძელდება და გაფართოვდება.

***მედია-ნიუსი.***

# პოლიცია მცირეწლოვანი და გონებაშეზღუდული ბავშვების წინააღმდეგ

*მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში, კარგა ხანია, ექვსი არასრულწლოვანის სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. განსასჯელთაგან ერთი გონებრივად ჩამორჩენილია, ერთიც, სავარაუდოდ - მცირეწლოვანი. განსასჯელებს ფიქრის გორაზე სარდაფის გაქურდვა, იარაღის მოპარვა და შენახვა ბრალდებათ. სისხლის სამართლის საქმემ ექვსი მოსამართლის ხელში გაიარა და საბოლოო განაჩენის გამოტანა, სულ ცოტა, 19-ჯერ გადაიდო. ამასობაში რამდენიმე განსასჯელს სექტემბერში მე-5 საპყრობილიდან გაქცევის მცდელობაში მონაწილეობაც დაბრალდა და ამან მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. განსასჯელთა ახლობლები ირწმუნებიან, რომ სამართალდამცველებს ამ ბავშვების მიმართ კერძო ინტერესები ამოძრავებთ.*

სოფიკო ჩხაიძე


გოგიტა ბახაიძის ფოტო

*არასრულწლოვნები სასამართლო პროცესზე*

წელს, აპრილში დავით ასატუროვსა და მის რამდენიმე მეგობარს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ ფიქრის გორაზე სარდაფის გაქურდვის, იქიდან დიდძალი იარაღის წამოღებისა და შენახვისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ამის შემდეგ საქმის გამოძიება, ფაქტობრივად, შეჩერდა, ანუ შეჩერდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. გამომძიებლები, რომლებსაც 14-15 წლის ბავშვებს სარდაფის გაქურდვას და საკმაოდ მძიმე დანაშაულს - იარაღის უკანონო შენახვას ედავებოდნენ, მოპარული იარაღის წარმომავლობით არც დაინტერესებულან. თავად გაქურდული სარდაფის მეპატრონე ამბობს, რომ მის სარდაფში იარაღის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. სამართალდამცველებმა სარდაფის მეპატრონეს დაუჯერეს, დავით ასატუროვს კი - არა. მისი თქმით, სარდაფში იარაღის აღმოჩენის შესახებ მეგობარმა, ბაჩო გოგინაშვილმა უამბო. მანვე წამოიღო ეს იარაღი და შეინახა.

სხვათა შორის, ბაჩო გოგინაშვილი, რომელიც ამჟამად ასატუროვთან ერთად განსასჯელის სკამზე ზის, უდედმამოა და საკუთარ ასაკს ვერ ასახელებს. მისი დაბადების თარიღად სისხლის სამართლის საქმეში 1985 წელია მითითებული. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, ცირა თელოიანი კი ამბობს: **"გარეგნულად ის ძალიან პატარას ჰგავს. ეჭვი მაქვს, რომ ასაკით საერთოდ არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. საქმეში მითითებულმა გოგინაშვილის დაბადების თარიღმა დამაეჭვა და ამიტომ გორში, სადაც გოგინაშვილი დაიბადა, შეკითხვა გავგზავნეთ. აღმოჩნდა, რომ არც სამშობიარო სახლში, არც მმაჩის ბიუროში ამ ბავშვის დაბადების თარიღი დაფიქსირებული არ არის. როგორ დაადგინა გამოძიებამ, რომ იგი თხუთმეტი წლისაა, გაურკვეველია".**

გამოძიების დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე, გონებრივად ჩამორჩენილი განსასჯელის - ბალაშვილის საგამოძიებო მოქმედებებში ჩართვა. სხვათა შორის, გამომძიებელს ბალაშვილის ფსიქიური მდგომარეობა სისხლის სამართლის საქმეშიც კი აქვს აღნიშნული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისთვის ჩვენების ჩამორთმევა მაინც მართლზომიერად მიიჩნია.

რაც შეეხება ამ სასამართლო პროცესით პოლიციელთა დაინტერესებას, როგორც დავით ასატუროვის დედა, დიანა ჯაყელი ამბობს, მის ვაჟს პოლიციელები, კარგა ხანია, დევნიან. ჯერ იყო და, ერთი მუჭა მზესუმზირის ქურდობა დააბრალეს და პოლიციაში აღრიცხვაზე აიყვანეს, რადგან ოჯახმა, მოთხოვილი 100 ლარის ნაცვლად, მხოლოდ 50-ის გადახდა მოახერხა.

**"უკვე აღრიცხვაზე აყვანილ ბავშვს ვინ მოეშვებოდა – ცოტა ხანში მურაბის ქილის მოპარვისთვის 2000 დოლარის გამოძალვას ცდილობდნენ. ჩვენ ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობთ, ეს თანხა ჩვენთვის ფანტასტიკურად ჟღერდა და, რა თქმა უნდა, ვერ გადავიხდიდით. შესაბამისად, პოლიციელთა რეაქციამაც არ დააყოვნა: დათოს, რომელმაც მანქანის ტარება არ იცის, მანქანის გატაცება დააბრალეს და, პოლიციის განყოფილებაში მიყვანილი, გონის დაკარგვამდე სცემეს"**, - ამბობს დიანა ჯაყელი. ეს 2001 წლის დეკემბერში მოხდა. ნაცემი ბავშვის დაზიანებები და ცემის შედეგად განვითარებული კომოციო (ტვინის შერყევა) სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა. საკუთარი უფლებების დასაცავად ასატუროვების ოჯახმა სახალხო დამცველის აპარატს მიმართა. თუმცა, საჩივრის განცხადება მალევე უკან გამოიტანეს. როგორც ასატუროვები ამბობენ, - დამნაშავე პოლიციელები გვემუქრებოდნენ და შეგვეშინდაო.

ასატუროვებსა და სამართალდამცველებს შორის ურთიერთობა რამდენიმე თვეში კვლავ გამწვავდა: **"14 მარტს, დილით სახლში შვიდი ადამიანი შემოგვივარდა, დათო ცემით შეაგდეს მანქანაში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მოგვიანებით პოლიციელებმა მოგვაკითხეს, დაგვიჯერეთ და ყველაფერი კარგად იქნებაო, - გვითხრეს და ჩემს მეუღლეს გაურიგდნენ. რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ დათო 25 დღეში გაათავისუფლეს და გათავისუფლებიდან ძალიან მალე კვლავ დააკავეს. ახლა უკვე ბავშვს დიდძალი იარაღის ქურდობას აბრალებდნენ"**, - გვიამბო დიანა ჯაყელმა.

ასატუროვების ოჯახის მტკიცებით, მათ ოჯახს მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის მე-3 ქვეგანყოფილების თანამშრომლები, კერძოდ კი, ამ ქვეგანყოფილების უფროსი - გიორგი ცააძე ებრძვის, რადგან სწორედ მას აბრალებენ ისინი თავის დროზე დავით ასატუროვის ცემას. სხვათა შორის, ასატუროვის ცემასთან დაკავშირებით 2002 წლის 20 მაისს მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა, თუმცა მერე, ასატუროვებისვე თხოვნით, ძიება შეჩერდა.

**"პოლიციელები გვემუქრებოდნენ, - უმცროს ვაჟსაც გაგიუბედურებთო. არაერთხელ მოგვაკითხა გიორგი გამსახურდიამ, რომელიც ცაბაძის ახლო მეგობარია. ჩვენგან ცაბაძის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის გამოტანას ითხოვდა. შეგვეშინდა და დავეთანხმეთ**, - გვითხრა დიანა ჯაყელმა, - **ახლა კი უკვე ყველაფერს აკეთებენ, რომ დათო ციხიდან არ გამოვიდეს. შიშობენ, რომ მისი გათავისუფლების შემთხვევაში ჩვენ დათოს ცემის საქმის გამოძიების განახლებას მოვითხოვთ. ამიტომაც იწელება სასამართლო პროცესი, რადგან სამართლიანი განაჩენის გამოტანა დათოს გათავისუფლებას ნიშნავს".**

და ბოლოს, დავით ასატუროვისთვის იმავე მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება ზედმეტად ჩათვალა. მოგვიანებით კი ეს გადაწყვეტილება, რატომღაც, შეცვალა. ასატუროვის ადვოკატმა სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და ამ დღეებში საოლქო თავის ვერდიქტს გამოიტანს. როგორ შეცვლის ეს ყველაფერი დავით ასატუროვის ბედს, ჯერჯერობით უცნობია.

# სტუმარი მასპინძლის მშობლების მკვლელობაშია ეჭვმიტანილი

თამარ კაციტაძე

რამდენიმე დღის წინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოში შეტყობინება მივიდა - ცოლ-ქმარი - 75 წლის მიხეილ მაისურაძე და 67 წლის მერი ქადაგიშვილი საკუთარ სახლში დაეხოცათ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებამ ნათელი გახადა, რომ მკვლელობა გაძარცვის ნიადაგზე მოხდა. მკვლელმა დიაბეტით დაავადებული ქალი, რომელიც ლოგინიდან ვერ დგებოდა, თავში ბლაგვი საგნის ერთი დარტყმით მოკლა. როგორც ჩანს, ამ დროს სახლში მის მეუღლეც დაბრუნდა. მძარცველმა ოჯახის უფროსს ოთახში შესვლისთანავე თავი გაუპო.

დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის კრიმინალური პოლიციის უფროსის, ოთარ მიქაძის თქმით, იმავე დღეს დაიკითხნენ ოჯახის წევრები. **"გარდაცვლილების შვილის - თამარ მაისურაძის დაკითხვისას მივხვდით, რომ იგი რაღაცას მალავდა. რამდენიმე საათი დაგვჭირდა იმისათვის, რომ დაგვერწმუნებინა, რომ მას და მის ახლობლებს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდათ. დავპირდით იმასაც, რომ დაცვას დავუნიშნავდით. ბოლოს, როგორც იქნა, თამარ მაისურაძემ ყველაფერი გვიამბო"**, - გვითხრა ოთარ მიქაძემ.

ცოლ-ქმარი მაისურაძეები ნინოშვილის ქუჩაზე, სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდნენ. მათი ქალიშვილი - თამარ მაისურაძე კი, მეუღლე ჯიმი მჟავანაძესთან და ვაჟიშვილთან ერთად - მესამე სართულზე.

19 ნოემბერს ჯიმი მჟავანაძეს წყალტუბოს რაიონიდან ბიძაშვილი ვალერი მელქაძე ესტუმრა და რამდენიმე დღე ნათესავთან დარჩა. როგორც ოჯახის წევრები ვარაუდობენ, საღამოობით ნარდის თამაშის დროს მელქაძემ მიხეილ მაისურაძისგან შეიტყო, რომ მაისურაძეებს სახლში ძვირადღირებული ოქროს ყელსაბამი და სხვა ძველებური ოქროულობა ჰქონდათ. სიძის ნათესავმა მოხუცი მასპინძლისგან ისიც გაიგო, რომ 24 ნოემბერს მას სამსახურში ფული უნდა აეღო.

**"მშობლების ბინის ერთი გასაღები მე მქონდა. საღამოს მამაჩემი სახლში რომ დაბრუნდა, დამიძახა, გასაღები ჩამომიტანეო, მაგრამ გასაღები თავის ადგილას აღარ დამხვდა. ვიდრე ვეძებდი, სახლში ვალერი მელქაძეც შემოვიდა. ცოტა ხანში გასაღები ძველ ადგილას აღმოვაჩინე. ვიდრე მამასთან ჩავედი და ამოვედი, ვალერი სადღაც წასულიყო"**, - გაიხსენა დაკითხვისას თამარ მაისურაძემ.

გამოძიების ვარაუდით, მელქაძემ მოპარული გასაღებით მეორე სათულზე შესასვლელი კარი გააღო და მერი ქადაგიშვილი მოკლა. ამ დროს მიხეილ მაისურაძის ხმა გაიგო, გასაღები ძველ ადგილას დააბრუნა, თავად კი, ვიდრე მოხუცი სახლამდე მივიდოდა, ისევ უკან დაბრუნდა. იგი კარების უკან დაიმალა და ოჯახის უფროსი სახლში შევიდა თუ არა, თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა და მოკლა. შემდეგ მელქაძემ ოქროულობა მოიპარა, მაისურაძეს ფული ამოაცალა, კარები ჩაკეტა და დასაძინებლად ბიძაშვილის სახლში ავიდა.

**"მშობლები რომ აღარ დამიკავშირდნენ, ქვევით ჩავედი, მაგრამ კარები დაკეტილი დამხვდა. მათ არც დაკაკუნების შემდეგ მიპასუხეს. შემდეგ ტელეფონით დავურეკე, ყურმილიც არ აიღეს. ავფორიაქდი, მინდოდა ვალერისთვის მეკითხა, მამაჩემი ბოლოს როდის ნახა. იგი აბაზანაში იყო შესული და ხელებს იბანდა. მოულოდნელად კედელზე სისხლი დავინახე და გავშეშდი. ამ დროს ვალერი გამოვიდა. დამინახა თუ არა, დარწმუნდა, რომ ყველაფერს მივხვდი და დამემუქრა. თუ ხმას ამოიღებ, ან თუ ოდესმე ვინმეს მოუყვები, რომ შენი მშობლები მე დავხოცე, ერთადერთ შვილს მოგიკლავო", - უამბო** პოლიციას ქალმა.

რამდენიმე წლის წინ თამარ მაისურაძეს რვა წლის შვილი სისხლის გათეთრებით მოუკვდა. მეორე შვილის მოკვლით შეშინებულმა დედამ მთელი ღამე ხმა ვერ ამოიღო. ვალერი მელქაძემ კი მისი შვილის გვერდით დაიძინა. დილაადრიან სტუმარმა ჯიმი მჟავანაძეს განუცხადა, – სასწრაფო საქმე მაქვს და რუსთავში უნდა წავიდეო.

მკვლელის წასვლის შემდეგ თამარ მაისურაძემ ნათესავებს დაურეკა და უთხრა, რომ მშობლები კარს არ უღებენ. ახლობლების მოსვლის შემდეგ კარი შეამტვრიეს და დახოცილი ცოლ-ქმარი ნახეს. მომხდარის შესახებ პოლიციასაც ნათესავებმა შეატყობინეს.

დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურამ ვალერი მელქაძე ცოლ-ქმარი მაისურაძეების მკვლელობაში ეჭვმიტანილად მიიჩნია და მასზე ძებნაც გამოცხადდა.

სხვათა შორის, ვალერი მელქაძე წარსულში ექვსჯერაა ნასამართლევი (სულ 18 წელი იყო პატიმრობაში). ბოლოს იგი მიმდინარე წლის ზაფხულში გაათავისუფლეს.

# სასჯელაღსრულების დეპარტამენტი „კანონიერ ქურდებს" ომს უცხადებს

ხათუნა ჯანგირაშვილი


*პატიმრებისთვის ჩამორთმეული ნივთები და იარაღი*

მეხუთე საპყრობილეში ერთი კვირის წინ დატრიალებულ სისხლიან ანგარიშსწორებას, რომელიც ცნობილი ბანდის - "თავლიების" მეთაურების – ძმები მიქელთაძეების დაჭრითა და ერთ-ერთი ძმის სიკვდილით დასრულდა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოულოდნელი ფართომასშტაბიანი ჩხრეკა-შემოწმების სარეჟიმო სპეცოპერაციები მოჰყვა.

სავარაუდო ვერსიით, ძებნილები კობა და ილია მიქელთაძეები, რომლებიც რამდენიმე თვის წინ ყაჩაღობის, ადამიანის გატაცებისა და სხვა მძიმე ბრალდებების გამო დააკავეს,ორთაჭალის ციხეში საკუთარი ბანდის წევრებთან მომხდარ განხეთქილებას შეეწირნენ. ჯერჯერობით კიდევ არ არის დადგენილი, როგორ და რანაირად აღმოჩნდა პატიმრების ხელში ცეცხლსასროლი იარაღი. სამაგიეროდ, მომხდარიდან ერთი კვირის თავზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაწყებული გამკაცრებული ღონისძიებების შედეგად, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და თბილისის N1 საპყრობილეში სხვადასხვა სახის იარაღის არსენალი აღმოაჩინეს.

ფართომასშტაბიანი ჩხრეკა პატიმართათვის მოულოდნელად ჩატარდა და მასში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის გარდა, სპეცრაზმიც იღებდა მონაწილეობას. "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი, "F-1" ტიპის ხელყუმბარა, დანები, ე.წ. "შტირები", სხვადასხვა სახის საჩხვლეტი რკინის ნივთები, ხისა და რკინის ხელკეტები – ეს აკრძალული იმ ნივთების ჩამონათვალია, რომლებიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციამ პატიმრებს წაართვა. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მესამე სართულზე მდებარე საპირფარეშოში, მჩხრეკავებმა საიდუმლო სამალავი აღმოაჩინეს, სადაც ძონძებში გახვეული პისტოლეტი და ხელყუმბარა ინახებოდა. პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან სპეცოპერაციამ თბილისის 1 საპყრობილეში - ე.წ. "კრიტში" გადაინაცვლა და იქაც შედეგიანად დასრულდა.

რაც მთავარია, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ განგვიცხადა, პატიმრებს ჩხრეკისას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მობილური ტელეფონების, ბანქოს, აუდიოკასეტების, სამართებლების, ხელკეტებისა და სხვა ნივთების გარეშე დარჩნენ.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარებული ჩხრეკისა და იქიდან სხვადასხვა ტიპის, ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე მაშინვე აღიძრა, როგორც ეს ჩვეულებრივი დანაშაულისას ხდება ხოლმე. თუმცა საეჭვოა, დადგინდეს, ვისგან, როგორ და რანაირად ხვდება იარაღი ციხეში და კონკრეტულად ვის ეკუთვნის.

**"პატიმრებმა ბრძოლაში გამოგვიწვიეს და ჩვენც კონტრშეტევით ვუპასუხებთ. იძულებული გავხდით, გავამკაცროთ წესრიგი და ყველა შემსვლელ-გამსვლელი, ასევე, პატიმართათვის განკუთვნილი ამანათებიც, მკაცრად გავჩხრიკოთ. თუმცა, შიშველი ხელებით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ, გვჭირდება საჩხრეკი აპარატურა, რადგან ახლობლების მოსანახულებლად მოსულ ქალბატონებს ხშირად უადგილო ადგილას აქვთ გადანახული აკრძალული ნივთები. დასაშვებია, მშობლის სანახავად მოყვანილი ბავშვების პამპერსებშიც ინახებოდეს ეს ნივთები. ერთი სიტყვით, არანაირ დათმობაზე აღარ წავალთ, რადგან დამნაშავეთა სამყარო უკვე თავს გავიდა და შიგნიდან გარეთ მართავს დანაშაულს. ე.წ.კანონიერი ქურდის დანიშნულებაც ხომ სწორედ ეს არის - მობილიზება გაუკეთოს და აკონტროლოს სიტუაცია, – შიგნით თუ გარეთ. ამის საშუალება მათ აღარ ექნებათ, რადგან ციხის რეჟიმი სასტიკად გამკაცრდება. წინ დავიდებთ "კანონს პატიმრობის შესახებ" და როგორც საჭიროა, ისე ვიმოქმედებთ"**, – აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და საკუთარ უწყებაში წმენდით იმუქრება.

თუმცა, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ლერი ხუხია ციხეში არსებულ სიტუაცის ისევ და ისევ სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირეს უკავშირებს. **"როცა კონტროლიორს ხელფასი 75 ლარი აქვს და ამ ხელფასისთვის ყოველდღე დამცირებას, შეურაცხყოფას იტანს, თანაც სახლში მშიერი ცოლ-შვილი ელოდება, 100-ლარიანი ქრთამისთვისაც გარისკავს და მოახერხებს საპატიმროში იარაღის შეტანას. საპატიმრო ადგილები ხომ სახელმწიფოს პასპორტია. სწორედ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს გაჭირვებულ ხალხზე, რომლებიც კაპიკების გულისთვის ხშირად გაუცნობიერებლად ხდებიან დამნაშავეები"**, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ლერი ხუხიამ, რომლის უწყებაც ე.წ. კანონიერ ქურდებთან ბრძოლას იწყებს.

## მოკლედ

**თბილისი.** შინაგანი ჯარების სარდლის გიორგი შერვაშიძის განცხადებით, პანკისის ხეობაში არსებული შინაგანი ჯარების ბლოკ-პოსტები ზამთრის პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდება.

მისივე თქმით, ამ დროისთვის ხეობას აკონტროლებენ მობილური ოპერატიული ჯგუფები და სპეციალური ბლოკ-პოსტები.

როგორც გიორგი შერვაშიძე აცხადებს, სპეციალური ხელშეკრულებების საფუძველზე, პანკისის ხეობაში დისლოცირებულ შინაგანი ჯარების ქვედანაყოფებში საქართველოში მცხოვრები ქისტები და ეთნიკური ჩეჩნებიც ირიცხებიან. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "პარტიზანული დაჯგუფება "ტყის ძმები" აფხაზურ მხარეზე მებრძოლი "ბაგრამიანის" სახელობის ბატალიონის ტყვედ აყვანილ 8 ჯარისკაცს გაათავისუფლებს", - განაცხადა "ტყის ძმების" მეთაურმა დავით შენგელიამ.

მისი თქმით, სომეხი მებრძოლები ტყვედ გზაში აიყვანეს და ქართველ სამართალდამცველებს გადასცეს.

როგორც აღმოჩნდა, ისინი გუდაუთაში აპირებდნენ კონტრაქტით მუშაობის დაწყებას. ქართულ და რუსულ პასპორტებთან ერთად მათ დეპეშაც აღმოაჩნდათ, რომლითაც "კონკრეტული პირები", გუდაუთაში სამსახურის დაწყების შემთხვევაში, მათ ბინებით დაკმაყოფილებას და მაღალ ხელფასს ჰპირდებოდნენ, "მაგრამ, ვინაიდან დანაპირები არ შეუსრულეს, უკან - ახალქალაქში აპირებდნენ დაბრუნებას," - განაცხადა დავით შენგელიამ.

მისი თქმით, დაკავებულები სამართალდამცველებმა დაკითხეს და რადგან კონკრეტული კრიმინალის ჩადენა არ უმტკიცდებათ, ამიტომ გაათავისუფლებენ.

გალის რაიონის გამგებლის პარტიზანი მოადგილის ინფორმაციით, მომავალში ისინი კიდევ უფრო გაამკაცრებენ კონტროლს გზებზე და აფხაზეთის მიმართულებით გადასულ ყველა პირს, მათ შორის რუსებსაც, შეამოწმებენ.

"ბაგრამიანის" სახელობის სომხური ბატალიონი, აფხაზეთში, 1992-1993 წლებში ქართული არმიის წინააღმდეგ იბრძოდა. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**გორი.** გორის რაიონში მორიგი ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. სოფელ კარალეთში მცხოვრები ზაქარიაძეების ოჯახში რამდენიმე ნიღბიანი პიროვნება შეიჭრა. სახლში მათ მხოლოდ 60 წლის დიასახლისი ჯულიეტა ზაქარიაძე დაუხვდათ. თავდამსხმელებმა მას ფული და ძვირფასი ნივთები მოსთხოვეს და სასტიკად სცემეს.

ბოროტმოქმედებმა წაიღეს სახლის ჩხრეკისას აღმოჩენილი რამდენიმე ძვირფასი ნივთი, სანადირო თოფი, გენერატორი და მიიმალნენ.

უგონო დიასახლისი მეზობლებმა საძინებელში აღმოაჩინეს.

დაზარალებულის როტვეილერისა და კავკასიური ნაგაზის ჯიშის ძაღლებს თავდამსხმელთა მიმართ აგრესია არ გამოუჩენიათ. ამასთან დაკავშირებით სამართალდამცველები ეჭვობენ, რომ ბოროტმოქმედები ოჯახის ახლობლები იყვნენ.

პოლიციელთა მტკიცებით, უკვე არსებობს ინფორმაცია დამნაშავეთა ჯგუფის შესახებ, რომლის საფუძველზეც რაიონში ოპერატიული ღონისძიებები ტარდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სასტუმრო „მერიოტში" მოსამართლეთა რეგიონული, ორდღიანი კონფერენცია გაიხსნება, რომლის თემაა - „კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა".

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები. კონფერენციის ორგანიზატორია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ). სხდომას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ლადო ჭანტურია გახსნის. მოხსენებებს წაიკითხავენ - GTZ-ის კოორდინატორი კავკასიის რეგიონში - ცენო რაიხენბეხერი, გერმანიის ელჩი საქართველოში - უვე შრამი, გერმანიის უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე - კარლმან ჰაისი და სხვები. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს იმერეთის რეგიონის თანამშრომლებმა ამხილეს სამტრედიის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აკადემიის რექტორი ლევან ბოლქვაძე, რომელმაც თაღლითური გზით მიითვისა აღნიშნული სასწავლებლის სტუდენტების მიერ აკრეფილი და სალაროში შესატანი თანხა - 2080 ლარი.

ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მას სამხარეო საგამოძიებო სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი.**

# შეიცვლება თუ არა საარჩევნო ბარიერი

*საარჩევნო ბარიერის საკითხი წმინდა პოლიტიკური საკითხია. პარლამენტში ძალთა განლაგებას მხოლოდ არჩევნების დღე არ განსაზღვრავს. მომავალი პარლამენტის სტრუქტურას, მეტად ან ნაკლებად, წინასწარ აყალიბებს საარჩევნო კანონმდებლობა. კანონმდებლობით დათქმულ წესებს შორის კი საარჩევნო ბარიერი უმთავრესია.*

ია ანთაძე,
რადიო „თავისუფლება„
სპეციალურად „24 საათისთვის„

იმის მიხედვით, თუ როგორი ბარიერი წესდება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შესაღწევად, პარლამენტის პარტიული შემადგენლობა ან უფრო ჭრელია, ან უფრო ერთგვაროვანი.

თუ საარჩევნო კანონმდებლობა საშუალებას იძლევა, რომ პარლამენტში ბევრმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შეაღწიოს, ასეთი პარლამენტი წარმომადგენლობითია და საზოგადოებრივი აზრის ბევრ წახნაგს ასახავს.

თუ, პირიქით, საარჩევნო კანონმდებლობა პარლამენტის მსხვილი პარტიებით დაკომპლექტებას უწყობს ხელს, ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიღება გაცილებით იოლდება. მაგრამ ორ და სამპარტიული პარლამენტი ნაკლებად წარმომადგენლობითია და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს პარლამენტი მას არ აურჩევია.

■ ■ ■

არ არის შემთხვევითი, რომ ყოველი საპარლამენტო არჩევნების წინ კანონმდებლობა იცვლება და, სხვა კომპონენტებთან ერთად, იცვლება საარჩევნო ბარიერიც.

1992 წელს საარჩევნო სისტემა უაღრესად ხელსაყრელი იყო მცირერიცხოვანი და სუსტი პარტიებისთვის. ის ადამიანები, რომლებმაც ამგვარი კანონმდებლობა შეარჩიეს, ცხადია, წინასწარ გეგმავდნენ, რომ პარლამენტში რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური პარტია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მართლაც, არჩევნების შედეგების მიხედვით, პარლამენტში 26 პოლიტიკური პარტია და ბლოკი აღმოჩნდა.

1995 წლის არჩევნებში ახალი წესი ამოქმედდა. კონსტიტუციის 50-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრთა მანდატები ნაწილდებოდა იმ პარტიებსა და ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული (პარტიული) სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებდნენ ამომრჩეველთა ხმების ხუთ პროცენტს მაინც. ეს სერიოზული პირობა იყო, რომელმაც მცირერიცხოვანი და სუსტი პარტიები პარლამენტს დიდი ხნით ჩამოაცილა. მართლაც, 1995 წლის არჩევნებში პარლამენტში მოსახვედრად 54 პარტია და ბლოკი იბრძოდა, თუმცა, ბარიერი მხოლოდ სამმა მათგანმა გადალახა: მოქალაქეთა კავშირმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და აღორძინების კავშირმა.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კონსტიტუციაში ცვლილება შევიდა და ბარიერი ხუთიდან შვიდ პროცენტამდე გაიზარდა. ნიშანდობლივია, რომ ბარიერის გაზრდას მხარი დაუჭირეს მოქალაქეთა კავშირმა, აღორძინების კავშირმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და ლეიბორისტებმა. ამ პარტიების ლიდერები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მომავალ პარლამენტში მანდატებს თავად გადაინაწილებდნენ და, მაღალი ბარიერის მეშვეობით, კონკურენტებს უმტკივნეულოდ ჩამოიცილებდნენ.

სინამდვილეში, ლეიბორისტებიც და ეროვნულ-დემოკრატებიც პარლამენტის მიღმა დარჩნენ, ბარიერი კი გადალახეს მოქალაქეთა კავშირმა, ბლოკმა "საქართველოს აღორძინება" და მრეწველთა პარტიამ. ოღონდ, ახალ პარლამენტში მრეწველთა პარტიას მცირე დეპუტაცია ჰყავდა, აღორძინების ბლოკმა 60 მანდატი მიიღო, ხოლო მოქალაქეთა კავშირმა თითქმის საკონსტიტუციო უმრავლესობა შეკრა და მთელი პარლამენტი შეავსო.

■ ■ ■

თვალნათლივ ჩანს, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა, რომელიც თავად არის საარჩევნო კანონმდებლობის ავტორი, ყოველი მომდევნო არჩევნების წინ ცვლის ბარიერს – ეს ქართული პოლიტიკის მყარ ტრადიციად ყალიბდება.

მოსალოდნელია თუ არა ტრადიციის გაგრძელება? შეცვლის თუ არა ბარიერს ამჟამინდელი პარლამენტიც? - ამ შეკითხვაზე სავარაუდო პასუხის გასაცემად აუცილებელია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება.

რა ტენდენცია უნდა ამოვიკითხოთ საარჩევნო ბარიერის ცვლაში?

ფაქტია, რომ 1992 წლიდან დღემდე საარჩევნო კანონმდებლობის და, მათ შორის, ბარიერის ყოველი ცვლილება საფუძვლად ედებოდა პოლიტიკური ძალების გამსხვილებას პარლამენტში. შეიძლება ითქვას, რომ ეს სახელმწიფოს გააზრებული პოლიტიკა იყო.

1992 წელს სპეციალურად შერჩეულმა საარჩევნო სისტემამ პარლამენტში მოუყარა თავი ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელსაც მოსახლეობამ მეტი ან ნაკლები ნდობა გამოუცხადა. იმ პარლამენტის ძირითადი ფუნქცია ხელისუფლების დარღვეული ლეგიტიმაციის აღდგენა იყო. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების განდევნის შემდეგ, სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ პირობად, ახალი კონსტიტუციის მიღების ერთადერთ გზად პოლიტიკური კონსენსუსის ტექნოლოგია შეირჩა. ამ ტექნოლოგიის ასამოქმედებლად გამოიძებნა სწორედ იმგვარი საარჩევნო სისტემა, რომელმაც პარლამენტში 26 პოლიტიკურ ორგანიზაციას მოუყარა თავი. მართალია, ამგვარ "ჭრელ" პარლამენტს გადაწყვეტილებების მიღება უჭირდა, მაგრამ სახელმწიფოს გავითარების იმ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო არა საპარლამენტო გადაწყვეტილებების სიმრავლე, არამედ – კონსენსუსის გზით ხელისუფლების ლეგიტიმურობის აღდგენა და ახალი კონსტიტუციის მიღება. 1992 წლის მოწვევის პარლამენტმა ორივე ფუნქცია შეასრულა.

1995 წლის პარლამენტს კი სხვა ამოცანა დაეკისრა: მას მთლიანად უნდა შეეცვალა ძველი, საბჭოთა კანონმდებლობა და ახალი კანონმდებლობა დასავლურ სტანდარტებთან უნდა დაეახლოვებინა. ამ ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელი პირობა იყო პარლამენტის შემადგენლობის სტრუქტურული გადახალისება, პოლიტიკური ძალების გამსხვილება, პრეზიდენტის მხარდამჭერი უმრავლესობის შექმნა, რომელიც ზედმეტი კირკიტის გარეშე დაუჭერდა მხარს შემოთავაზებულ კანონპროექტებს თუ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ასეც მოხდა - 1995 წლის მოწვევის პარლამენტმა თითქმის მთლიანად შეცვალა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ სახელისუფლო პარტიამ კიდევ მეტი მოინდომა: ედუარდ შევარდნაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ მოქალაქეთა კავშირი ახალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას შექმნიდა. ქვეყანაში არსებული უმძიმესი მდგომარეობის და აღორძინების კავშირთან მწვავე დაპირისპირების ფონზე, პრეზიდენტის ეს განცხადება რეალობის არაადეკვატურ აღქმად შეფასდა. თუმცა, არჩევნების შედეგებმა, რომელმაც ნაწილობრივ ასახა მოსახლეობის განწყობა, ნაწილობრივ კი - გაყალბების ხარისხი, საბოლოოდ, პრეზიდენტის პროგნოზი დაადასტურა: მოქალაქეთა კავშირმა პარტიული სიის 93 კანდიდატი გაიყვანა, მათ საკუთარი მაჟორიტარებიც დაუმატა და ლამის 150-წევრიანი ფრაქცია შექმნა. ძალების ამგვარი გამსხვილების მთავარი მიზეზი შვიდპროცენტიანი ბარიერი იყო: კანონმდებლობის მიხედვით, იმ პარტიების მიერ მოპოვებული ხმები, რომლებმაც მაღალი ბარიერი ვერ გადალახეს, საბოლოოდ, გამარჯვებულებზე პროპორციულად გადანაწილდა. ამან მოქალაქეთა კავშირს ის მანდატებიც შესძინა, რომლებიც მას არც გაუყალბებლად და არც გაყალბებით არ მოუპოვებია.

ოღონდ, პოლიტიკის ექსპერტებმა მაშინვე იწინასწარმეტყველეს, რომ მთავარი დაპირისპირება გაჩაღდებოდა არა მოქალაქეთა კავშირსა და აღორძინების კავშირს შორის, არამედ – ხელოვნურად შეკოწიწებულ უმრავლესობაში. ეს პროგნოზიც მალე ასრულდა.

■ ■ ■

შენარჩუნდება თუ შეიცვლება შვიდპროცენტიანი ბარიერი მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ?

ბარიერის დაწევა საკონსტიტუციო ცვლილებაა და მას პარლამენტში 157 მომხრე სჭირდება. იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტი 15 ფრაქციად არის დანაწევრებული და სადავო საკითხებზე 118 ხმასაც ვერ აგროვებს, შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ბარიერი, ალბათ, ვერ შეიცვლება. მაგრამ ეს უფრო არითმეტიკული პასუხია, ვიდრე პოლიტიკური.

პოლიტიკური პროცესის ლოგიკა კი იმას მიუთითებს, რომ მოსალოდნელია ბარიერის შეცვლა, კერძოდ, მისი დაწევა; თანაც, არა ხუთ, არამედ – ოთხ პროცენტამდე მაინც. უფრო ზუსტად თუ აღვწერთ ამჟამად მიმდინარე პროცესს, მოსალოდნელია არა ბარიერის დაწევა, არამედ – სერიოზული მცდელობა და ძალისხმევა ბარიერის დასაწევად. რადგან იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც პარლამენტში არიან წარმოდგენილი, ბარიერის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ: მათ ნაწილს ხელს აძლევს შვიდპროცენტიანი ზღურბლის შენარჩუნება, ნაწილს კი – პირიქით, ბარიერის დაწევა სჭირდება.

ამის გამოთვლა საკმაოდ ადვილია: პოლიტიკური ძალები, რომლებიც საზოგადოების მეტი ნდობით სარგებლობენ და რომლებსაც პოლიტიკური პარტნიორები ჰყავთ, ცხადია, მაღალი ბარიერის შენარჩუნებას შეეცდებიან; მეორე მხრივ, ძალები, რომლებსაც საზოგადოების ნდობის იმედი დაკარგული აქვთ და პოლიტიკური პარტნიორებიც მომავალში ჰყავთ საძებნი, ბუნებრივია, ბარიერის დაწევისთვის იბრძოლებენ.

ამ ნიშნით, მაღალი ბარიერის მომხრეთა შორის წინასწარ შეიძლება ვიგულისხმოთ ის საპარლამენტო ხმები, რომლებსაც აკონტროლებენ ნაციონალური მოძრაობა, ახალი მემარჯვენეები, გაერთიანებული დემოკრატები და ტრადიციონალისტები. ხოლო ბარიერის დაწევას, ალბათ, მოქალაქეთა კავშირი შეეცდება, მასთან დაახლოებულ ფრაქციებთან ერთად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისათვის ორივე ბანაკი, დაახლოებით, სამოც-სამოც პულტს აკონტროლებს, გამოდის, პარლამენტში საკმარისი რესურსი არსებობს როგორც ბარიერის შესანარჩუნებლად, ისე მის შესაცვლელად.

■ ■ ■

ის პარტიები, რომლებიც, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პარლამენტის როლის გაძლიერებაზე ზრუნავენ, შეეცდებიან, 2003 წლის არჩევნების შემდეგ ოპოზიციური უმრავლესობა ჩამოაყალიბონ. სახელისუფლო პარტიას კი ხელს აძლევს დღევანდელის მსგავსი – მრავალ ფრაქციად დანაწევრებული და უუნარო პარლამენტი.

საქმე ისაა, რომ მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე – ავთანდილ ჯორბენაძე – იმავდროულად სახელმწიფო მინისტრია. მისი "მშობლიური" სახელისუფლო სივრცე სახელმწიფო კანცელარიაა და გადაწყვეტილებების (მათ შორის, პოლიტიკური გადაწყვეტილებების) მიღებაც სწორედ ამ სივრცეში სურს. რაც უფრო მეტად დასუსტდება პარლამენტი, მით მეტად გაძლიერდება კანცელარია. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ მოქალაქეთა კავშირი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ორ მთავარ მიზანს დაისახავს. პირველი: ხელი შეუშალოს ოპოზიციას უმრავლესობის ჩამოყალიბებაში; და მეორე: პარლამენტში შეიყვანოს რაც შეიძლება მეტი პარტია, რათა გაიმეოროს ძალთა დღევანდელი განლაგება.

■ ■ ■

მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა წინასწარ შექმნა ის სურათი, რომელსაც, ალბათ, საპარლამენტო არჩევნების შედეგი კიდევ ერთხელ გაიმეორებს: ძლიერ პარტიებს შორის მოქალაქეთა კავშირს პარტნიორი არ ეყოლება. ის ძალები, რომლებიც დამოუკიდებლად შეეცდებიან შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვას, ხმებს ოპოზიციური იმიჯით მიიზიდავენ. ბუნებრივია, პარლამენტში მოხვედრის შემდეგ ისინი საერთო ენას ადვილად მოძებნიან და ოპოზიციურ უმრავლესობას ჩამოაყალიბებენ. სახელისუფლო პარტია კი, ალბათ, შვიდპროცენტიან ბარიერს გადალახავს – ამისთვის საკმარისი რესურსი არსებობს როგორც მოსახლეობის ცნობიერების, ისე აღმასრულებელი ბერკეტების კუთხით. მაგრამ, უეჭველია, რომ მოქალაქეთა კავშირი უმცირესობაში აღმოჩნდება და, ძირითადად, მომავალი პარლამენტი თბილისის საკრებულოში არსებულ ძალთა განლაგებას გაიმეორებს.

როგორ შეუშლის ხელს ამ ადვილად პროგნოზირებად პროცესს ხელისუფლება?

როგორ მიაღწევს იმ მიზანს, რომ პარლამენტში ოპოზიციური ძალები სოლიდური წარმომადგენლობით არ მოხვდნენ და საპარლამენტო მანდატების გარკვეული რაოდენობა წვრილ-წვრილ პარტიებზე გადანაწილდეს?

ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე მარტივი (თუმცა, საკმაოდ ძნელი) გზა საარჩევნო ბარიერის დაწევაა, თანაც, რაც შეიძლება ქვემოთ.

■ ■ ■

დაკვირვებულ თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ ბოლოხანს ქართულ პოლტიკურ სპექტრს რამდენიმე ახალი პარტია და მოძრაობა შეემატა. ახალი პარტიების ლიდერებად ზოგჯერ ისეთი ცნობილი პარლამენტარები გვევლინებიან, როგორებიც, ვთქვათ, ვაჟა ლორთქიფანიძე, ვახტანგ ხმალაძე ან დავით სალარიძე არიან; ზოგჯერ კი ისეთი ნაკლებად ცნობილი ფიგურები, როგორიც, ვთქვათ, ვალერი გელაშვილია. მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ არც ერთი ახალი პარტია თუ მოძრაობა პარლამენტის წევრის ენერგიული ინიციატივის გარეშე არ იქმნება.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ, ხშირ შემთხვევაში, ახალი პარტიები ხელისუფლების და, კერძოდ, სახელმწიფო მინისტრის კეთილგანწყობით სარგებლობენ. ეს ფაქტი ძალიან ბუნებრივად გამოიყურება. განა რომელიმე პარტიული ლიდერისთვის საიდუმლოა, რომ ახლად შექმნილ გაერთიანებებს 7-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის რაიმე შანსი არ გააჩნიათ? წინა არჩევნებში ბარიერი ვერ გადალახეს ლეიბორისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, სახალხოელებმა. საზოგადოება მათ კარგად იცნობდა და მხარსაც უჭერდა. მაგრამ ეს მხარდაჭერა 7-პროცენტიანი ბარიერს ვერ შესწვდა. მაშ, როგორ შეიძლება, სამომავლოდ 7-პროცენტიანი მხარდაჭერის იმედი ჰქონდეთ პარტიებს, რომელთა დასახელებაც კი არ იცის ამომრჩეველმა? არადა, ფაქტია, რომ ეს პარტიები და მოძრაობები სწორედ საპარლამენტო არჩევნებისთვის იქმნება.

როდესაც არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ახალი პარტიების შექმნის პროცესი ტენდენციად ყალიბდება და ამ პროცესის მიმართ ინტერესს იჩენს ხელისუფლება, საქმე მიზანმიმართულ პოლიტიკასთან უნდა გვქონდეს. ახლად შექმნილი პარტიების დიდი ნაწილი ხელისუფლების სატელიტ ძალებად უნდა მივიჩნიოთ. საფიქრებელია, რომ ხელისუფლება შეეცდება, მის ხელთ არსებული საშუალებებით პარლამენტისკენ გზა ახალ პარტიებს გაუხსნას და მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ხმებიც ამ პარტიების ლიდერების ავტორიტეტით მიიზიდოს.

■ ■ ■

არის თუ არა მოსალოდნელი, რომ მოქალაქეთა კავშირი არჩევნების წინ დიდ ბლოკს ჩამოაყალიბებს, ახალ პარტიებსაც ამ ბლოკში მიიწვევს და ასე ერთიანად დაუპირისპირდება პრეზიდენტის მიმართ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს?

ეს შედარებით ადვილი ამოცანა იქნებოდა, რადგან ძლიერ საარჩევნო სუბიექტებს ხელს აძლევს მაღალი ბარიერი, სუსტს კი – დაბალი. ამიტომ, თუკი მოქალაქეთა კავშირი რამდენიმე სატელიტ პარტიას შექმნის და მათ ერთიან, ძლიერ ბლოკად გააერთიანებს, ბარიერის დაწევასთან დაკავშირებულ მძიმე პროცესსაც თავიდან აიცილებს. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ვერც ვახტანგ რჩეულიშვილის, ვერც დავით სალარიძის და ვერც სხვა მსგავსი ლიდერების ავტორიტეტი ამჟამინდელი ხელისუფლების პრობლემას ვერ გადაჭრის. დიდ ბლოკად ჩამოყალიბების შემთხვევაშიც "ლოკომოტივობა" ისევ და ისევ მოქალაქეთა კავშირს მოუხდება, სახელისუფლო პარტიის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა კი ორ პროცენტსაც ვერ აღწევს. ამიტომ, რაგინდ დიდი ბლოკი შეკრას მოქალაქეთა კავშირმა, იგი არჩევნებს ვერ მოიგებს. მით უმეტეს, რომ ედუარდ შევარდნაძის, როგორც პრეზიდენტის, საკონსტიტუციო ვადა იწურება და სახელისუფლო ვერტიკალი ახალი პატრონის შერჩევისას ბევრ ფაქტორს გაითვალისწინებს. საარჩევნო ბერკეტები კი, გარკვეულწილად, სწორედ ამ ვერტიკალის ხელშია. ასე რომ, წინა პერიოდისგან განსხვავებით, მოქალაქეთა კავშირს ადგილებზე დახმარება გარანტირებული აღარ აქვს.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა ვიფიქროთ, რომ მოქალაქეთა კავშირს ხელს აძლევს არა ერთიანი ბლოკის ჩამოყალიბება, არამედ ბარიერის დაწევა და სატელიტი პარტიების გაყვანა პარლამენტში. საფიქრებელია, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება სახელისუფლო პარტიის ლიდერებს გაცილებით მეტი ხმის გაკონტროლების საშუალებად მიაჩნიათ, ვიდრე არჩევნებში მრავალსუბიექტიანი ბლოკით გამოსვლა. ოღონდ, ამ "სცენარს" ორი დიდი ნაკლი აქვს. პირველი ის არის, რომ ახლად ჩამოყალიბებულ პარტიებს ოთხპროცენტიანი ბარიერის გადალახვაც გაუჭირდებათ; კიდევ მეტად სათუო კი ისაა, მოხერხდება თუ ვერა დღევანდელ პარლამენტში 157 ხმის მოგროვება საარჩევნო ბარიერის შესაცვლელად.

თუ ავთანდილ ჯორბენაძე და მისი თანამოაზრეები ორივე სირთულეს დაძლევენ: ბარიერსაც შეცვლიან და საპარლამენტო სპექტრის "დაჩეხვასაც" შეძლებენ, ოპოზიციას მოუხდება აღიარება, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ გენერალური ბრძოლა წააგო. თუმცა, სასტარტო პირობების გათვალისწინებით, თავისი მიზნების მიღწევა ხელისუფლებას გაცილებით მეტად უნდა გაუჭირდეს, ვიდრე ოპოზიციას.

■ ■ ■

ბარიერის დაწევის შესახებ საუბარი და მსჯელობა ჯერ არ დაწყებულა. მაგრამ ამგვარი ინიციატივა უსათუოდ გაჩნდება. ამას მიუთითებს პოლიტიკური პროცესიც, სახელისუფლო ინტერესიც და ის ფაქტიც, რომ ახალი პარტიები და მოძრაობები მაინცდამაინც პარლამენტარების ირგვლივ იკრიბება; ბარიერის დაწევის საკითხი კი სწორედ პარლამენტში უნდა გადაწყდეს. სხვათა შორის, იმის გამოცნობაც კი შეიძლება, ვინ გაახმოვანებს ხელისუფლების ახალ, საკმაოდ უხერხულ ინიციატივას საარჩევნო ბარიერის ოთხ ან უფრო დაბალ პროცენტამდე დაწევის შესახებ. საჩოთირო ინიციატივების გამხმოვანებელი ქართულ პოლიტიკურ ინტერიერში ვახტანგ რჩეულიშვილია - ამ საქმეში მას ბადალი არ მოეპოვება. დიდი ალბათობით, ბარიერის შეცვლის საკითხსაც სწორედ სოციალისტების ლიდერი წამოჭრის.

საკითხავი ისღა რჩება, როდის მოხდება ის, რაც უსათუოდ უნდა მოხდეს...

*სიტყვის თავისუფლება*

# როცა ჟურნალისტს არ ეშინია, ყველა ქარტიაზე და კოდექსზე მაღლა დგას

რუსუდან ნიკურაძე
საკ.კორ.მოსკოვში

რუსეთის პრეზიდენტის აზრით, მოსკოვის ტერაქტის დროს ჟურნალისტები არაკორექტულად იქცეოდნენ. მიუხედავად ამისა, პუტინმა კრემლში დაიბარა რუსეთის წამყვანი ტელეარხებისა და გაზეთების მთავარი რედაქტორები და, მათთან სერიოზული საუბრის შემდეგ, ვეტო დაადო პრესაზე მოქმედ კანონში შესწორებების შეტანას და აუცილებლად მიიჩნია შემათანხმებელი კომისიის შექმნა. ტერაქტის დროს სპეცდანიშნულების რაზმების გადაადგილების ეკრანზე ასახვისათვის "ნტვ"-ს წარმომადგენლები კრემლში არ მიუწვევიათ. "ნოვაია გაზეტა" დაპატიჟეს, მაგრამ რედაქტორი ამ თავყრილობას პრინციპულად არ დასწრებია.

კრემლში ჟურნალისტების ვიზიტის დროს გადაწყდა, რომ დაუყოვნებლივ მისაღებია ექსტრემალურ სიტუაციაში ჟურნალისტთა ქცევის წესები, ანუ თვითრეგულაციის ნორმები, სინდისის კოდექსი თუ ანტიტერორისტული კონვენცია. პუტინი ამბობს,რომ ჟურნალისტებმა სპეცსამსახურებს არ უნდა ასწავლონ მძევალთა გათავისუფლების მეთოდები. კრემლი რუს და უცხოელ ჟურნალისტებს ადანაშაულებს ტერორისტებისადმი სიმპათიების გამოვლენაში.

რუსეთის მედიასაძმომ ამ დღეს ოფიციალურად გააფორმა ხელისუფლებასთან საკუთარი კაპიტულაციის აქტი. ეს დამკვირვებლებს აფიქრებინებს, რომ პარლამენტში უკან გადაგზავნილი კანონი ხელახალი განხილვის შემდეგ იმაზე გაცილებით მკაცრი იქნება, ვიდრე შესწორებების შეტანამდე.



*ოლეგ პანფილოვი*



*იური შეკოჩიხინი*

**"კრემლის მიერ ნაკარნახევი ჟურნალისტთა "თვითრეგულაცია" სხვა არაფერია, თუ არა თვითცენზურა და ჟურნალისტებისთვის თვითშეზღუდვის ნორმების დაწესება,"** - მიიჩნევს ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი ოლეგ პანფილოვი, რომელმაც "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთში ადგილი აქვს სერიოზულ შეტევას პრესასა და ჟურნალისტებზე.

ოლეგ პანფილოვი: **"ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ რუსეთის ჟურნალისტთა ერთი ნაწილი ასეთი ნორმების დაწესების წინააღმდეგია, ამიტომ ბეჭდვის მინისტრის, ლესინის დახმარებით სპექტაკლი გაითამაშა, თითქოს პრესის მუშაკებმა წერილით მიმართეს კრემლს. პრესის მუშაკთა ე.წ. მიმართვა, ჩემი ინფორმაციით, თავად მინისტრ ლესინის დაწერილია.**

**ეს ფაქტი ორი რამის გამოა შემაშფოთებელი: მომავალი რეპრესიები პრესის მუშაკთა ხელშეწყობით იქნება განხორციელებული და რუსეთის მედიასაზოგადოება საბჭოთა კავშირის კანონებით მოქმედებას იწყებს. მაგრამ აქ ერთი სერიოზული პრობლემაა: არ შეიძლება ეთიკური ნორმების დაწესება იმ ქვეყანაში, სადაც კანონის შესაბამისად არავინ იქცევა. ნებისმიერი ქარტია, ნებისმიერი ეთიკური კოდექსი იქ და იმ დროს მიიღება, სადაც კანონები მოქმედებენ. რუსეთში ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. თუ რუსეთის ხელისუფლებას მართლა სურს რაიმე შეზღუდვების დაწესება, მაშინ, პირველ რიგში, "ორტ"-სა და "რტრ"-ზე იმ ფილმებისა და ბოევიკების ჩვენება უნდა შეწყვიტოს, სადაც მთავარ მოძალადეებად კავკასიური ეროვნების პირები არიან გამოყვანილნი.**

**განწბილებული დავრჩი რადიო "ეხო მოსკვის" გენერალური დირექტორის, ალექსეი ვენედიქტოვისა და ჩემი ნაცნობი სხვა რედაქტორების პოზიციის გამო. მათი საქციელი სხვა არაფერია, თუ არა ხელისუფლებასთან როგორმე მიხუტების სურვილი. სერიოზულად მაშინებს რუსეთის ჟურნალისტური კოლექტივების მთავარ რედაქტორთა პასიურობაც. ბრუნდება სულ რაღაც ათი წლის წინანდელი მოქცევის კომუნისტური ნორმები და ეს სირცხვილია".**

იური შეკოჩიხინი, "ნოვაია გაზეტას" მთავრი რედაქტორის მოადგილე: **"მიწვევის მიუხედავად, პრინციპულად არ დავესწარით ამ რაღაც "ინდუსტრიული კომიტეტის" სხდომას, რომელსაც, საუბედუროდ, ბევრი ჩვენი კოლეგა და მეგობარი ესწრებოდა. საშინელი დღეები დგება თანამედროვე რუსული ჟურნალისტიკის ისტორიაში. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ხელისუფლების პოზიციას, რომ დუბროვკაზე ტერაქტის დროს ჟურნალისტები სპეცსამსახურებს ხელს უშლიდნენ. ყველამ იცის, რომ რუსი ჟურნალისტები, დუბროვკის მოვლენების გაშუქებისას, ბრწყინვალედ იქცეოდნენ. ეს იყო ნამდვილი მაღალი კლასი! ისინი ტოლს არ უდებდნენ ტერაქტის დღეებში მელნიკოვის ქუჩაზე პირდაპირ ეთერში მომუშავე უცხოეთის ტელეკომპანიებს. ჩვენი გაზეთის სულ ახალგაზრდა კორესპონდენტებმაც ასევე მაღალი პილოტაჟი გვიჩვენეს.**

**სამწუხაროა, რომ დღეიდან ხელისუფლებასთან მძაფრი ბრძოლა მოგვიწევს. მე მაწუხებს პოლიტბიუროს დაბრუნების რეალური საფრთხე, მაშინებს ჩვენი ინტელიგენციის დუმილი, როცა უდანაშაულო ხალხის დახოცვაში კრემლი საკუთარ ჟურნალისტებს ადანაშაულებს. არადა, უკვე სახეზეა დამოუკიდებელ პრესასთან ბრძოლის საშიში სიმპტომები არა მარტო მოსკოვში, არამედ ჩემს საყვარელ თბილისშიც, კიევშიც... უბედურებაა, რომ რუსეთის ხელისუფლების სათავეში არის იმ ადამიანთა ჯგუფი, ვინც არ ფიქრობს შედეგებზე. ჟურნალისტთა შეზღუდვა საშიშ შედეგებს მოიტანს, რადგანაც ჭეშმარიტი ჟურნალისტური კოლექტივი არ შეიძლება იყოს ხელისუფლების ხელის შემყურე და მის კარზე მთხოვნელი. არ შეიძლება გაზეთებმა და ტელეარხებმა დღეს სიყვარული უმტკიცონ შევარდნაძეს ან პუტინს. მე მიხარია, რომ ინდუსტრიული კომიტეტის და პრესაზე ახალი დრაკონული კანონის პირობებშიც კი, ჩვენს ჟურნალისტებს არაფრის ეშინიათ. და ეს ყველა კოდექსსა და ქარტიაზე მაღლა დგას."**

www.24hours.ge
24
B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge






ნოდარ ლადარია

26 ნოემბერს მალხაზ ხარბედიამ შემოგვჩივლა, ქართველებს არასოდეს გვიგემია პოლიტიკური ანეკდოტის გემოო. რამდენადაც ჩემი მცირე გამოცდილება მკარნახობს, არც არასოდეს შევშფოთებულვართ ამის გამო, ასე რომ მალხაზ ხარბედიას ამ საკითხის დაყენებაში პირველობა ეკუთვნის. უცნაურია, მაგრამ ანეკდოტურად, ანუ ამ სიტყვის ბერძნული მნიშვნელობის თანახმად, გამოუცემლად, ზეპირი სახით, მეგობართა ვიწრო წრეში მეც მრავალგზის შემინიშნავს, რომ ქართულ ენაზე პოლიტიკური ანეკდოტის ჟანრი არ არსებობს. ამის გამო არასოდეს საჯაროდ არ გამოვსულვარ, რადგან მიზეზებს ვერ ვხვდებოდი, მალხაზ ხარბედიას განაზრებებმა კი ამ ბნელით მოცულ სფეროს ნათელი მოჰფინა. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის.

რატომ არ დასცინიან ქართველები პოლიტიკოსებს? თურმე სრულიად მარტივი მიზეზის გამო, რომელიც სწორედ თავისი სიმარტივის გამო აღმოჩნდა ძნელად მისახვედრი: როგორ დასცინებ იმას, რაც შენთვის ეგზომ სანუკვარია?! არა, გინებით კი ვაგინებთ ხოლმე, მაგრამ ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ პრივილეგიათა ან, უბრალოდ, ნაქურდალის წილში არა ვართ. აი, დაცინვა კი სულ სხვა რამაა: გამკიცხველი არასოდეს ისე რადიკალურად არ ემიჯნება გასაკიცხ საგანს, როგორც დამცინავი — დაცინვის ობიექტს. კაცმა რომ თქვას, ჩვენი გაკიცხვაც უფრო საყვედურია, გასამრჯელოთი უკმაყოფილო მეძავის უშვერი გინების მსგავსი...

არ ვიცი, რატომ დაამთხვია მალხაზმა მაინცდამაინც გასული სამშაბათის ნომერს თავისი სტატია, *მხიარული გრანტოფაგების საკბილო*, მაგრამ სწორედ სამშაბათს გააშუქა "24 საათმა" ერთი ნიშანდობლივი მოვლენა, რომელიც აქამდე ნათქვამს ამტკიცებს. ვგულისხმობ თამარ ხორბალაძის მასალას *ორი ბაბუს რჩეული*. საქმე ქართველ "სოციალისტთა" და "მოქალაქეთა" გარიგებას ეხება.

სანამ ვნახავდეთ, რატომ ეხმაურება ეს მოვლენა მალხაზ ხარბედიას მიერ დასმულ საკითხს, გავიხსენოთ შეკითხვა, რომელიც ორი კვირის წინ დავუსვი გია ბულაძეს და რომელიც პოლიტიკურ კარიკატურას ეხებოდა. 26 ნოემბრის გაზეთის პირველი გვერდი თავის თავში დაფარულ პოლიტიკურ კარიკატურას შეიცავდა: ვახო ბესელიას ფოტო, რომელზედაც ავთანდილ ჯორბენაძისა და ვახტანგ რჩეულიშვილის ღიმილი ლამის ჭარბობს შამპანურით სავსე ჭიქების ელვარებას; ოდნავ ზემოთ კი თამარ ხორბალაძის ქვესათაური: "სოციალისტური ანდაზა: თანამდებობა იყოს და მის აღებას სანაგვიდანაც არ ვიუკადრისებო".

როგორი ქვები არ არსებობს ზღვის ფსკერზე? —ჩვენს გამოჭერას ცდილობს საბავშვო შეკითხვა-თავსატეხი. მშრალი, — უნდა უპასუხოს გონიერმა ბავშვმა. მაგრამ ფსკერზე ან წყლის სიღრმეში ეს სისველე არ ჩანს, მის შესამჩნევად ქვა ზედაპირზე უნდა ამოვიტანოთ. ასევე ძნელია ქართულ რეალობაში სასაცილო მხარეების დანახვა, — ამისათვის ამ სინამდვილიდან უნდა ამოვყვინთოთ. როცა რეალობის ანეკდოტურობა ჰიპერბოლურია, ანეკდოტზე არავინ გაიცინებს, კარიკატურაზე კი იტყვიან, მეტისმეტად ლამაზიაო.

აბა, ვნახოთ ვენახი. თამარ ხორბალაძის სტატია ოქსიუმორონთა ოსტატის, ავთანდილ ჯორბენაძის ციტატით იწყება: "არ იქნება სწორი, რომ "მოქალაქეთა კავშირისა" და "სოციალისტების" კანდიდატები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ხალხი არ უნდა ჩავაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში, ელექტორატი ერთი და იგივე გვყავს". ესეც ასე! დაიმახსოვრეთ, მეგობრებო, დაიმახსოვრეთ ეს სიტყვები, ოქროს ასოებით ამოტვიფრეთ გულისფიცარზე, სისხლით ჩაიწერეთ მეხსიერების ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, ფრჩხილებით ამოფხაჭნეთ თქვენი გაჭირვებული ცხოვრების კედლებზე. რა გამომდინარეობს ამ წინადადებიდან? — ის რომ "მოქალაქეთა კავშირი" "განვითარებული სოციალიზმის ეპოქის" პირდაპირი სამართალმემკვიდრეა, ხოლო ქართველი "სოციალისტები" — ... ეჰ, რა უნდა ქნა კაცმა, მწვავე სატირის დაწერა გინდა, ამის მაგიერ კი პირდაპირი და სწორხაზოვანი მხილება გამოგდის. მხილებაც არაა: უამისოდაც ყველას ყველაფერი ესმის, ხოლო ხელში შამპანურმომარჯვებულ ყმაწვილებს კი არაფრის რცხვენიათ. ხალხი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩადგება, — ბატონო სახელმწიფო მინისტრო, — ხალხი ისევ უკმაყოფილო მეძავივით შეგიკურთხებთ და ამას დასჯერდება. თქვენც ხომ ამის იმედი გაქვთ!

რა მოხდა მაინც? "სოციალისტებმა" საბურთალოს რაიონში თავიანთი დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი გასწირეს და ხმები "მოქალაქეთა" ასარჩევ თემო გოცაძეს დაუთმეს. რატომ მოხდა ასე? "დაპირდებოდნენ მაგენი რამეს", — იტყვის "ალორძინება", ჩვენ კი უფრო ღრმად შევიჭყიტოთ ჩვენს ანეკდოტურ სინამდვილეში და ნამდვილ მიზეზებს ჩავწვდეთ.

თუ გასული კვირის "24 საათის" ნომრებს გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ ამ შვიდი დღის განმავლობაში, ასე ვთქვათ, მაკროპროცესები იყო გაბატონებული, რომელთა დინებას მხოლოდ იშვიათად თუ აშფოთებს ხან "სოციალისტთა" ლიდერის უსაზღვრო კონფორმიზმი, ხანაც ფინანსთა მინისტრის უკვე ჩვეული სიჯიუტე. ჩვენც ნელ-ნელა მივყვეთ მაკრო-მოვლენებს და გავანებოთ თავი პიროვნებებს, მით უმეტეს, რომ ვახტანგ რჩეულიშვილის უსაზღვრო თავმდაბლობა ბევრს არაფერს მოითხოვს ცხოვრებისაგან: დიდი-დიდი "სანტა ფეში" მევიოლინე პირდაპირ სუფრასთან ეახლოს და იქ დაუკრას "სირენევი ტუმანი"...

უბედურება სხვაგანაა: რატომ არსებობს ჩვენთან პოლიტიკური პარტიები და რატომ ჰქვიათ მათ სხვადასხვა მაგარ-მაგარი სახელები? როგორც განათლებული მკითხველი უკვე შენიშნავდა, მე დაჟინებით ვსვამ ბრჭყალებში სიტყვა "სოციალისტს".

საქმე ისაა, რომ ჩვენს ქართულ სინამდვილეში პარტია თითქმის არასოდეს არაა რაღაც შინაგანი მიმართების, იდეის გამოხატვისა და ამ იდეის აღმსარებელ პირთა გაერთიანების საშუალება. ჩვენში პარტია თითქმის ყოველთვის მცირე ჯგუფის ან სულაც ერთი კაცის გადარჩენის, უფრო ზუსტად კი, კეთილდღეობის გარანტია. ამიტომაც შეიძლება გაიწიროს გუდავაძე რჩეულიშვილის ინტერესებისათვის. მაგრამ ამავე მიზეზებით სულ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბებიც ხდება...

აი, თუნდაც ოთხშაბათის, 27 ნოემბრის ნომერი: პირველ გვერდზე დაბეჭდილი ლევან ხერხეულიძის ფოტოც ერთგვარი პოლიტიკური კარიკატურის ფუნქციას ატარებს. მღვდლის ზეაწეული მაკურთხებელი მარჯვენა, სანთელმომარჯვებული სააკაშვილის ბედნიერი სახე და წარწერა — "განვედ კორუმპირებულო". იქნებ მთელი ანტიკორუფციული საქმიანობა საქართველოში ამგვარ უნაყოფო ეგზორციზმზე დაიყვანება? რისხვის ქარბორბალა თბილისის პრემიერის, გია შერაძის ირგვლივ დატრიალდა. მაგრამ ამაოდ. აი, დროშების ჩამოკიდება კი უფრო ადვილად გამოუვიდათ: "ეს საკრებულოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა", — მოკრძალებით განმარტავდა სააკაშვილი. საკრებულომ ასეთივე ერთსულოვნება უფრო მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას ვერ გამოიჩინა: ფარული კენჭისყრისას შერაძის დეკლარირებულად ოდიოზურ ფიგურას მრავალი მომხრე აღმოაჩნდა. რატომ? ჩვენი ზნეობრივი შიზოფრენიის გამო.

თანამედროვე პოლიტიკური ანეკდოტების დეფიციტის გამო, ჩვენი თვალსაზრისის განსამარტავად, წარსული დროის გადმოცემებს მივმართოთ. ერთი იმერელი მღვდელი ქორწილში ლობიოს ჭამდა. "ეს რაია, მამაო?" — ჰკითხა აზნაურმა. "ეს, შვილო, ისაა, — უპასუხა მოძღვარმა, — შენ რომ სტუმრად მარხვაში უკადრისობ, შინ კი ხსნილში გენატრება". როგორც ეტყობა, ამგვარივე აზნაურული დამოკიდებულება აქვთ კორუფციის მიმართ ჩვენი საქალაქო მთავრობის წევრებსაც, ისინიც სანდრო შანშიაშვილის "დედისერთას" მსგავსად "რაღაც საქალაქო ომში" იბრძვიან, მაგრამ ამ ომის მიზანი საკმაოდ დაშორებულია იმისაგან, რაც ჩვენს ინტერესებს დააკმაყოფილებდა. აბა, დავფიქრდეთ: რამდენი კაცი მოიძებნება საქართველოში, რომლის პირად სულიერ გამოცდილებას, პოლიტიკურ და ზნეობრივ ინტერესებს პასუხობს სახელწოდება "ლეიბორისტი"? ამ პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობა ხომ მისი ლიდერის დაუოკებელი მჭევრმეტყველებით, უადგილო დაპირებებითა და უპასუხისმგებლო განცხადებებით ამოიწურება. რაც შეეხება საკრებულოს უმრავლესობის მეორე მდგენელს, "ნაციონალურ მოძრაობას", ეს საკმაოდ ფხვიერი წარმონაქმნია, რომლის შინაგანი შეკრულობა არ აღმოჩნდა საკმარისი სულ უბრალო კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. მით უმეტეს, რომ ამ ამოცანას არანაირი გარეგნული წინააღმდეგობა არ შეხვედრია. საკითხი სხვაგვარად ისმის: რატომ უნდა მისცეს საკრებულოს წევრმა უარყოფითი ხმა, თუ კენჭისყრა ფარულია, ხოლო გულში კი სულიერ ერთიანობას სწორედ მასთან გრძნობს, ვის იმპიჩმენტზეც ხმამაღლა გაჰკივის? ჩვენთან ხომ ზნეობა არასოდესაა განპირობებული შინაგანი პიროვნული არჩევანით, არამედ ყოველთვის — ადამიანების ერთმანეთისადმი მიმართებით. ჩვენში ზნეობა არასოდესაა მსხვერპლი, ის ყოველთვის სხვათა წინაშე უსაფრთხოების გარანტია.

და მაინც, უსაფრთხოების საქმე ვერ მიდის კარგად: შეიარაღებულ ძალებს, საქართველოს მთელს მხედრობას მარტო უმკლავდება ფინანსთა მინისტრი, მირიან გოგიაშვილი. ორი კვირის წინ ყველანი ვზეიმობდით, რომ საქართველო, ძირძველი ჩრდილოატლანტური ქვეყანა, როგორც იქნა თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ნატო-ში. ახლახან წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით კმაყოფილი გავისტუმრეთ რიჩარდ მაიერსი, აშშ გაერთიანებული შტაბების თავმჯდომარე, რომელმაც ალალად აღნიშნა: "ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების საკითხი მე უფრო პოლიტიკურ თემად მიმაჩნია. ძალიან რთულია ახლა იმაზე ისაუბრო, თუ რამდენ ხანში გახდება საქართველო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი" (25 ნოემბერი). სიძნელეები კი თურმე ჩვენში ყოფილა. 29 ნოემბრის მოწინავე ფოტო, რომელიც ისევ ლევან ხერხეულიძეს ეკუთვნის, უკვე სატირა კი არა, მაპატიეთ ბანალობისათვის, ცრემლნარევი იუმორია: "შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ მე და შენ დავრჩებით, ჩემო დავით", — ეუბნება ვალერი ჩხეიძე დავით თევზაძეს. ფოტო თან ახლავს გიორგი ასანიშვილის სტატიას, *საბიუჯეტო საბანი ძალოვანი უწყებებისათვის მეტისმეტად მოკლეა*.

ფინანსთა მინისტრის "სიჯიუტეზე" "24 საათმა" ჯერ კიდევ ოთხშაბათს, 27 ნოემბერს ამცნო მკითხველს სოფიკო ოხანაშვილის მასალით, *განსაზღვრეთ პრიორიტეტები — მოუწოდა ფინანსთა მინისტრმა დეპუტატებს*. აქ აღწერილია მირიან გოგიაშვილის შეხვედრა პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტების თავმჯდომარეებთან და მაჟორიტარ დეპუტატებთან. გიორგი ასანიშვილისა და სოფიკო ოხანაშვილის სტატიებს საერთო თვისება აქვთ: ორივე სრულიად საყაიმო სიტუაციას აღწერს, სადაც ყველა დაპირისპირებულ მხარეს თავისი სიმართლე აქვს. ჩვენ კი მერფის ცნობილი კანონი გვახსენდება იმის შესახებ, რომ კომპეტენტურობის დონე ძალაუფლების ხარისხის უკუპროპორციულია, ხოლო უმაღლესი ძალაუფლების მქონე პირი მაქსიმალურად არაკომპეტენტურია.

ესეც ყველაზე მოკლე პოლიტიკური ანეკდოტი: "საქართველოს ბიუჯეტი". სამწუხარო კი ისაა, ნატო-ზე ვერ ვიტყვით, მწვანე იყო ის ყურძენიო.

ერთი შეხედვით, მაკრო-პროცესები ჩვენგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. ნატო-ში შესვლის პერსპექტივა, საქართველოს ბიუჯეტი, თბილისის საკრებულო და ვინ მოთვლის კიდევ რა — ვინ ჩაერევა ამ ყველაფერში? ვინ შეძლებს ბორბლის წაღმა დატრიალებას?

და მაინც, გასულ კვირაში ქართველმა საზოგადოებრიობამ ორჯერ აჩვენა, რომ ეს შესაძლებელია. ერთხელ უმოქმედობითა და ერთხელაც — მოქმედებით.

პირველში რუსთავისა და საბურთალოს არჩევნებს ვგულისხმობ. პირველის თაობაზე რუსთავის მკვიდრის, ავთო ჩუბინიძის სიტყვებზე უკეთესს ვერაფერს ვიტყვი, ამიტომაც მთლიანად მოვიყვან მის თვალსაზრისს, რომელიც 30 ნოემბრის მაია მოსიაშვილის მასალაშია მოყვანილი: "საჭიროა არჩევნების ახალი წესი, რომელიც რუსთავის სინამდვილისათვის ყველაზე ოპტიმალური და მისაღები იქნება. მაგალითად, ძველი მაორები ახალ ბელადს ასე ირჩევდნენ: კანდიდატები ურთიერთსაპირისპირო მხარეს დგებოდნენ. "ამომრჩეველი" კი მიდიოდა და თავისი ფავორიტის უკან დგებოდა. ბოლოს ხმებს ითვლიდნენ და ვის მხარესაც მეტი მაორი იდგა, ის ხდებოდა ბელადი. გამარჯვებული კანდიდატი და მისი მომხრეები, "არჩევნების" დამთავრების შემდეგ, დამარცხებულსა და მის მომხრეებს, უბრალოდ, ჭამდნენ — ანუ, რუსთავისაგან განსხვავებით, მაორებში მხოლოდ ერთხელ ტარდებოდა არჩევნები (და არა სამჯერ), გამორიცხული იყო ხმების გაყალბება და არჩევნების შედეგებსაც ვერავინ აპროტესტებდა. და რაც მთავარია, ხალხი ასეც და ისეც ყოველთვის მაძღარი იყო". ხალხი იცინის და საშუალება აქვს, თავისი სიცილი საჯაროდ გახადოს.

სამწუხაროა, რომ "მოქალაქეთა" კანდიდატს, თემო გოცაძეს ამის მეასედი იუმორის გრძნობა არ აღმოაჩნდა. ამას ხელი არ შეუშლია, რომ საბურთალოშიც რუსთავის მსგავსი ანეკდოტური სიტუაცია განხორციელებულიყო და საარჩევნო ურნები თითქმის ცარიელი დარჩენილიყო. 1 დეკემბერს გამოქვეყნებული თამარ მჭედლიშვილის სტატიის სათაური — *საბურთალოელებს მაჟორიტარი დეპუტატი არ ეყოლებათ* — სრულად ასახავს მიღებულ შედეგს. არ დავიწყებთ იმის ლაპარაკს, რომ ხალხის (ან, როგორც პოლიტიკოსებს უყვართ თქმა — მოსახლეობის) ამგვარი პასიურობა ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ამის მთქმელი კიდევ გამოჩნდება, მაგრამ გამოიტანს კი რაიმე გაკვეთილს შექმნილი მდგომარეობიდან? მეეჭვება! მეეჭვება სწორედ იმიტომ, რომ ქართული პოლიტიკური პარტია წაკვეთილი კონუსია: თავზე მას ლიდერი აზის, მაგრამ აშკარად შეიმჩნევა რაღაც დანაკლისი, ლიდერის ზემოთ თითქოსდა რაღაც სიცარიელეა. ეს სიცარიელე ჩვენთვის სანუკვარი გარეშე ძალაა, ჩვენი გადარჩენის სამუდამო გარანტი.

ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ერთი ზღაპარი, იტალიელ მემარცხენე ავტორთა მიერ შეთხზული: "ლურსმანას თავგადასავალი". ოსტატს, რკინის ბიჭუნას გაკეთებისას ლურსმანი დააკლდა და ამიტომაც უწოდა ლურსმანა თავის ქმნილებას, რათა სახელს ნივთი შეენაცვლებინა. სწორედ ამიტომ უწოდებენ საქართველოში თავიანთ თავს "ლეიბორისტებს", "სოციალისტებს", "ქრისტიან დემოკრატებს", "მემარჯვენეებს", "ლიბერალებს" და ა. შ. ადამიანები ინსტინქტურად გრძნობენ ამას, რაც უფლებას გვაძლევს, ელექტორატის პასიურობა სოციალური აქტიურობის კერძო შემთხვევად მივიჩნიოთ.

აი, აქტიური აქტიურობა კი ნავთობსადენის ბორჯომში გავლის საკითხს მოჰყვა. "24 საათმა" ეს მოვლენა მრავალი მხრიდან გააშუქა: გიორგი გახელაძე, *ნავთობსადენი — კოლონიური არასრულფასოვნებისგან გათავისუფლების ტესტი*, ნიკოლოზ რურუა, *დიდი ნავთობის პროტაგონისტები და საზოგადოება*, მაია ჭალაგანიძე, *თუ არაფერი შეიცვალა, BP-ს წინააღმდეგ სერიოზულ კამპანიას დავიწყებთ. ინტერვიუ მამუკა ხაზარაძესთან* (ყველა 28 ნოემბერი). ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაწოლით ბორჯომის ხეობა ეკოლოგიური კატასტროფის პოტენციურ შესაძლებლობას გადაურჩა. ჩვენ კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით უცხო პატრონების ბრმად ძიებისაგან გასათავისუფლებლად. აქ კი ნიკოლოზ რურუას სტატიის დასასრულს გავიმეორებ: "ვურჩევთ ამ პროცესებში ჩართულ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ შეწყვიტონ კერძო ინტერესით მართულ კორპორაციათა სურვილების ამერიკის მთავრობის ოფიციალურ პოზიციად გასაღების ამაო მცდელობანი. მათვე ვუსურვებდით ახლო წარსულში ერთი ბატონისადმი მონური მორჩილების ნოსტალგიის გამო ახალ ბატონთა ძიების ასევე მონური ინსტინქტებისაგან გათავისუფლებას. შეერთებულ შტატებს, როგორც თავისუფალ, საღი აზრითა და კანონით მართულ ქვეყანას, მონები კი არ სჭირდება, არამედ ღირსეული და საიმედო მოკავშირეები. საქართველოს კი ნამდვილად აღარ სჭირდება ახალი ბატონი".

მით უმეტეს, რომ ნავთობის ეპოქის მიწურულს ნავთობში ამოახრჩო საკუთარი ქვეყანა არსებითად იგივეა, რაც საპარლამენტო ვადის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე დეპუტატად გახდომას შეაკლა თავი. მადლობა ღმერთს, ჩვენს საზოგადოებას აღმოაჩნდა ადამიანები, რომლებსაც ესმით ხელისუფლების მიერ მოყოლილი და ნაჩვენები ანეკდოტები და იციან, სად გაიცინონ, სად ძალა აჩვენონ.

ძალა კი ყოველთვის დიდი არგუმენტი იყო ქართველი კაცისათვის. აგერ, არჩილ გოგელიამაც იგრძნო გაზეთის ძალა და ამიტომაც მოგვაწოდა გამოხმაურება: *როგორ უნდა გავიგოთ ჯეფერსონის სენტენცია?* (25 ნოემბერი). ავტორი იმან შეაშფოთა, რომ "24 საათმა" გამოაქვეყნა მის მიერ ნათქვამი შემდეგი ფრაზა: "არჩილ გოგელიას აზრით, რადიკალიზმსა და ძალადობას ხელს უწყობს ოპოზიცია". ამიტომაც განიხილა დასაწყისში აშშ-ს მესამე პრეზიდენტის, ტომას ჯეფერსონის აფორიზმი, რომ დემოკრატიის ხე ყოველდღიურად სისხლით უნდა ირწყვებოდეს. ჯეფერსონის ციტირებას გოგელიას პუბლიკაციაში ისეთივე ადგილი უკავია, როგორც რომელიმე კანონიერი ქურდის სახელს, რომელმაც შეიძლება ბნელ კუთხეში თავდასხმისას გვიშველოს. მეც თქვენიანი ვარო, ეუბნება ავტორი დემოკრატებს. ამის შემდეგ კი ხელისუფლების ყველა მომხრისათვის სტანდარტულ ხერხს მიმართავს და სამოქალაქო ომში დასაღვრელი სისხლით გვაშინებს. ბოლოს კი ასევე სტანდარტულად ცვლის პირველ ჩვენებას: "ქვეყანაში გამეფებულ რადიკალიზმსა და ძალადობაში პირდაპირ დავადანაშაულე ხელისუფლება, რომლის უსუსური პოლიტიკური კურსი აქეზებს რადიკალიზმსა და ძალადობას". არჩილ გოგელიას პუბლიკაცია ჩვენი გაზეთის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას აღიარებად მიმაჩნია.

და მაინც, ბოლოში აუცილებლად მინდა ძველი ომბუდსმენურიც მოვიგონო და რამდენიმე მარგალიტი შემოგთავაზოთ 29 ნოემბერს გამოქვეყნებული ხელმოუწერელი სტატიიდან, *გახმაურებული დანაშაული გაიხსნა*:

"დაკავებულმა ეჭვმიტანილებმა ჩადენილი დანაშაული აღიარეს; თუმცა, განაცხადეს, რომ მათ ძალა არ გამოუყენებით და მომჩივანის თანხმობით მოქმედებდნენ". მაშინ რაღას ნიშნავს "აღიარეს"? შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო რამეები წერია: "დადგინდა, რომ ქალი გაუპატიურებულია გაუკუღმართებული გზით", "დაზარალებული დაავადდა სხვადასხვა ვენერული დაავადებებით". ოკრო-ბოკრო ქართულის გარდა აქ მოყვანილი ტექსტი დაზარალებულის ბედზე გალიმების სრულიად დაუშვებელ საბაბს იძლევა. ამას კიდევ ის ჯობია, როცა მადი სერებრიაკოვა "გალვანურის" მაგიერ "გალვაიდურს" წერს, ამით ჩვენი ინტელექტუალური ღირსების გარდა არაფერს შეურაცხყოფს, ჩვენი ინტელექტუალური ღირსება კი ბევრს მოითმენს. ბოლოს და ბოლოს საქართველოში ვცხოვრობთ.

ლადო ბურდულის სვეტი

## მაგალითისთვის: ქართული შოუ-ბიზნესი



გაგრძელება

ჩვენი ბრძოლა "ქაჯეთის ციხის", ანუ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ჭინკებისაგან, ანუ გოიმებისაგან გასათავისუფლებად მუსიკალური რედაქციიდან დაიწყო. საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის მუსიკალურ რედაქციაში შესვლისთანავე მიხვდებოდი ბატონ ჟენია მაჟავარიანის გმირობის მასშტაბს და მეორეს მხრივ კი გიჩნდებოდა სურვილი, გავარდნილიყავი გარეთ და ხარბად ჩაგესუნთქა ცივი, სუფთა ჰაერი. მუსიკალური რედაქციის ოთახი სავსე იყო სხვადასხვა ზომის ფანტურებით, ფოლკლორული ინსტრუმენტებით და გახუნებული აფიშებით, საიდანაც გრძელწანწალიანი, ნაცრისფერ "შმოტკებში" გამოწყობილი, ჩონგურიანი ქალები შუდარით აღსავსე შეელის თვალებით დაგმზერდნენ.

ეს კი გიჩნდება "სინდისის ქენჯნას", რომ რაღაც შეგეძლო და არ ქენი ბოლომდე მათ დასახსნელად.

როგორც კი საუბარ ქუდში მჯდომარე მოხუც კაცს გავაცანით ჩვენი ვიზიტის მიზანი და პროექტი, პირველი ეჭვიანი მზერა მაშინ შევნიშნე. ხოლო მას შემდეგ, რაც მან მოგვთხოვა ჩვენი მუსიკა მოგვესმენებინა მისთვის... კასეტას დაწყებულიც არ ჰქონდა ბრუნვა, რომ ეს მოხუცი, უცოდველი არსება უდაბნოს ლომად გადაიქცა და ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა, "სუგუბა" თავდაცვის მიზნით ყველანაირი ხერხებით "დაგვეცვა ჩვენი კონსტიტუციური უფლებები". ამის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზია მიხვდა, რომ ეს ორი მოლიმარი და უცნაურად ჩაცმული ადამიანი, არც ახალი ანეკდოტების მოსაყოლად და არც დასავლური გემოვნების დემონსტრირებისთვის არ იყო იქ მისული.

გარდაქმნების პირველსავე ქართულ ტალღაზე ჩემთან ხშირად ხმა გაისმა. მიჭიკო ოსიპოვის (ჯგუფი "ტაცსის" დასარტყამი) რეკომენდაციით საქართველოს სახელმწიფო რადიოდან მირეკავდა და მეხვეწებოდა გოგონა, სახელად დარეჯან გულიაშვილი. მუსიკალური, ანუ როკ-რადიო გადაცემის შესაქმნელად მას სჭირდებოდა ჩემი დახმარება, კონსულტაცია და თანადგომა.

შეხვედრის შემდეგ ჩემს წინ იდგა ერთი ძალიან ნაზი და უცნაური გარეგნობის მცხეთელი გოგონა, რომელმაც ამ დღიდან მოულოდნელი ერთგულად იარა ჩემთან, როგორც სტუდენტმა ლექციებზე და მე მიმინდა მისთვის ამეხსნა, რა განსხვავება როკს, ჯაზს და პოპს შორის. მე მას გავაცანი მთელი იმდროინდელი ქართული მუსიკალური სცენა, დაწყებული კაკო ვაშალომიძიდან (გიტარა) და დამთავრებული პანკ-ჯგუფ "კომენდანტის საათით".

ასეთ თეორიულ ბაზაზე შეიქმნა ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი გადაცემა "როკი, სმოკი და", მაგრამ რადგანაც დარეჯანი მაინც გამოუცდელი იყო ამ საქმეში, მთხოვა ერთად წაგვეყვანა პროგრამა. სამწუხაროდ, რადგანაც ჩემი იმდროინდელი მოსაზრებები ეწინააღმდეგებოდა ბატონ ... დაგვაკავშირა ის იმ დროის "ამირანის ლეუმში" დისკოთეკების წამყვანობაზე მეოცნებე და უცხო ენებში ჩემს რეპეტიციებზე მუდამ ჩუმად მჯდომარე კახა კიკაბიძის (ჯგუფი "ტაცსი" გიტარა) მიერ გაცნობილ ერთ ყმაწვილთან, სახელად სერგი გვარჯალაძე. სერგი უკვე იმ დროისთვის მე და ქიშოს გამოგვყავდა, როგორც კონფერანსიე ჩვენს მიერ ჩატარებულ როკ-კონცერტებზე.

ასე და ამგვარად შეხვდნენ დარეჯან გულიაშვილი და სერგი გვარჯალაძე ერთმანეთს და ასე შეიქმნა საქართველოში პირველი როკ-რადიო გადაცემა სახელად "როკი, სმოკი და", სადაც პირველად იქნა განხილული არა მხოლოდ უცხოური მუსიკა, არამედ ქართული როკ-სცენა და მთლიანად ესტრადა.

და სწორედ, მაშინ მივხვდი საკუთარ მაგალითზე ერთს: აი თურმე რატომ უმალავენ საქართველოში ყველა ერთმანეთს თავის კონტაქტებს, იდეებს, სიმართლეს, ცოდნას და ცდილობს არავინ გაიყვანოს თავის საქმეში თავისზე წინ და რატომ არ არსებობს საქართველოში პროფესიონალური დამოკიდებულება და ყველაფერი ასე ეგოისტური და სუბიექტურია, თუნდაც იმის ხარჯზე, რომ საქმე არ გამოვიდეს და მხოლოდ ადამიანმა იზარალოს. საქმე ის არის, რომ მოგვიანებით ორივე მადლობის სანაცვლოდ, ქართული სტანდარტების შესაბამისად ჩემი პირადი მოწინააღმდეგე გახდა, ხოლო გადაცემა "როკი, სმოკი და" კი - ბესტსელერი.

ჩემმა და ქიშოს ბრძოლამ მუსიკალური გადაცემისთვის კი საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში მუსიკალური რედაქციიდან ახალგაზრდულ რედაქციაში გადაინაცვლა, სადაც ძირითადად 40 წელს გადაცილებული ქალბატონები მუშაობდნენ. ჩემდა გასაკვირად ამ პროგრამებისადმი არც ერთ ვიყავით და ჩვენი შეხვედრები ძირითადად იწყებოდა და მთავრდებოდა ჩემთვის დამღლელი და უინტერესო ლაპარაკით - გენიალურობის მიმოხილვით და ...

იმ დროისთვის საკმაოდ ორიგინალური სცენარი დავწერე და დილას რედაქციაში მიმეტანა, როცა გზაში მე და ქიშოს, სერგი გვარჯალაძე შეგვხვდა და გვახარა - რადიოდან საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში გადმოვედით მუსიკალური გადაცემის გასაკეთებლად, რომელიც იმ დროის პოპულარული Super Channel-ის კლიპების ხარჯზე უნდა დამზადებულიყო. თქვენ რას შვრებით ბიჭებო? ჩვეულებრივ გულღიაობით და მეგობრობით და სერგიმ და მეც ჩვეულებრივი, ჩემთვის დამახასიათებელი გულღიაობით ვუამბე ჩვენი და წავაკითხე სცენარი, რომელიც იმ დროისთვის საკმაოდ არაორდინალური იყო და ემყარებოდა ჩემს მიერ ტალინში ნანახ ახალ ხილს MTV-ის გადაცემების მსგავსად.

- გამარჯობათ მეგობრებო მე ვარ ლადო ბურდული ეს კი არის გადაცემა...- და ა.შ.

ჩვეულებრივად დავშორდით მეგობრები ერთმანეთს. ჩვენ ჩვენი სცენარი ახალგაზრდულ რედაქციაში ჩავაბარეთ და ამით დამთავრდა ის საბედისწერო დღეც.

რამოდენიმე დღის შემდეგ, როცა გაღიმებულები და თვითდაჯერებულები მივადექით რედაქციას დეტალების განსახილველად, ჰოი საოცრება! გამარჯვებული რედაქტორი მრავლისმეტყველი ღიმილით და ნიშნის მოგებით მოგვიბრუნდა და გვახარა - თქვენი სცენარი ბიჭებო, უკვე გავიდა ეთერში და სწორედ თქვენს მეგობარს მიჰყავს ეს გადაცემა; ასე რომ, მოგიწევთ მისი ან შეცვლა ან...

სწორედ ეს იყო ის სამი ჯადოსნური სიტყვა - "გამარჯობათ მე ვარ..." და ლადო ბურდულის ნაცვლად ჩამატებული და დასწრებული სერგი გვარჯალაძე, რომელმაც ჩვენი სცენარიდან ასე მოულოდნელად და უცნაურად გადაინაცვლა და სერგი გვარჯალაძე, სწორედ ამ სამი ჯადოსნური სიტყვის ხარჯზე გახდა დღემდე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წამყვანი საქართველოში და ყველა ოჯახისთვის საყვარელი გმირი.

ხოლო რაც შეეხება ცნობილ დარეჯან გულიაშვილს, სწორედ ამ რადიო გადაცემის ხარჯზე გახდა ის იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წამყვანი. ქართული მუსიკის და მუსიკოსებისთვის კი - ყველაზე საყვარელი "მხსნელი", ხოლო თინეიჯერებისთვის - მისაბაძი გმირი.

ელ-ფოსტა:ladoart@yahoo.com
http://lado.art.ge

# მხატვრობისა და მუსიკის სინთეზი

˝ქარვასლაში˝ უმცროსი ბალანჩივაძის გამოფენა გაიხსნა

ნანა ბასილაშვილი

მელიტონ, ანდრია, ჯარჯი და ჯორჯ ბალანჩივაძეების პირდაპირი შთამომავალი ანტონ ბალანჩივაძე გუშინ საზოგადოების წინაშე კლასიკური კონცერტით არ წარმდგარა. გუშინ, "ქარვასლაში" უმცროსმა ბალანჩივაძემ პირველი პერსონალური გამოფენა გამართა.

"ეტყობა, მუსიკალური ფესვები რომ აქვს. სინთეზი მუსიკასა და მხატვრობას შორის, ალბათ ფერწერის უმაღლესი გამოვლინებაა, ანტონი ამ არაჩვეულებრივი გვარის ღირსეული გამგრძელებელია", - ასე აფასებდნენ მამის მეგობრები მხატვრის პირველ გამოფენას. გალერეაში მოსული, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, დამთვალიერებელი ერთმანეთთან საუბრისას, აღფრთოვანებით, თითქმის ერთსა და იმავეს ამბობდა, რომ არ მოელოდნენ ასეთ არაჩვეულებრივ გამოფენას და რომ სიამოვნებით შეიძენდნენ ამა თუ იმ ნამუშევარს. მხატვრის მამა, გამოჩენილი კომპოზიტორი და პიანისტი ჯარჯი ბალანჩივაძე შვილის მიღწევებზე სიამაყით საუბრობდა; "მისი ნახატები აბსოლუტურად დაცლილია ყველანაირი პრაგმატიზმისაგან, ახალგაზრდულია, ხალისიანი, მაგრამ არა ბავშვური".

"ქარვასლაში" გამოფენილი ნახატები, ანტონ ბალანჩივაძის ბოლო ხუთი-ექვსი წლის ნამუშევრებია. გუშინდელი გამოფენა, მისი თქმით, საზოგადოებასთან და საკუთარ თავთან, თითქოს საანგარიშო გამოფენა-გამოცდა იყო. ერთი სასიამოვნო და მნიშვნელოვანი ეტაპის დასასრული და ამ დროის მონაკვეთში "თავისით შექმნილი", გულახდილი ნახატები. მხატვარი საკუთარ შემოქმედებაში ცდილობს წარმოაჩინოს, მისი და გარე სამყაროს ჰარმონიული შერწყმა. ამიტომაც ბალანჩივაძის ნახატების დათვალიერებისას, ნებსით, თუ უნებლიედ, შემოქმედის შინაგან სამყაროში მოგზაურობ. სადაც ხვდები უცნაურ, თითქოს მულტიპლიკაციურ პერსონაჟებს, რომლებიც მოგზაურობენ ნახატიდან ნახატში, ზოგი სევდიანი, ზოგი ხალისიანი. სურვილი გიჩნდება ხელით შეეხო და გაესაუბრო მათ. საოცრად მეტყველი პორტრეტები, ესკიზები, ჩანახატები, ერთი შეხედვით უბრალო ნატურმორტიც კი თბილი, კეთილი ფერებით მხატვრის სულიერ, შინაგან სამყაროზე მეტყველებენ. ბალანჩივაძის ნახატებში შავი, მაგრამ ძალზედ ცოცხალი კონტურები ჩნდება, ჟანრულ კომპოზიციებსა და უპრეტენზიო, სახასიათო შტრიხებში კარგად "იკითხება" მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი, მისი განცდები და რომანტიზმი.



ანტონ ბალანჩივაძე

"ანტონის ნახატებში ჩანს კულტურა, ინტელექტუალიზმი და შინაგანი სამყარო. ვფიქრობ, რომ შესწევს უნარი, უფრო თამამად მოეკიდოს ფორმასა და ინტერპრეტაციას", - შეაფასა უმცროსი კოლეგის შემოქმედება მხატვარმა გია ბუღაძემ.

"ვაპირებ მუშაობას, განსაკუთრებით ფერში, რადგანაც ვფიქრობ, რომ ნახატი სწორედ ფერის მიხედვით იგება. პერიოდულად გამოფენებითაც "მოგაბეზრებთ" თავს, მხატვრის ფუნქცია ხომ სწორედ ეს არის", - გვპირდება ანტონ ბალანჩივაძე. მანამდე კი, მისი პირველი გამოფენის შეფასების საშუალება ექვსი დეკემბრის ჩათვლით გვეძლევა.

# Doors მორისონის გარეშე

მეგობრები მორისონის დაბადების დღეს ჯგუფის რეანიმაციით აღნიშნავენ

*სიბერეში ვარსკვლავომანიის ცდუნება ვერც "დორსის" წევრებმა დაძლიეს. რვა დეკემბერს, ჯგუფის ლეგენდარული ლიდერის დაბადების დღეს, მორისონის მეგობრები "დორსის" რეანიმაციით აღნიშნავენ. ჯგუფი ოფიციალურად სცენას ლოს ანჟელესის The Palms-ის დარბაზში დაუბრუნდება.*

თეა დვალი

ერთ დროს სუპერპოპულარული ამერიკული ჯგუფის აღდგენის იდეა რამდენიმე წლის წინათაც დაიბადა, როდესაც Doors-ის წევრებს VH1-ის არხზე სხვადასხვა მუსიკოსებთან ერთად მოუწიათ დაკვრა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს გავიხსენოთ, რომ მუსიკალური დიდების მწვერვალზე დარჩენის სურვილი "დორსის" წევრებს მანამდეც გაუჩნდათ. მაგრამ, მცდელობას არ გაუმართლებია...

"დორსი" მორისონის გარეშე – ალბათ ჯგუფის ყველა ფანისთვის წარმოუდგენელია. მანზარეკმა და კრიგერმა მორისონის ადგილი ჯგუფში Cult-ის "ცუდ ბიჭს", იენ ესტბერის შესთავაზეს. "დორსის" ხანდაზმული წევრების აზრით, ესტბერი მათ სიმღერებს სხვაგვარად მღერის. "მან მიიღო ეს შამანური ძალა და ის უცნაური გრძნობა, რაც ასე ახლოსაა მორისონთან. ყველაზე მთავარი ამ შემთხვევაში კი ისაა, რომ ესტბერი არ მიმართავს ჯიმის იმიტაციას", - ასე ამართლებს მანზარეკი საკუთარ გადაწყვეტილებას. "იენი ჩვენს მუსიკას სცენაზე საკუთარი ინტერპრეტაციით ასრულებს, თან ისე მოძრაობს, როგორც ჯიმი", - მეგობრის სიტყვებს ამატებს რობი კრიგერი.

როკ-მუსიკის ლეგენდა ამერიკული "დორსი" სცენაზე დაახლოებით 30 წელიწადი არ გამოსულა. 1971 წელს ჯერაც დაუდასტურებელ ვითარებაში (აქამდე არაა ცნობილი, მორისონი ნარკოტიკის ჭარბი დოზით გარდაიცვალა თუ სხვა მიზეზით) გარდაცვლილი მორისონის შემდეგ, ჯგუფის დანარჩენი ორი წევრის – რობერტ კრიგერისა და რეი მანზარეკის თაოსნობით, "დორსი" პირველად გამოვა სცენაზე. თუმცა, ჯგუფს მორისონის გარდა, კიდევ ერთი წევრი, ჯონ დენსმორიც ვერ შეუერთდება – რაც სულ არ ნიშნავს იმას, რომ დრამერი მისი კოლეგების იდეას სიხარულით არ შეხვდა. უბრალოდ, მუსიკოსს სერიოზული პრობლემები აქვს სმენასთან და საერთოდ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. ასე რომ, განახლებული "დორსი" ლეგენდარული დრამერის გარეშე გააგრძელებს არსებობას. მანზარეკისა და კრიგერის არჩევანი, ჯგუფში ჯონ დენსმორის ვაკანსიის შესავსებად, 50 წლის სტიუარტ კოუპლენდზე შეჩერდა. კოუპლენდმა, რომელიც სახელგანთქმული "პოლისის" დაშლის შემდეგ პატივსაცემ კომპოზიტორად იქცა (დაწერილი აქვს მუსიკა რამდენიმე პოპულარული მხატვრული ფილმისთვის), თურმე აღიარა, რომ ყოველთვის ამ ამერიკული საკულტო ჯგუფის ფანი იყო. ამასთან ერთად, მუსიკოსები აღფრთოვანებულები არიან კოუპლენდის შესრულების მანერით.

განახლებული "დორსი" გამართავს რამდენიმე კონცერტს და ჩაწერს ალბომს სახელწოდებით The Doors, რომელიც იქნება პირველი ორმაგი ალბომი, 1978 წელს გამოშვებული American Prayer-ის შემდეგ. მუშაობა ახალ მასალებზე უკვე დაწყებულია. ჯგუფი საკონცერტო გამოსვლებს მაისიდან დაიწყებს. თავიდან პროგრამას ამერიკულ კლუბებში წარადგენენ, შემდეგ იქნება საზაფხულო როკ-ფესტივალები ევროპასა და აშშ-ში. "ოცდაათი წელიწადი უკანასკნელი კონცერტის შემდეგ, ეს საკმაოდ დიდი დროა", - სინანულით ამბობს რობი კრიგერი.



Doors-ის ოქროს ხანა

"ეს მუსიკა განსხვავდება ჩვენი ძველი შემოქმედებისგან, მაგრამ გარწმუნებთ იმაზე ცუდი ნამდვილად არ იქნება. მუსიკაში ჩვენ რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ", - ამბობს რეი მანზარეკი. მორისონის გარდაცვალების შემდეგ "დორსის" დანარჩენი წევრების "მოგზაურობამ მუსიკის სხვადასხვა მიმართულებებში" არ გაამართლა. ორმა ალბომმა, რომელიც "დორსის" სახელით გამოვიდა, კომპოზიტორისა და არანჟირების ოსტატის, რეი მანზარეკის საინტერესო და ორიგინალური მუსიკალური მასალის მიუხედავად ვერ მოიპოვა პოპულარობა. არც მუსიკოსების სოლო-ალბომები მოსწონებიათ დიდად მელომანებს. "დორსის" მუსიკამ მორისონის შემდეგ დაკარგა ხიბლი, რაც მისივე ვოკალის, ველური სექსუალურობისა და ზოგადად, პიროვნების დამსახურება იყო.

ახლა ესტბერი სექსუალური იმიჯის შექმნაზე მუშაობს. ორმოცი წლის ესტბერი საკულტო ფიგურა 90-იანების დასაწყისში გახდა, როდესაც ჯგუფ Cult-ში მოღვაწეობდა. ჯგუფის დაშლის შემდეგ სოლო კარიერა დაიწყო და გამოდიოდა Holy Barbarians-თან ერთად.

ახალი პროექტის იდეის ავტორები არ ამხელენ, გაბედავს თუ არა ესტბერი შეასრულოს "დორსის" ისეთი ჰიტები, როგორიცაა თუნდაც: People are strange; The End ან Light my Fire. ერთადერთი რაც შეიძლება ვივარაუდოთ, ეს პერ-ლაშეზის ადმინისტრაციის მდგომარეობაა. ალბათ, ნაწილობრივ მაინც განმეორდება 70-იანი წლების ვითარება, როდესაც მორისონის საფლავთან ყოველთვე ათასობით მოგზაური და ჯგუფის თაყვანისმცემელი იკრიბებოდა; სასაფლაოს ტერიტორიას კი ცარიელი ბოთლებითა ნახმარი შპრიცებით ანაგვიანებდნენ.

# გამარჯვებული ათ დღეში გამოვლინდება

თამარ სუხიშვილი

გუშინ კლუბმა "სარდაფმა" ამერიკაში მცხოვრებ ქართველს, ბატონ შოთა ვაშაკიძეს უმასპინძლა. "ღია დიალოგი ქართველ ჟურნალისტებთან" - ასე ერქვა ამ შეხვედრას. შოთა ვაშაკიძე ამერიკაში საქართველოს ასოციაციის დირექტორატისა და ასოციაცია "საქართველო ამერიკელი მეგობრების" საკონსულტაციო საბჭოს წევრი, რადგერსის უნივერსიტეტის პროფესორი და ასოციაცია "კვალის" პრეზიდენტია. ამ ასოციაციას ჩვენთან ძირითადად ინტერნეტ-გაზეთის – "კვალის" მეშვეობით იცნობენ, რომელსაც უცხოეთში მცხოვრები ქართველები დიდი ინტერესით კითხულობენ. თანამშრომელთა ძირითადი ბირთვი საქართველოში მცხოვრები ჟურნალისტებისაგან შედგება. "კვალი" თავისი სპეციფიკით – მოცულობითა და ანალიტიკური მასალების სიმრავლით ჟურნალს უფრო ემსგავსება, მასში გამოქვეყნებულ მასალებს ყოველდღიურად 500 ადამიანი ეცნობა.

დიალოგის მონაწილეთათვის ბატონ შოთასთან შეხვედრა მრავალი კუთხით იყო საყურადღებო. საუბარი შეეხო ქართულ დიასპორას ამერიკაში, ქართული ჟურნალისტიკის პრობლემებს... ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი ამ შეხვედრის მიმართ გაზეთი "კვალის" ლიტერატურულმა კონკურსმა განაპირობა.

კონკურსის იდეა ასე დაიბადა: "როცა გაზეთისთვის ანალიტიკური და პუბლიცისტური წერილები დაგვჭირდა, აღმოჩნდა, რომ საქართველოში ასეთი მასალების დეფიციტია. სწორედ ამის მერე დავინტერესდით, როგორ აისახებოდა დღევანდელობა ქართულ ლიტერატურაში და კონკურსიც გამოვაცხადეთ," - ამბობს ბატონი შოთა ვაშაკიძე. ეს კონკურსი ქართველი მწერლებისთვის ერთგვარი სტიმული იქნება. ისინი ხომ ლიტერატურული კონკურსებით განებივრებულნი არ არიან, მაშინ როცა ასეთი ღონისძიებები თანამედროვე ლიტერატურული პროცესების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს.

შეხვედრაზე ისიც გაირკვა, რომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს ხშირად საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე მეტად, თურმე ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოები აინტერესებთ.

"კვალის" ლიტერატურულ კონკურსში თავისი ნაწარმოებით უცხოეთში მცხოვრები რამდენიმე ქართველიც მონაწილეობს. ორგანიზატორთა გასაკვირად, ამ კონკურსს რატომღაც არ გამოხმაურებიან საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი.

"კონკურსი მაღალი დონისაა, ბევრი საინტერესო ნაწარმოები შემოვიდა," - ამბობს ჟიურის ერთ-ერთი წევრი, მწერალი ზაალ სამადაშვილი.

ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ კონკურსი სისტემატური (ყოველწლიური) გახდება და მასში სულ უფრო მეტი ავტორი მიიღებს მონაწილეობას.

"კვალის" ლიტერატურული შეჯიბრის გამარჯვებული 12 დეკემბერს გამოვლინდება.



# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ოზურგეთული ამარკორდი

ნოდარ მალაზონია

### ზურმუხტიე გორგილავა

გამიგონია, ოკეანეში, ცხრაბალიანი შტორმის დროს, ერთ ტალღას გემბანიდან მეზღვაური მოუტაცია და მეორე ტალღას ისევ გემბანზედ შემოუგდიაო.

ასეთ შემთხვევებს, განსაკუთრებულს და ალბათ უფრო განგების წყალობას, მიაწერენ.

სწორედ ასევე უფლის წყალობას უნდა მივაკუთვნოთ ხერხემალგადამტვრეული ზურმუხტიე გორგილავას იმავე სკოლის შენობაში მობრუნება, რომელი სკოლიდანაც სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ იგი ფრონტზედ გაიწვიეს.

ზურმუხტიასათვის საგანგებოდ სწორედ ის პაწაწკინტელა ოთახი გამოათავისუფლეს, რომელშიაც, მახსოვს, სკოლის დამლაგებელს თავისი ხარახურა რომ ელაგა.

ოთახში ძლივძლივობით ჩადგეს ერთი ლოგინი და ერთი სკამი, რომელზედაც დღე და ღამე ზურმუხტიეს თვალცრემლიანი დედა იჯდა და უფალს, ახლა უკვე კიდევ უფრო მეტს, შვილის გადარჩენას ემუდარებოდა.

### "მივალ გურიაში, მარა..."

სამოციან წლებში, როცა ჩემთვისაც ხელმისაწვდომი გახდა პოზიტიური ფერადი ფირის ტექნოლოგია, მისმა უჩვეულო მომხიბლაობამ აღმიძრა სურვილი ადრიან გაზაფხულზე, მაშინ, როცა გურია ტყემლისა და ატმის ყვავილობით ფეთქდება, რამდენიმე დღით შემომერბინა იქაურობა და ყველაფერი, რასაც კი მოვასწრებდი, პოზიტიურ ფერად ფირზე გადამეღო.

ორი დღე არცთუ ისე ბევრი იყო იმისათვის, რომ დილიდან საღამომდე მივწვდომოდი და ფირზე აღმებეჭდა ყველაფერი მომხიბლავი, რაც ასე უსაშველოდ უხვადაა ამ დალოცვილ მხარეში.

მანქანაში ჩემთვის საჭირო ხელსაწყო ჩავაწყვე და ერთ მშვენიერ საღამოს გურიაში გავქანდი.

ჩემმა მოულოდნელმა სტუმრობამ ძალიან გაახარა მშობლები.

- წაიყვანე, შვილო, არ შეგაწუხებს, მას გაუხარდება და შენ კი არაფერი დაგაკლდება. - მითხრა დილით სახლიდან გასასვლელად გამზადებულს დედაჩემმა. - ე, გაიხედე ეგერ ფანჯარაში, უთენია ეზოშია და გელოდება.

- არ გამოვა, ლადიკო, ამჯერად "გაკატავება" (ეს მამაჩემის საყვარელი გამოთქმაა და გასეირნების სინონიმია), - ნახევრად მუდარით ვუთხარი მამაჩემს, რომელიც, როგორც მუდამ, ამ დილითაც კოხტად გამოწყობილი ნაცრისფერ კოსტიუმში, თეთრი პერანგით, ჰალსტუხით, ნაცრისფერი შლაპითა და მუნდშტუკში გარჭობილი სიგარეტით ხელში სახლის წინ "კარალიოკის" ძირას მელოდებოდა.

- წამოვალ, მამაია, არ მითხრა უარი, იცოდე. - ახლა ლადიკო შემეხვეწა.

- მამა, მე მივდივარ გაურკვეველი მიმართულებით, უნდა ვირბინო ტყეში და ღრეში, ვიცი, ბოლოს მოგწყინდება მაგი შენ...

- არა, მამა! მენიკტე (მე არ მოგიკვდე), სადაც გინდა, წამოვალ და...

- კარგი, კარგი. - დავყაბულდი მე. - მარა... მიტახუნება (ჭიქების მირტყმა) დღეს არ გამოგვივა, იცოდე.

- აჰ, კნიტის (ლუკმის) პირში ჩამდები არ ვარ, გადაირიე შენ, მაგდენი არ ვიცი ახლა მე, მანქანა და ღვინო რომ არ შეიძლება?!

მამა გვერდით მოვისვი და ჩემი "ვოლგა-ფურგუნით" გურიაში "გავიჭერით". არადა მართლა რა ლამაზია "აი დასალუპავი" გურია.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ის ორი დღე ჩემთვის მუდამ სასიამოვნო მოგონებად დარჩა. ნაწილი "დიაფილმებისა" დღემდე შემომრჩა, ნაწილი კი ჩემი გაუფრთხილებლობით, ჩამოსვლისთანავე გამიფუჭდა, რაც ასე აუნაზღაურებელ ტკივილად დამრჩა.

ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ, ოდა-ფაცხები იმ ეზოებში უკვე აღარ დგას. მათ ნაცვლად შეძლებულმა გურულებმა რკინა-ბეტონის სახლები წამოჭიმეს და წითელი კრამიტი თეთრი თუნუქით შეცვალეს, რითაც კიდევ უფრო გაღარიბდა გურიის განუმეორებელი ლანდშაფტი.

ლადიკო (ლადო მალაზონია, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარ-დეკორატორი) იმთავითვე გახალისდა. "მივალ გურიაში, მარა..." წაუღიღინა მისებურად, ჯერ ბაღნობა გაიხსენა, მერე კი ნასაკირალმა სხვაგან გადაისროლა.

იგი სანიმუშო "პარტნიორი" გამოდგა, გზადაგზა კარგ "მატივებს" მაჩვენებდა, რომელსაც აუცილებლად მისეულ არგუმენტაციასა და კომენტარებსა ურთავდა ხოლმე.

- მე პეიზაჟისტი ვარ, მამაია, მაგი გამომეპარება? მაქანე, მამა, სულძაღლიანმა ნიკოლოზის სტრაჟნიკებმა ცეცხლი წაუკიდეს ნალიას... მაქანე, მამა, კალენიკე სიამაშვილი ცხოვრობდა, დიდებული კაცი, პატიოსანი და კაი დურგალი, მაი რომ რამეს ხელს მოკიდებდა... მაქანე, მამა...

კაცი რომ ინატრებს, ყველაფერი ისე მიდიოდა, რომ მოულოდნელად შექმნილ მდგომარეობას ჩვენს შორის "კონფლიქტი" არ წამოეჭრა.

- უიმე, მამა, გააჩერე მანქანა! - უცებ იყვირა ლადიკომ. - ა, აგერ გზაზე რომ კაცი დგას, მაგი, მამა, ცნობილი აგრონომია, კაი კაცი, თუ არ წავიყვანეთ...

ჩვენ სწრაფად ჩავუქროლეთ "ცნობილ აგრონომს" და...

- რას შვრები, ბიჭო! - ისევ იყვირა ლადიკომ. - რა ქენი ეს, რას იტყვის ახლა ის კაცი?!

- მამა, სად უნდა წავიყვანოთ?! ჩვენ, შესაძლოა, აქედან ბახვამდე ოცჯერ გავჩერდეთ, მერე ან მარცხნივ წავიდეთ, ან მარჯვნივ, ან იქნებ უკანაც მოვბრუნდეთ და ვატაროთ ახლა ეს კაცი ასე აქეთ-იქით?

- კი მაგრამ, შვილო... - შეწუხდა ლადიკო.

- ა, ახლა რომ არ გააჩერო! - ისევ აფორიაქდა მამაჩემი. - გააჩერე! დავიღუპე, მომეჭრა თავი, თავმჯდომარე იყო, ბიჭო, ამ სოფლის! - ნაწყვეტნაწყვეტ ისვრის სიტყვებს მამაჩემი და საჯდომიდან ქვემოთ-ქვემოთ მიცურავს, რომ როგორმე თავმჯდომარემ თვალი არ მოჰკრას.

- გააჩერე! - ისევ მესმის, - გერასიმაა, მამა, შენ რომ დაიბადე...

მე ისევ ვერ ვაჩერებ მანქანას და ვცდილობ მამაჩემს გავაგებინო, რომ ახლა მაგათთვის არა მცალია.

- სევერიანია, მამა, სევერიანი, მაგით მიდგანა სული პირში, ყოველ ზამთარში მაგი მიგზავნის შეშას...

მე არ მესმის და მანქანით მარჯვნივ ვუხვევთ.

- ბიჭო! - ყვირის ლადიკო და ისევ ცურდება ქვემოთ. - სევერიანაა, ბიჭო, სევერიანა, სულ შენზე მელაპარაკება - რა კარგი ბიჭი გყავსო! მოგვეჭრება თავი, ნოდარია, გააჩერე, შე მამაძაღლო, თუ არ გინდა გადავხტე ახლა მანქანიდან! გააჩერე!..

დიდხანს იბრძოლა ლადიკომ და ბოლოს დამემდურა. - "ეხ, თბილისში ფუჭდება ხალხიო".


ოდა გორაზე, ნოდარ მალაზონიას ნახატი

# კარგი „ცუდი ბიჭები"

ამერიკული "ცხენის ოპერა" 100 წლისაა ნაწილი მეორე


ჯონ უეინი


ტომ მიქსი

ირაკლი მახარაძე

პირველ ვესთერნებში მოქმედება მიმდინარეობდა მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში, ყოველი გმირი მოქმედებდა დაუწერელი კანონების მიხედვით და გამოირჩეოდა თავისი ჩაცმულობითაც: "კარგი ბიჭები" ჩაცმულნი იყვნენ თეთრებში, "ცუდები" კი შავებში. საინტერესოა, რომ "ცუდი ბიჭები" როგორც წესი, მშვენივრად შეკერილ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი და ამითაც გამოირჩეოდნენ სხვა გმირებისაგან.

პირველი ასეთი "კარგი ბიჭი" იყო გილბერთ ანდერსონი, მეტსახელად "ბრონქო ბილი," ვოდევილის ფლეგმატური მსახიობი, რომელმაც 1907-17წლებში 400-ზე მეტ ვესთერნში მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ "ბრონქო ბილი" საშუალო დონის მსახიობი იყო და მისი ვესთერნებიც არ გამოირჩეოდა მაღალი მხატვრული ღირსებებით, მისი შემოქმედება გახდა ის საფუძველი, რომელზეც მომავალ კლასიკოსებს თავიანთი შედევრების შექმნის საშუალება მიეცათ.

ბრონქო ბილი შეცვალა უილიამ ს. ჰართმა, ყოფილმა კოვბოიმ, რომელმაც იმის გარდა, რომ ცხენზე ჯირითი და ლერიეტის ხმარება შეეძლო, ნიჭიერი მსახიობიც იყო. იგი კინოში საკმაოდ მოწიფულ ასაკში, 49 წლისა მოხვდა თავისი მეგობრის, რეჟისორ თომას ინსის წყალობით, იქამდე კი სახელი თეატრში შექსპირის ტრაგედიებში თამაშით მოიხვეჭა. არსებობს ლეგენდა, რომ მისი მეორე სახელი, რომელიც იწყებოდა ასო S–დან, მას შექსპირის საპატივსაცემოდ ჰქონდა. სინამდვილეში კი, ეს მისი მეორე სახელი სურეი იყო. მისი ფილმები გამოირჩეოდა ზედმიწევნითი რეალიზმით და დოკუმენტალურობით. ეს ყველაფერი მის გამოცდილებას ეყრდნობოდა, როცა იგი დასავლეთში მოგზაურობდა და ცხოვრობდა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ უილიამ ჰართმა მაყურებელს გააცნო "ცუდი-კარგი ბიჭი," ადამიანი რომელიც თავიდან დანაშაულებრივ გზას ადგას, მაგრამ შემდეგ გამოსწორდება.

უილიამ ჰართს კვალდაკვალ მოჰყვა თომ მიქსი, ბრწყინვალე კასკადიორი, როდეოს ჩემპიონი, ყოფილი რეინჯერი, რომელიც ყველა ფილმში თავისი განუყრელი ცხენით მონაწილეობდა. მიქსი ითვლება ერთ-ერთ სუკეთესო მხედრად კინოს ისტორიაში და მას ქამრის ბალთაზე ეწერა – "ამერიკის მთავარი კოვბოი" (50-იანი წლების ბოლოს ამერიკის ერთ-ერთი ტელეარხის მიერ ჩატარებულ გამოკითხვით ის ვესთერნის ყველაზე პოპულარულ მსახიობად დასახელდა, თუმცა მაშინ უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო).

ჰართის დინჯი და უფრო სერიოზული ვესთერნებისაგან განსხვავებით, მიქსმა მაყურებელს შესთავაზა მოქმედებებით დაჭირხნული და უფრო იუმორნარევი ფილმები.

30-იან წლებში ხმის დამკვიდრებასთან ერთად ეკრანზე გამოჩნდნენ მომღერალი კოვბოები - ჯინ ოთრი, როი როჯერსი, თექს რითერი და სხვები, მაგრამ ამ მუსიკალურ-სასიყვარულო ვესთერნებში, უფრო მეტი იყო გიტარაზე დაკვრა, ვიდრე სროლა. როი როჯერსზე კი ამბობდნენ რომ თავის ფილმებში "მას შეუძლია აკოცოს თავის ცხენს, მაგრამ ქალს არასოდეს." იგივე უილიამ ს. ჰართსაც უკოცნია თავისი ცხენისთვის (მას ფრიცი ერქვა), მაგრამ რა თქმა უნდა, ქალისთვის უფრო მეტჯერ. საქმე იმაშია, რომ როგორც "ველური" დასავლეთის დიდი ტრფიალი და კარგი მცოდნე, ჰართმა და ბევრმა სხვა კინოკოვბოიმ მშვენივრად უწყოდა, რომ პიონერებს დასავლეთი არა მარტო 1873 წელს გამოშვებულმა ვინჩესთერმა დააპყრობინა, არამედ ცხენმაც და ამიტომაც იყო ასეთი ფაქიზი დამოკიდებულება თავისი ოთხფეხა პარტნიორისადმი. (ვინჩესთერის ეს მოდელი ნამდვილ ფავორიტად იქცა იმდროინდელ ამერიკაში, მას იყენებდნენ მეგზურები, მონადირეები, ჯარისკაცები და ინდიელები, იარაღი ხმარებაში ძალიან მარტივი იყო. მასზე მიდიოდა 44 კალიბრის ტყვიები და ვინჩესთერ-73 ისეთი პოპულარული გახდა, რომ საყოველთაოდ ცნობილმა კომპანიამ "კოლტი" შეცვალა თავისი ცნობილი ექვსტყვიიანი რევოლვერის კალიბრი, ამან კი ორმაგად გაუადვილა საქმე იარაღის მფლობელებს, რადგან უკვე ორი სხვადასხვა იარაღისათვის მათ ერთი და იგივე კალიბრის ტყვიები სჭირდებოდათ, ეს კი ნაკლებ ტვირთს ნიშნავდა. ამ იარაღისადმი აქვს მიძღვნილი ენთონი მანს ბრწყინვალე ვესთერნი "ვინჩესთერი-73.")

30-იანი წლებში ვესთერნის ჟანრი კრიზისში აღმოჩნდა, ის თავის გადარჩენას უნდა უმადლოდეს იაფბიუჯეტიან ფილმებს, რომლებიც უამრავი რაოდენობით კეთდებოდა. ვისაც ახსოვს კინოთეატრები "კოსმოსი" და "გაზაფხული," გაიხსენებს, რომ იქ ამ ჟანრის ბევრი ნიმუში გადიოდა. ეს უმეტესად იყო ლაღი, გასართობი სანახაობა, სავსე დევნის, ჩხუბისა და სროლის სცენებით. კინოთეატრიდან გამოსვლის შემდეგ შეიძლება სიუჟეტიც არ გაგხსენებოდათ, მაგრამ მეორე წუთს ისევ მოგინდებოდათ ნახვა. იაფბიუჯეტიანი ფილმების დოღი გაგრძელდა იქამდე, სანამ ეკრანებზე არ გამოვიდა უდიდესი რეჟისორის ჯონ ფორდის ვესთერნი "დილიჟანსი" (1939წ), (საბჭოთა ეკრანებზე ის გადიოდა, როგორც "მოგზაურობა სახიფათო იქნება"), ამ ფილმმა ბოლოს და ბოლოს ვესთერნის ჟანრი აზიარა მაღალ ხელოვნებას, ხოლო ჰოლივუდის კაბადონზე გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი ჯონ უეინი.

თავისი პოპულარულობის ზენიტს ვესთერნმა 40-50-იან წწ მიაღწია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვესთერნების უმეტეს ნაწილს ისევ ჰქონდა ტრადიციული სიუჟეტური ხაზი – "ცუდი ბიჭი" "კარგი ბიჭის" წინააღმდეგ და ის რჩებოდა სტილიზებულ ნაწარმოებად ზნეობრივ თემაზე, მიუხედავად ამისა იმ წლებში გამოჩნდა ფილმები, ჟანრის შედევრები, რომლებიც უხვევდნენ ტრადიციული, გაკვალული გზიდან: "ოქსბოუს ინციდენტი" (რეჟ. უილიამ უელმანი 1943წ), "წითელი მდინარე" ( რეჟ. ჰოუარდ ჰოუქსი 1949წ), "შეინი" (რეჟ. ჯორჯ სთივენსი 1953წ), "ნაშუადღევს" (რეჟ. ფრედ ცინემანი 1952წ), "მაძიებლები" (რეჟ. ჯონ ფორდი 1956წ), აგრეთვე ენთონი მანისა და ბად ბოთიქერის ნერვიული და პირქუში ვესთერნები.

იმავე წლებში ვესთერნებს მთავარ გმირებად მოევლინენ სუსტი სქესის წარმომადგენლები - მარლენ დიტრიხი, მერილინ მონრო, ჯეინ რასელი, შელი უინთერსი და სხვა, მაგრამ ამ ფილმებმა თავიდანვე განამტკიცეს ის თეორია, რომ ვესთერნი მამაკაცების სამყაროა, სადაც კაცი არის მთავარი მამოძრავებელი ძალა და ქალი კი დამატებაა, რაც ხშირად იწვევდა ქალთა ემანსიპაციის მომხრეთა აღშფოთებას.

ქალების ბედი ზანგებმაც გაიზიარეს, რადგან უმეტეს შემთხვევაში მათ მხოლოდ მსახურების როლში აჩვენებდნენ, სინამდვილეში კი კოვბოების დიდ პროცენტს შავკანიანები შეადგენდნენ. პირველად "ნორმალური" ზანგი გამოჩნდა ჯონ ფორდის ფილმში "სერჟანტი რუთლეჯი" (1960წ). ასევე იყო მექსიკელების მაგალითზე, რომლებსაც ან ბანდიტების, ან ბრიყვების ან კიდევ კომიკური პერსონაჟების როლებში აჩვენებდნენ. აღარაფერს ვამბობ ინდიელებზე, რომლებიც ეკრანზე აბსოლუტურ ბოროტებას წარმოადგენდნენ, მხოლოდ ამ რამოდენიმე ათეული წლის წინათ დაიწყეს ფილმებში მათი იმიჯის შეცვლა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა.


უილიამ ს. ჰართი (მარჯვნივ)

მიუხედავად სხვადსხვა ცვლილებებისა, თითქოსდა ვერაფერი ვერ შეარყევდა იმ კლასიკურ, მყარ ფუნდამენტს, იმ დაკანონებულ და ხელშეუხებელ წესებს, რითაც სუნთქავდა და საზრდოობდა ვესთერნი, სანამ არ დადგა 60-იანი წლები. კინემატოგრაფისტებმა ახლებურად გაიაზრეს იქამდე დოგმად ქცეული ჟანრის ჭეშმარიტებანი - დასავლეთის ათვისება გმირი პიონერების მიერ, ინდიელთა მიმართ დამოკიდებულება და მორალურ საწყისებზე შექმნილი კლასიკური ვესთერნი, სადაც თეთრკანიანის სიმართლე იმარჯვებდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ვიეტნამის ომი გახლდათ, რომელმაც ახალგაზრდობას დაუკარგა რწმენა ამერიკის ჰეროიკული წარსულისადმი, რაზეც ასე მყარად იყო დაფუძნებული ვესთერნი. 60-იან წლებში გამოჩნდა სულ სხვა პოზიციიდან დანახული და შექმნილი ფილმები "ველური" დასავლეთის შესახებ. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, როცა ვესთერნმა 60-ანებში შეაბიჯა, დაკარგა თავისი ადრინდელი მიმზიდველობა, გახდა უფრო ნიჰილისტური და პირქუში და ხშირ შემთხვევაში "სისხლში ბანაობდა." პირველ რიგში ეს ეხებოდათ სერჯიო ლეონესა და სემ პექინპას ფილმებს.

70-80-იან წლებში ვესთერნის ჟანრმა პოპულარულობა დაკარგა, ზუსტად მაშინ გაქირავებაში ჩავარდა ორი დიდბიუჯეტიანი ვესთერნი: ართურ პენის "მისურის კლაკნილი" (1976წ) და მაიქლ ჩიმინოს "სამოთხის კარიბჭე" (1980წ). პირველისა რა მოგახსენოთ, მეორემ კი, თუმცა კომერციული თვალსაზრისით ვერ გაამართლა, ის, ჩემი აზრით, ამ ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესი ნიმუშია და კრიტიკოსებმა რატომღაც "სამოთხის კარი" თვალში ამოიღეს. რაც შეეხება კრიზისს, ალბათ ამის მიზეზი მაინც ის არის, რომ ბევრმა სხვა კინოჟანრმა შეისიხლხორცა ვესთერნის კანონები, გაიხსენეთ თუნდაც ჯორჯ ლუქასის "ვარსკვლავეთის ომები," ეს ხომ ნაღდი ვესთერნია, ოღონდ მოქმედება გადატანილია შორეულ მომავალში, ცხენებისა და დილიჟანსების მაგივრობას კოსმოსური ხომალდები ასრულებენ, კოლტებისა და ვინჩესთერების მაგივრობას კი ლაზერული იარაღი და ასეთი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება...

ვესთერნისადმი გულგრილი დამოკიდებულება ლამის ორი ათეული წელიწადი გაგრძელდა და მხოლოდ 90-იან წლებში დაიწყეს ისევ ამერიკელებმა საკუთარი უახლესი ისტორიის გახსენება. ფილმი, რომელმაც ისევ გააღვივა ინტერესი ვესთერნისადმი, ქევინ ქოსთნერის "ცეკვა მგლებთან" იყო. ამ სურათმა აჩვენა რომ ვესთერნის სიკვდილზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, ეს დაამტკიცა ორი წლის შემდეგ ქლინთ ისთვუდის შედევრმა "მიუტევებელი," ხოლო 1995 წელს ეკრანებზე ხელმეორედ გამოუშვეს სემ პექინპას "ველური ბანდა"...

ვესთერნის ჟანრს ჯერ კიდევ გააჩნია მიმზიდველობა და ჯადო, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბავშვები დღესაც თამაშობენ კოვბოებსა და ინდიელებს, მიუხედავად იმისა, რომ ეკრანზე კარდინალურად განსხვავებული გმირები ბატონობენ.

დღეს ამერიკელი კინემატოგრაფები ისევ განაგრძობენ ფილმების კეთებას "დიდი ამერიკული მითის" შესახებ, იმედი მაქვს რომ მომავალი შედევრები წინ გველის, რადგან ბევრ დიდ რეჟისორს - მარტინ სქორსეზეს, სტივენ სპილბერგს, ძმებ ქოენებს და სხვებს, ჯერ არ გადაუღიათ თავისი პირველი ვესთერნი.

# ჩემი სახელია ბონდი, ჯეიმს ბონდი

## ვიხსნათ გლობალური კულტურა კოკა-კოლიზაციისგან

თამარ ბაბუაძე

*ბოლო ორიოდე კვირა ბონდის მეორმოცე ფილმის მსოფლიო პრემიერებით აღინიშნა: ლონდონი, ბერლინი, პარიზი, ნიუ-იორკი. Die Another Day-ს გამოსვლა ზოგადად ჯეიმს ბონდის ზეიმადაც იქცა – ორმოცი წელი მსოფლიოს ეკრანზე დღესასწაულის მოსაწყობად კარგი საბაბი გამოდგა. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ გლობალიზაციისა და ჰოლივუდის ექსპანსიის ფონზე, საუბარია ბონდის, ანუ ბრიტანული ფენომენის ზეიმზე. ინგლისელებს ხომ ბონდიანას გახსენებაზე ყველაზე მეტად სწორედ ეროვნული მომენტი ამაყებთ.*



შონ კონერი



ჯონ ლეიზენბი



როჯერ მური



ტიმოთი დალტონი

■ ■ ■

ბრიტანული ფენომენი და ბონდი თავიდანვე იმიტომ დავუკავშირეთ ერთმანეთს, რომ გამოცანას – რა არის ყველაზე ბრიტანული რამ დედამიწის ზურგზე, ბევრი ასეც პასუხობს – ეს ბონდიანაა: იუმორი, სიტუაციები, გმირები, და ბოლოს, ფილმის მთავარი პერსონაჟი – ბრიტანული დაზვერვის სიმპათიური და მამაცი აგენტი, რომელიც დედოფლის უსაფრთხოებას იცავს – ბონდიანას ფანები ფილმს ყველაზე ბრიტანულ ფასეულობად ამ დეტალების გამო აღიარებენ...

გავრცელებული აზრის თანახმად, ბონდიანა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური იმიჯის შექმნაზეც ზრუნავს. ბონდის სამყაროში ხომ 1962 წლის შემდეგ (პირველი ფილმის გამოსვლის წელი) არაფერი შეცვლილა – რეალობის მიუხედავად, ფილმებში დიდი ბრიტანეთი დღესაც ნამდვილ სუპერ-სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი.

მაგალითისთვის გავიხსენოთ ეპიზოდი ფილმიდან **"აგენტი, რომელსაც ვუყვარდი"** (1977 წ.): ბოროტი სტრომბერგი საბჭოთა, ამერიკულ და ბრიტანულ წყალქვეშა ნავებს შეიპყრობს. რა თქმა უნდა, თავს აგენტი 007 გამოიჩენს, გემების დახსნას შეეცდება, მაგრამ, ბრიტანული სუპერ-სახელმწიფოს იდეიდან გამომდინარე, კავშირზე მხოლოდ ბრიტანული გემი გავა...

1997 წლის სერიაში, **"ხვალინდელი დღე არასდროს კვდება"** ძლიერი და გავლენიანი დიდი ბრიტანეთი ჩინეთთან ომის გაჩაღებას აპირებს...

ეს პატრიოტული ტენდენცია ბონდიანას ბოლო ფილმამდე მიჰყვება: Die Another Day-შიც სამყაროს გადასარჩენად ამერიკელი აგენტების ნაცვლად, ბონდი იბრძვის და, დედოფლისა და დიდი ბრიტანეთის სახელით, მიზანს აღწევს კიდეც.

სწორედ ასეთი დეტალების გამო ასკვნის კინო-ისტორიკოსი და "ბონდიანოლოგი" ჯეიმს ჩეპმენი, რომ ბონდის ფილმები ყოველივე ბრიტანულს უწევს პროპაგანდას. "თუ რეალურად, ტონი ბლერს ხშირად აბრალებენ, რომ ის ბუშის ფინიაა, ბონდის სამყაროში მთელი ეს ანგლო-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები თავდაყირა დგას", - აცხადებს ჩეპმენი.

შეიძლება, კინოისტორიკოსები საკითხს ოდნავ აზვიადებენ კიდეც. თუმცა, როდესაც ბონდის ფილმების პრო-ბრიტანულ ეპიზოდებს ნახავ, არ შეიძლება ომის თემაზე შექმნილი საბჭოთა ფილმები და მძაფრსიუჟეტიანი ჰოლივუდური ბლოკბასტერები არ გაგახსენდეს – ერთგან იდეალიზებული "ჩვენიანი" ბოროტ გერმანელებს უპირისპირდება, მეორეგან კი – მამაცი, კეთილი პოლიციელი კორუმპირებულ ამერიკელებს...

თუმცა, მათთან შედარებით, ჯეიმს ბონდის საგმირო ისტორიები უფრო მიმზიდველად გამოიყურება. ალბათ, ისევ იმიტომ, რომ ბონდიანას ფილმებში რაღაც განსხვავებულს – უფრო ბრიტანულს, უფრო დახვეწილს და უფრო ევროპულს ვპოულობთ (თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეპიზოდების ჰოლივუდურ სტილში გადაწყვეტას, ჯეიმს ბონდის სერიებშიც უხვად ვაწყდებით).

ჩეპმენიც ამიტომ ასკვნის, რომ "ბონდი აშკარა გამონაკლისია ამერიკული კულტურული იმპერიალიზმისა და გლობალური კულტურის "კოკა-კოლიზაციის ფონზე".

■ ■ ■

ბონდიანას დაუჯერებული ჯაშუშური ისტორიები გარდა ძალიან ბრიტანულისა, ძალიან გავრცელებულ კულტურულ ტენდენციად იქცა.

ჯეიმს ბონდმა, რომელიც თავის დედოფალს იცავს, სვამს მშრალ მარტინის, ატარებს ყველაზე მოდურ საათს, უყვარს ძვირფასი მანქანები და გულგრილად ვერ უყურებს მომხიბვლელ ქალებს ე.წ. ბონდიანურ მიმდინარეობას დაუდო საფუძველი.

მაგალითად, მშრალი, ანჯღრეული, მაგრამ არა გათქვეფილი მარტინის კოქტეილის დალევისას, ალბათ, ყველას ახსენდება, რომ ეს ჯეიმს ბონდის საყვარელი სასმელია. ისიც ყველამ იცის, რომ წლების განმავლობაში ბონდი მარტინის "სმირნოვით" აზავებდა, ახლა კი, მეოცე ფილმში გემოვნება შეიცვალა და "ფინლანდია" არჩია...

"ასტონ მარტინი", BMW და ძვირფასი ავტომობილები ხომ საერთოდ ცალკე თემაა. ავტომოყვარულები იმასაც ამტკიცებენ, რომ ბონდის საყვარლებს მისი მანქანები მომხიბვლელობით სულაც არ ჩამოუვარდება. გახსოვთ, ალბათ, პირს ბროსნანთან ერთად, "ოქროს თვალში" პირველი BMW-ს პრემიერაც შედგა. BMW Z3, შემდეგ 750, დაბოლოს, Z8 – ეს მოდელები, ბროსნანის ფილმების წყალობით, ავტოკომპანიამ საოცარი წარმატებით გაყიდა. ანუ, ბონდიანას კულტურამ და გემოვნებამ მსოფლიო ავტო-ბაზარიც დაიპყრო. თუ ბონდის გემოვნებას წელსაც ვენდობით, მაშინ მოდაში მალე კვლავ "ასტონ მარტინი" უნდა შემოვიდეს – მეოცე ფილმში პირს ბროსნანი ისევ საყვარელ ინგლისურ მანქანას უბრუნდება...

თუმცა, მეორეს მხრივ, ისიც რთული გადასაწყვეტია, ბონდიანა გახლავთ პოპ-კულტურის ძირითადი განსმაზღვრელი, თუ, პირიქით, ის თავად ხდება ხოლმე პოპულარული კულტურული მიმდინარეობების სარკე. ალბათ, უფრო ურთიერთგავლენასთან გვაქვს საქმე. მართლაც, ხანდახან ჯეიმს ბონდი ახალი ღირებულებების შემოთავაზების ნაცვლად, უბრალოდ პოპკულტურის ასახვით კმაყოფილდება: მაგალითად, ბონდი და სიგარეტი – აგენტი 007 წლების განმავლობაში არ ეწეოდა, უბრალოდ, იმ მიზეზით, რომ მოწევა მოდაში არ იყო. თუმცა, მეოცე ფილმში ეს ტენდენციაც შეიცვალა – Die Another Day-ში პირს ბროსნანი, კუბის საპატივსაცემოდ, მომხიბვლელად აბოლებს სიგარას.

არც საათი უნდა დაგვავიწყდეს. ტექნიკის განვითარება და ათწლეულების მანძილზე გემოვნების ცვლა ბონდის საათებზეც აისახა: ჯერ იყო "როლექსი", შემდეგ "სეიკო" და ბოლოს ბროსნანის საყვარელი "ომეგა". თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ სამივე მათგანი ჯეიმს ბონდის იარაღსაც წარმოადგენდა; კალამთან, ქამართან, კბილის პასტასთან, ჩემოდანთან და კიდევ ათას ხელსაწყოსთან ერთად, რომელთაც ბონდისთვის აგენტი Q ამზადებდა...



პირს ბროსნანი

■ ■ ■

მართალია, დღეს აგენტი 007-ის თემაზე მრავალ ფილმ-პაროდიას იღებენ (გაიხსენეთ თუნდაც ეპიზოდები "ოსტინ პაუერსიდან" ან "სიმპსონებიდან"), მაგრამ ესეც იმაზე მეტყველებს, რომ ეს გამოკვეთილად ბრიტანული კულტურა კვლავაც ერთგვარ ტონს ქმნის მსოფლიოში...

ბონდიანას კულტურის პრემიერა 1962 წელს, ფილმ "დოქტორ ნოუს" გამოსვლით გაიმართა. ამ ისტორიულ სურათში მთავარი როლი შონ კონერიმ შეასრულა. კონერი მოგვევლინა ჯეიმს ბონდად შემდეგ ფილმებშიც: "სიყვარულით რუსეთიდან", "ოქროს თითი", "ქუხილი", "შენ მხოლოდ ორჯერ ცხოვრობ".

შემდეგ გაირკვა, რომ პირველი ჯეიმს ბონდი ჰონორარით უკმაყოფილო იყო და პროდიუსერებიც იძულებულნი გახდნენ, როლზე უცნობი ავსტრალიელი, ჯორჯ ლეიზენბი მიეწვიათ. აღსანიშნავია, რომ ლეიზენბის 1969 წელს გამოსულ ფილმამდე "მისი უდიდებულესობის საიდუმლო სამსახურში" მხოლოდ რეკლამებში იღებდნენ. თუმცა, მალე მან თავად განაცხადა უარი ფილმში მონაწილეობაზე და 1971 წლის სურათში "ბრილიანტები სამუდამოდ" ის ისევ პირველმა ბონდმა შეცვალა.

1973 წლიდან კი ბონდიანას ისტორიაში როჯერ მურის ხანგრძლივი და წარმატებული ეპოპეა იწყება. მური პირველად ფილმში "იცოცხლე და დაე, სხვა მოკვდეს" გამოჩნდა. მას სხვა სერიებიც მოჰყვა: "ოქროს პისტოლეტიანი კაცი", "ჯაშუში, რომელსაც ვუყვარდი", Moonraker, "მხოლოდ შენი თვალებისთვის", "რვაფეხა", "მოკვლის უფლება" – ეს ის ფილმებია, რომლებშიც მურმა 007-ის დაუვიწყარი სახეები შექმნა.

1987 წელს გამოსულ The Living Daylights-ში კი უკვე ტიმოთი დალტონის "პრეზენტაცია" გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ მან სულ ორ ფილმში მიიღო მონაწილეობა, უნდა ითქვას, რომ პირს ბროსნანის გამოჩენამდე, ისიც ერთობ პოპულარული ბონდი იყო.

1995 წელი კი 007-ის ისტორიაში პირს ბროსნანის გამოჩენით აღინიშნა. ირლანდიელი მსახიობი ყველაზე წარმატებული და ყველაზე დიდი ფინანსური მოგების მომტანი ბონდი გახდა.

"ოქროს თვალი", "ხვალინდელი დღე არასოდეს კვდება", "სამყარო არ არის საკმარისი", "სიკვდილისთვის სხვა დღე აირჩიე" – ბონდიანას ამ უკანასკნელ სერიებში მაყურებელმა პირს ბროსნანი და ჯეიმს ბონდი ერთმანეთთან ისე გააიგივა, რომ ირლანდიელი მსახიობის სხვა როლში წარმოდგენა ბევრს შეუძლებელიც ეჩვენება.

■ ■ ■

ის თეთრი საცურაო კოსტუმი, რომელიც ურსულა ანდრესს 1962 წელს ეცვა, ორმოცი წლის შემდეგ სტაფილოსფრად "შეიღება" და ჰოლი ბერის ტანს მოერგო: ზღვიდან ამოსვლის კლასიკური სცენა "ოსკაროსან" მსახიობს მიანდეს. დღეს, მეოცე ფილმის პრემიერის შემდეგ, ბერი იხსენებს იმ წუთს, როდესაც ზღვიდან ამომავალი ურსულა ანდრესი იხილა: "შინ, ტელევიზორთან მოწყენილი ვიჯექი და ვცდილობდი, რომელიმე არხზე რაიმე საინტერესო მეპოვა. მაშინ ვნახე პირველად ეს ცნობილი სცენა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა".

სანამ ჰოლი ბერი ანდრესის სცენის გადათამაშებას შესძლებდა, ბონდიანაში მრავალმა ცნობილმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. ფერადკანიან ბერიმდე 007-ის ბედი და სიყვარული გაიზიარეს: ურსულა ანდრესმა, დანიელა ბიანკიმ, დაიან რიგმა, ჯეინ სეიმურმა, გრეის ჯონსმა, ბარბარა ბახმა (ცხოვრებაში რინგო სტარის მეუღლე), კაროლ ბუკემ, მარიამ დ`აბომ, სოფი მარსომ; ხოლო ცნობილი ინგლისელი მსახიობი ჯუდი დენჩი ბონდიანას რამდენიმე ფილმში ბონდის უფროსის, აგენტი M-ის როლს ასრულებს.

პრინციპში, მათ პერსონაჟებზე დაკვირვებითაც ცხადი ხდება, თუ როგორ იცვლებოდა წლების განმავლობაში ბონდიანური ღირებულებები, ტრადიციები და ქალები. როგორც ჰოლი ბერი აღნიშნავს, წლიდან წლამდე ბონდის მეგობარი გოგონები სულ უფრო დამოუკიდებლები, ჭკვიანები და პრინციპულები ხდებიან. მართლაც, თუ უწინ ბონდის შეყვარებულები ძირითადად გარეგნული ნიშნით გამოირჩეოდნენ, თანდათან ისინი ჭკუისა და დამოუკიდებლობის გამო უფრო დააფასეს. Diamonds Are Forever-ში ბონდის საყვარელი ტიფანი კეისი ერთი თავქარიანი ქალია. ის სპეც-ოპერაციების დროს ხშირად ქმნის სახიფათო სიტუაციებს, გიჟდება "ტიფანის" სამკაულებზე და აცხადებს, რომ საერთოდაც, "ტიფანის" ერთ-ერთ მაღაზიაში დაიბადა, როდესაც დედამისი საქორწინო ბეჭედს ყიდულობდა.

ბონდის გოგონების დაჭკვიანება ბარბარა ბახის გმირით იწყება. ფილმში The Spy Who Loved Me ბახის პერსონაჟი ერთდროულად ძლიერი აგენტი და კარგი საყვარელიც არის. Moonraker-ის გოგონა, ჰოლი გუდჰედი კი ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალი ქალია ბონდის საყვარლებიდან. პირს ბროსნანის მეწყვილე ქალბატონებს კი უკვე პროფესიებიც ბოლომდე "ემანსიპირებული" აქვთ. "ოქროს თვალში" ნატალია სიმიონოვა კომპიუტერულ პროგრამებს წერს.

■ ■ ■

ბონდიანურ კულტურას, უპირველეს ყოვლისა, ფილმში გამოყენებული მუსიკა ქმნის. ოცივე სერიის გამაერთიანებელი მელოდიის ავტორი ჯონ ბერია. პროდიუსერებმა თავიდანვე მომგებიანი ტაქტიკა შეიმუშავეს – ბონდის ყოველი ფილმის მთავარი სიმღერა იმ დროის ნამდვილ ვარსკვლავს უნდა შეესრულებინა. "ოქროს თითში" შირლი ბეისის დებიუტი შედგა. ერთ-ერთ პროდიუსერს, ზალცმანს ბეისის სიმღერა საშინლად არ მოსწონდა, უბრალოდ, ახლის დასაწერად დრო აღარ რჩებოდა და იძულებულნი გახდნენ, ფილმში მუსიკა მაინც გამოეყენებინათ. თუმცა, მალე სიმღერა Goldfinger ნამდვილ ჰიტად იქცა. ბეისიმ კი ბონდის კიდევ ორი ფილმისთვის იმღერა.

პროდიუსერები ტაქტიკას არც შემდეგ ღალატობდნენ და მთავარი სიმღერის შემსრულებლებლად ვარსკვლავებს ირჩევდნენ: ლუი არმსტრონგს, ტომ ჯონსს, ნენსი სინატრას, პოლ მაკარტნის, კარლი საიმონის, შინა ისტონს, რიტა ქულიჯს, Duran Duran-ს, a-ha-ს, გლედის ნაითს, ტინა ტერნერს, შერილ ქროუს, Garbage-ს და ბოლოს, მადონას, რომელიც მეოცე ფილმში ეპიზოდურ როლსაც ასრულებს.

ბონდიანას მუსიკაზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. თუმცა, არის ერთი ახალი ამბავი: მეოცე ფილმის გამოსვლას ლონდონში ახალი კომპაქტ-დისკის პრემიერაც დაემთხვა. კრებულს ძალიან "ბონდური" სახელწოდება აქვს: The Best of Bond... James Bond. მისი შემქმნელები ირწმუნებიან, რომ ოც სიმღერიანი დისკი ყველა აქამდე გამოსულ მსგავს კრებულს ჯობია. კიდევ ერთი არამუსიკალური ცნობა: ბონდის მეოცე ფილმის პრემიერასთან დაკავშირებით, 15-წლიანი შესვენების შემდეგ, აშშ-ს წიგნის მაღაზიებში კვლავ გამოჩნდა იან ფლემინგის სამი რომანი. ბონდიანას წიგნებს Penguin გამოსცემს. გამომცემლობა აპირებს ფლემინგის თოთხმეტივე რომანი დაბეჭდოს თავიდან.

## სახალისო ბონდიანა

იან ფლემინგს სურდა, თავისი ლიტერატურული გმირისთვის ყველაზე უბრალო და იოლად დასამახსოვრებელი სახელი შეერჩია, დაახლოებით ისეთი, როგორიც გავრცელებული ბობი სმიტია. ბევრი ფიქრის შემდეგ, არჩევანი ჯეიმს ბონდზე შეაჩერა. ეს სახელი შემდეგ უკვე მთელმა მსოფლიომ გაიგო, დაიმახსოვრა და მეტ-ნაკლებად შეიყვარა კიდეც.

■ ■ ■

ჯეიმს ბონდის პირველი ფილმის "დოქტორი ნოუს" დიდ ეკრანზე გამოსვლამდე, ფილმის დისტრიბუტორებს მის წარმატებაში ეჭვი ეპარებოდათ: "რაც არის, არის, თუ დავკარგავთ, მხოლოდ ერთ მილონ დოლარს!" – მაინც თავს იმშვიდებდნენ ისინი (სწორედ მილიონი დოლარი დაჯდა ფილმის გადაღება). გავიდა წლები და ბონდიანას ბოლო ფილმის მხოლოდ ბიუჯეტი 130 მილიონი დოლარით განისაზღვრა, მოგებად კი ფილმის მწარმოებლები კიდევ უფრო მეტ მილიონებს ელიან.

■ ■ ■

ბონდიანას დასაწყისში, იგივე ეჭვებისა და შიშის გამო, "დოქტორი ნოუს" პროდიუსერებმა თავიანთ კომპანიას სიტუაციისა და განცდების შესაფერისი სახელი დაარქვეს: სათაურიდან - Eon Productions Ltd, Eon სამი სიტყვის - "ყველაფერი ან არაფერის" შემოკლებაა (everything or nothing).

■ ■ ■

შონ კონერიმ სახელი გაითქვა, როგორც პირველმა ჯეიმს ბონდმა. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ბონდიანას პირველ ფილმზე კონერიმდე როჯერ მურისა და კერი გრანტის კანდიდატურებს განიხილავდნენ.

■ ■ ■

ჯეიმს ბონდის მე-12 რომანის სათაურს იან ფლემინგი ძველ იაპონელ პოეტს დაესესხა. ლექსში იყო ფრაზა: "ადამიანი ორჯერ ცხოვრობს – ერთხელ, როდესაც იბადება და მეორედ – როდესაც სიკვდილს თვალებში ჩახედავს". ფლემინგს ეს ნათქვამი ისე მოეწონა, რომ თავის რომანს ასეც დაარქვა: You Only Live Twice (შენ მხოლოდ ორჯერ ცხოვრობ). ბუნებრივია, იგივე სათაური შეუნარჩუნეს ბონდის მეხუთე ეკრანიზაციასაც. სცენარი კი მისთვის მწერალმა როალდ დალმა დაწერა.

■ ■ ■

ბონდიანას მე-12 ფილმს For Your Eyes Only, იტალიაში იღებდნენ. იმ წელს ყველაზე თბილი და უთოვლო ზამთარი დაემთხვა. პროდიუსერები იძულებულნი გახდნენ, გადასაღებ მოედანზე თოვლი თვითმფრინავებით ჩაეზიდათ. უცნაური "მგზავრებით" დატვირთულმა თვითმფრინავებმა იტალიაში დაახლოებით 45 გზა გააკეთეს.

■ ■ ■

რიგით მეოთხე ჯეიმს ბონდი ტიმოთი დალტონი თავისი გმირის ყველა ტრიუკს თავად ასრულებდა. ის დუბლიორს არც ყველაზე რთული აკრობატული ან, უბრალოდ, საშიში ნომრების შესრულების დროს შეუცვლია.

■ ■ ■

შონ კონერი შესანიშნავად მართავს ვერტმფრენებს. ბონდიანას მეორე ფილმში, From Russia With Love მან თავისი უნარი გამოიყენა და შოტლანდიას ყოველგვარი დახმარების გარეშე გადაუფრინა. სხვათა შორის, ეს ფილმი შონ კონერის საყვარელი ფილმია.

■ ■ ■

ბონდის პირველ გოგონას, ურსულა ანდრესს როლი მას შემდეგ შესთავაზეს, რაც პროდიუსერებმა ჟურნალში მისი ფოტო – ანდრესი სველ, ტანზე შემოტმასნილ მაისურში ნახეს და აღფრთოვანდნენ. ალბათ, აქედანვე გაჩნდა ერთი კლასიკური ეპიზოდის იდეა: სველ საცურაო კოსტუმში გამოწყობილი ურსულა ანდრესი ზღვიდან ამოდის.

■ ■ ■

ფილმში From Russia with Love მეტროდან გაქცევის სცენაში რეჟისორმა 200 ცოცხალი ვირთხა "ათამაშა". თუმცა, გადაღებების დროს ვირთხები გაიქცნენ და მადრიდის ქუჩებს შეესივნენ.

■ ■ ■

დიდ ეკრანზე Goldfinger-ის გამოსვლისას ხალხმა არაფერი იცოდა ლაზერის შესახებ. ამიტომ ფილმმა მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო. ეს ფილმი მსოფლიოს მასშტაბით, კინო-მოყვარულთა 75 პროცენტს აქვს ნანახი.

■ ■ ■

ფლემინგის რომანში Goldfinger პერსონაჟი ფუსი გალორი ლესბოსელი იყო. თუმცა, ფილმში მას, იმ პერიოდის სოციალური კლიმატიდან გამომდინარე, სექსუალური ორიენტაცია შეუცვალეს.

■ ■ ■

ფილმში Diamonds Are Forever დასაბრუნებლად შონ კონერის კინოს ისტორიაში ყველაზე დიდი ხელფასი გადაუხადეს. კონერიმ თანხა შოტლანდიის საგანმანათლებლო სისტემას შეწირა.

■ ■ ■

ფილმებს The Spy Who Loved Me და Moonraker არა მარტო მსგავსი სცენარი აქვთ, არამედ ფილმებში გამოყენებულია მსგავსი ეპიზოდებიც. მაგალითად, ბრძოლის სცენა, რომელიც პირველი ფილმისთვის გადაიღეს, მეორეში გამოიყენეს.

■ ■ ■

ფილმში License to Kill, ბრიტანეთის დაზვერვის MI 6-ის ოფისი კეი უესტში, ჰემინგუეის სახლშია მოწყობილი. როდესაც ბონდს იარაღის გამოყენების ლიცენზიას ართმევენ, ბონდი ჰემინგუეის ცნობილი რომანის გასახსენებლად ამბობს: "როგორც ვატყობ, ეს იარაღთან დამშვიდობებაა".

■ ■ ■

"პაინვუდ სტუდიოს" გადატვირთული გრაფიკის გამო, Goldeneye "როლს როისის" ქარხანაში გადაიღეს. თავად ფილმი Goldeneye კი ფლემინგის იამაიკური რეზიდენციის სეხნიაა. ვილა Goldeneye-ში მწერალი სიცოცხლის უკანასკნელ წელს ცხოვრობდა.

■ ■ ■

ფილმ Tomorrow Never Dies-ს გადაღებებზე ბონდის გოგონა ტერი ჰეტჩერი ორსულად იყო. მან ამ როლის შესრულებით მეუღლეს აუხდინა ოცნება, რომელიც, თურმე, ნატრობდა, რომ მისი ცოლი ერთხელ მაინც ყოფილიყო ჯეიმს ბონდის შეყვარებული.

■ ■ ■

ბონდის ბოლო გოგონა, ჰოლი ბერი პირველი მსახიობია, რომელიც ბონდიანაში "ოსკარით" დაჯილდოებული მივიდა.




ბონდის უკანასკნელი ფილმის პლაკატი

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(93) 202767

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა 39-53-41 მარინა 877 495-490

იყიდება 2-სართულიანი ახალაშენებული, უცხოვრებელი სახლი ევრორემონტით. პლატოდან 1 კმ-ში. სოფ. თხინვალა. ს/ფასი 25 000 $. 63 23 23

იყიდება სახლი ლისის ტბიდან 1 კმ-ში, ახალაშენებული, უცხოვრებელი, იდეალურ მდგომარეობაში. სოფ. თხინვალა. ს/ფასი 24 000$. 64 26 62

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული ბინა აღმაშენებელზე. 96 30 33

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება ორთაჭალაში 2-სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.) სარდაფით, დიდი მიწის ნაკვეთით. 75 53 55

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## კომერციული ფართი

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე 27 000-ად. 77 19 40, 92 24 64 ტარიელი

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814, 8(24) 1798 95

## მანქანები

იყიდება "ფორდ მონდეო" 1994 წლის, ვერცხლისფერი, ახალჩამოყვანილი, საუკეთესო მდგომარეობაში. ელ.შუშები, ლუქით, მაგნიტოფონით. 63 23 23

სასწრაფოდ და იაფად იყიდება "07" და "ტავრია". 63-29-26

## სწავლება

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს მათემატიკაში. შესაძლებელია ბინაზე მისვლითაც. 51 53 14 შალვა

მოვამზადებ მოსწავლეებს, აბიტურიენტებს და ნებისმიერ მსურველს გერმანულ ენაში. 71 13 44 ნინო

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ჰომეოპათი-ნევროპათოლოგი მკურნალობს ნევროზს, შიშს, შაკიკს. თევდორე მღვდლის 11. საგზაო პოლიკლინიკა, 23-ე კაბინეტი. 13.00-15.00. 39 47 28

შევისყიდი გერმანულ და ინგლისურ სერვიზებს, ჩეხურ ბროლს, როკოკოს, ვერცხლის, ფრაჟეს, მელქიორის, ბრინჯაოს ნივთებს, ჩეხური ბროლის ჭაღებს, რუსეთის თეთრეულს. 68 08 51

კომპიუტერული ქსელების მონტაჟი და გამართვა სწრაფად და ხარისხიანად. 98 44 30 კოტე

იყიდება პენტიუმ 3. 370 $. 8(93) 37 46 63, 39 95 71 გიორგი

იყიდება "ლაი-ლაი"-ს სიმბარათი. ფასი 20 ლარი. 8(93) 20 04 10, 93 18 51 (საღამოს), მირზა

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55, 8(93) 39 82 84

მერქნის დახერხვა, გამოხარშვა, გამოშრობა ევროსტანდარტით. 8(99) 18 20 28

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

საუკეთესო საჩუქარი საყვარელი ქალისათვის. 62 59 09 ნანა.

**გთავაზობთ** წიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფვა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

**შეგასწავლით!**
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
**ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.**

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

**სადილი ყველას**
შაბათს, 7 დეკემბერს "კათარზისში" კვლავ ღია კარის დღეა, ანუ ნებისმიერ მსურველს შეუძლია 12-დან 17 საათამდე მოვიდეს სათნოების სახლში და აქ, ადგილზე მიირთვას ცხელი გემრიელი სადილი.
**დარეკეთ 11-დან 17-საათამდე 95-16-46.**
**დავით აღმაშენებლის 121.**

**თბილისის სახელმწიფო აკადემიის პიტოთერაპიული კლინიკა მკურნალობს:**
1. ქოლეცისტიტი - მწვავე, ქრონიკული (ნაღვლის ბუშტის გამორეცხვა ზონდირების გარეშე, ჩირქი, მარილები, ბილიარული სიმკვრივე);
2. ფილტვების გასუფთავება ლორწოსაგან აქტიურ და პასიურ მწეველებში;
3. თირკმელებში ცილა, სილა, კენჭი, ჩირქი;
4. მაგნიტური ტალღების და კომპიუტერული სისტემების უარყოფითი გავლენის მოხსნა.
**ტელ: 25-31-83, მაია**
**მის:** მე-9 საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა, I სართული

**განცხადება**
ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:** ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:** მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყებულია. მიღება გრძელდება.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.








გაზეთი 24 საათი
2.12.02 N-183

## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ღამე და თუთიყუში", რეჟ.
დას: 17 სთ; ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**
გოგა ჯაფარიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

**გალერეა „ჰობი„**
"ტროპიზმი-4", ბესო ქართველიშვილის, ლაშა წიწიკაშვილისა და გიგა ხუტაშურის ნამუშევრების გამოფენა
ქართველ მხატვართა ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"წითელი ურჩხული", რეჟ. ბრედ რატნერი
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ, ფასი 5-8 ლარი
"მობრძანდით კოლინვუდში", პროდიუსერები: სტივენ სოდერბერგი, ჯორჯ კლუნი; რეჟ. ჯოზეფ რუსო
დას: 16:00 სთ; 18:00 ფასი 5,6 ლარი

**„რუსთაველი„**
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51", რეჟ. ბონი იუ
დას: 17:00; 21:30 სთ. ფასი 5,7 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„ელისო„**
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51",რეჟ. ბონი იუ
დას: 19:00 სთ, ფასი 5 ლარი
"გაქცევა ელისეის მინდვრებიდან"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

## TV პროგრამა 2 დეკემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 "ხალხის პირისპირ"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერაკლე
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი "დუეტები" მთ.როლებში გვინეტ პელტროუ, პოლ ჯამატი
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
09.55 მხ. ფილმი "უსახო კაცი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.00 ოქროს მართვე
14.30 "ევროპის ბუნებრივი დიდებულება"
15.15 მხ. ფილმი "სტრინგერი"
16.45 სერიალი "ძილის წინ"
17.00 "რამპა"
17.05 50-50
17.40 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "მრავალჟამიერ"
19.05 ვიდეოპატრული
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
20.55 ტელესერიალი "რვაფეხა"
21.50 "დრო და ფული"
22.00 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" - "ატრაქციონები"
23.00 დღის ბოლოს
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "კაცია და ბუნება"

### პირველი სტერეო

08.00 "ტოროლა"
08.20 "კვირის საუკეთესო ხულიგანი" გამეორებით
10.00 "ინფორმატორი" განმეორებით
11.00 "მუს. ათეული" განმეორებით
11.45 - 13.45 პაუზის გარეშე
13.45 მუსიკა
17.00 "კომედია" მხ.ფ. "სამი ლტოლვილი"
19.00 "ინფორმატორი" განმეორებით
19.30 ვიდეორადიო
21.00 "რუსული ათეული" განმეორებით
21.45 აბა გამოიცანი კადრი
22.40 პოლიტპააპარაცი
23.00 უცნობი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "კოდი "ენიგმა".
01.45 "ღამურა" მხ.ფ. "სიცრუის დეტექტორი"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.40 მიზანი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "შიშველი მახა"

### ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20 მსოფლიო სპორტი
12.30 "ვარსკვლავები გვამცნობენ"
14.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.00 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.00 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "დამნაშავე"
10.20 მხ.ფ. "თევზი, სახელად ვანდა"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "აცტეკთა მზე"
22.30 ბურთი და მოედანი
22.50 მხ.ფ. "დამხვრჩვალთა ათვლა"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი
15.00 მხ. ფილმი "ზოროს ნიღაბი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "რაზმი ზღვის კატები"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "ჯორჯ ფიცჯერალდ კენედი"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. ფილმი "კარიერა"
11.45, 13.35, 14.40, 16.20, 23.35 მუსიკა
12.00 ქართ. მხ. ფილმი "ცისფერი მთები"
13.50 მულტფილმი "ქალთევზა"
14.55 მხ. ფილმი "მომაკვდინებელი მთვარე"
16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება"
17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
18.30 მულტფილმი "მეფის ასული შეჰრაზადი"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
20.30 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
21.00 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ტომარი პორტუგალიის უდიდესი მონსტრი"
22.00 მხ.ფ. "ქურდად დაბადებული"
00.00 მხ.ფ. "გლადიატორი"

### აჭარის ტელევიზია

07.00-19.00 არხის პროფილაქტიკა
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 ვესთერნი "მხედარი გვიახლოვდება"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 1 სერია
01.10 თრილერი "გავარვარებული შაბათი"
03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
03.30 ისტორიული ფილმი "რანი"

### VII არხი

09.10 "აჩიკუდა"
09.40 "სახლიდან გაუსვლელად"
10.20 მელოდია
10.50 "სახლიდან გაუსვლელად"
11.15 ანიმაცია
11.30 "სახლიდან გაუსვლელად"
12.05 "ობიექტივი"
12.55 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 "სახლიდან გაუსვლელად"
13.55 ამინდის პროგნოზი
14.05 სპორტი
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.45 მელოდია
19.00 "აჩიკუდა"
19.45 "სახლიდან გაუსვლელად"
20.20 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.10 "ლა-ლა-ლა"
21.55 მოკლედ... სპორტი
22.00 "სახლიდან გაუსვლელად"
22.20 "კინოკლუბი " - "ოფიცერი და ჯენტლმენი"
00.45 "სახლიდან გაუსვლელად"
01.25 "ბიორითმი" - მადონა

### ОРТ

07.00 "Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 "Что? Где? Когда?
11.35 Док. детектив. "Суд над призраком".
12.10, 16.15, 00.30 "Фабрика звезд"
12.40 Следствие ведет Колобков
13.15 Комедия "ПОХИЩЕНИЕ ЦЕНТРОВОГО"
14.55 "Граф Дракула"
15.25 "Гении и злодеи". Гюстав Эйфель
16.45 "Ералаш"
17.00 Худ.фильм "ЖИВОТНЫЕ-НАРУШИТЕЛИ, ИЛИ ПОЧЕМУ СОБАКИ ЛАЮТ, А ШИМПАНЗЕ СМЕЮТСЯ"
18.00 "Большая стирка"
19.25 "Шутка за шуткой"
20.00 Жди меня
21.00 "Кто хочет стать миллионером?"
22.00 Время
22.40 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА", 1 с.
23.45 Независимое расследование
01.00 Ночное "Время"
01.20 Искатели. "Пропавшее сокровище Ивана Грозного"
01.50 "Охота на ангела"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!"
09.45 Комедия "МОНАХИНИ В БЕГАХ"
11.35 "ХА". Маленькие комедии
11.45, 18.20, 00.30 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 "Цена успеха"
13.15 "Вера, надежда, любовь"
14.10 "Экспертиза"
14.30 Вести-Москва. Неделя в городе
15.20 "Что хочет женщина"
16.20 Худ.фильм "ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!"
18.50 "Дорожный патруль"
19.05 Вести-Спорт
19.20, 21.35 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 "Спокойной ночи, малыши!"
21.55 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2"
22.50 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ" 00.00 "Вести +"
00.45 "Дежурный по стране". Михаил Жванецкий
01.40 "Синемания"
02.05 "Дорожный патруль"

Image CENTRE

პროფესიული განვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო
"იმიჯ-ცენტრი"



ფეხბურთი

# "დინამო" შემოდგომის ჩემპიონია

*ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-20 ტურმა, პრაქტიკულად, წერტილი დაუსვა პირველ ეტაპს. გამოვლინდა როგორც ზეექვსეული, რომელიც მომავალ წელს საპრიზო ადგილებს გაითამაშებს, ისე იმ ექვსი გუნდის ვინაობაც, რომლებიც საუკეთესოთა კამპანიაში ადგილის შენარჩუნებას შეეცდებიან.*

მიხეილ აბაიშვილი

მე-20 ტური კიდევ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ თბილისის "დინამო" კიდევ ერთხელ მოწყდა მთავარ ჯგუფს და უახლოეს მდევარს, ქვეყნის ჩემპიონ "ტორპედოს", მთელი ოთხი ქულით გაუსწრო. "დინამომ" მეორე წრეში ყველა ძირითად კონკურენტთან ითამაშა და დარჩენილ ორ მატჩში აუტსაიდერებს, "ბათუმს" და "დილას" შეხვდება. ერთი სიტყვით, დიდი მარჩიელობა არ არის საჭირო, რომ პირველ ეტაპზე "დინამოს" სოლიდური უპირატესობით გამარჯვება იწინასწარმეტყველო.

ტურის ცენტრალური შეხვედრა, რომლის შედეგმაც "დინამოს" "შემოდგომის ჩემპიონის" ტიტული გაუნაღდა, ქუთაისის გივი კილაძის სახელობის სტადიონზე გაიმართა - "ტორპედომ" "ლოკომოტივს" უმასპინძლა. ამ მატჩამდე "ტორპედოს" 19 ტურში მხოლოდ 2 წაგება ჰქონდა, რომელთაგან ერთი სწორედ რკინიგზელთა აქტივში იყო. ლიდერთან ორქულიანი ჩამორჩენის გარდა, ქუთაისელებისთვის ესეც საკმაოდ გამაღიზიანებელი ფაქტორი იყო. თამაშის დაწყებამდე მასპინძელთა მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც მხოლოდ რევანშს მიიჩნევდნენ მისაღებ შედეგად და მეტოქის შანსებს მინიმალურს უწოდებდნენ. ქუთაისელთა და ეროვნული ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირი, იონანიძე კი სულაც დარწმუნებული იყო თავისი გუნდის გამარჯვებაში. თუმცა, არც ცაკარიასი და კომპანია ჩავიდნენ ქუთაისში გულხელდაკრეფილები. მართალია, ბერძნული წარმოშობის სამხრეთამერიკელ მწვრთნელს დიდი ილუზიები არ ჰქონდა, მაგრამ მატჩის წინ გამოთქმული მისი პროგნოზი (იგი გუნდების შანსებს 50/50-ზე აფასებდა) ზუსტი აღმოჩნდა.

მატჩი მასპინძელთა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა და, სიუჟეტის მიხედვით, ზუსტად "ჩაჯდა" მაღალი ევროპული სტანდარტების ფორმატში. ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გახსნა მასპინძელთა ნახევარმცველმა ბაბუნაშვილმა და "ტორპედო" ერთგოლიანი უპირატესობით გავიდა შესვენებაზე. მეორე ტაიმში სტუმრები გააქტიურდნენ და მათმა შეტევებმაც თითქმის ბოლო, 88-ე წუთზე გამოიღეს შედეგი. ქულის მომტანი გოლი ჭიჭვეიშვილის ანგარიშზეა. დარჩენილ დროში ვერც ჩემპიონმა და ვერც ვიცე-ჩემპიონმა ვითარების შეცვლა ველარ შეძლო.

სანამ გასული ჩემპიონატის ორი საუკეთესო გუნდი ქუთაისში არკვევდა ურთიერთობებს, ზეექვსეულში მოხვედრის თეორიული შანსის მქონე "მერანი" თბილისის "დინამოს" მასპინძლობდა. ოთარ გაბელიას გუნდს აუცილებლად უნდა დაემარცხებინათ კრიზისდაძლეული "დინამო". თუმცა, არც ეს იქნებოდა საკმარისი, თუ გორში ჩასული ფოთის "კოლხეთი" "დილას" მოუგებდა. ზღვისპირელები 0:3 დამარცხდნენ. მაგრამ "მერანი" გაისად მაინც ქვეექვსეულში გააგრძელებს ასპარეზობას. მართალია, ალექსიძის მიერ 78-ე წუთზე გატანილს მერანელმა ქადაგიძემ 87-ეზე უპასუხა, მაგრამ იმავე ალექსიძემ 90-ე წუთზე ზუსტად შეასრულა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა და "დინამომ" 2:1 გაიმარჯვა.

არც "ვიტ ჯორჯიამ" გაუშვა ლიდერებთან მიახლოების შანსი - ფინანსურ კრიზისში მყოფი და თბილისში ძლივს ჩამოსული ზესტაფონის "მეტალურგი" იოლად დაამარცხა (4:1) და მესამე ადგილზე მყოფ "ლოკომოტივს" ერთი ქულითღა ჩამორჩება. ვიტელთაგან ამ მატჩში წყვილ-წყვილი გოლებით თავი გამოიჩინეს ბერელიძემ და მელქაძემ.

**საქართველოს ჩემპიონატი**
**XX ტური**

| | |
|---|---|
| **ტორპედო – ლოკომოტივი** | **1:1** |
| **მერანი – დინამო** | **1:2** |
| **ვიტ ჯორჯია – მეტალურგი** | **4:1** |
| **ბათუმი – მილანი** | **3:0** |
| **გორდა – სიონი** | **0:0** |
| **დილა – კოლხეთი** | **3:0** |

| [illegible] | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 16 | 2 | 2 | 45:8 | 50 |
| ტორპედო | 20 | 14 | 4 | 2 | 40:12 | 46 |
| ლოკომოტივი | 20 | 14 | 5 | 4 | 30:10 | 44 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 14 | 1 | 5 | 05:10 | 40 |
| სიონი | 20 | 9 | 3 | 8 | 24:23 | 30 |
| კოლხეთი | 20 | 8 | 3 | 9 | 20:30 | 27 |
| ბათუმი | 20 | 5 | 5 | 10 | 16:24 | 22 |
| მერანი | 20 | 5 | 5 | 10 | 22:34 | 20 |
| დილა | 20 | 5 | 3 | 12 | 14:28 | 18 |
| მეტალურგი | 20 | 5 | 1 | 14 | 11:43 | 18 |
| მილანი | 20 | 3 | 4 | 13 | 11:40 | 13 |
| გორდა | 20 | 4 | 1 | 15 | 19:55 | 13 |

ჩოგბურთი

# რუსების ბენეფისი



REUTERS

*გამარჯვებული მიხაილ იუჟნი თანაგუნდელების გარემოცვაში*

**დევისის თასის ფინალი**

**საფრანგეთი – რუსეთი 2:3**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მარატ საფინი** | 6 | 6 | 7 | | |
| **სებასტიან გროსჟანი** | 3 | 2 | 6 | | |
| **პოლ-ანრი მატიე** | 6 | 6 | 3 | 5 | 4 |
| **მიხაილ იუჟნი** | 3 | 2 | 6 | 7 | 6 |

წყვილთა თანრიგში განცდილი მარცხის შემდეგ, რუსებმა ევგენი კაფელნიკოვი დაასვენეს. აშკარაა, რომ ელცინის მეგობარი საუკეთესო ფორმაში არ იმყოფება. გადამწყვეტ, მეხუთე შეხვედრაში პოლ-ანრი მატიეს მიხაილ იუჟნი დაუპირისპირდა.

მანამდე, მსოფლიოს მესამე ჩოგანმა მარატ საფინმა ფრანგების პირველი ნომერი სებასტიან გროსჟანი დაამარცხა და როგორც შემდგომში გაირკვა, რუსეთის ნაკრების საბოლოო გამარჯვებას დაუდო საფუძველი.

მატიესა და იუჟნის შეხვედრის დებიუტი რუსს კარგს არაფერს უქადდა. ფრანგმა პირველი ორი პარტია მოიგო და ალბათ, მასპინძელთა საბოლოო გამარჯვებაში ეჭვიც აღარავის ეპარებოდა, მაგრამ იუჟნიმ, თითქოს გამოცვალესო, აბსოლუტურად სხვა თამაში შესთავაზა თავის ახალგაზრდა მეტოქეს. მატჩის ინტრიგა მეოთხე სეტში გათამაშდა: მატიე თავის მოწოდებაზე 4:2-ს იგებდა, მაგრამ იუჟნიმ შესაშური ენერგია გამოამჟღავნა და თამაშში გარდატეხა შეიტანა. ჯერ მეტოქის მოწოდება აიღო, შემდეგ ანგარიში გაათანაბრა და ბოლოს სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა. ეს უკვე გამარჯვება იყო. მატიემ შეცდომების დაშვებას მოუხშირა და თავის მოწოდებაზე სამი გეიმი წააგო. საბოლოოდ, უაღრესად დრამატულ ბრძოლაში მიხაილ იუჟნიმ იმარჯვა და რუსეთის გუნდს თავისი არსებობის ისტორიაში პირველი დევისის თასი მოაგებინა.

ძიუდო

# ზვიადაურის ოსტატობა მასტერსზეც გამოჩნდა

*წლევანდელი სეზონი ქართული ძიუდოს სკოლისთვის უხვმოსავლიანი აღმოჩნდა. ყველაზე დიდ შედეგს კი მათ მიაღწიეს ბაზელში, ნაციათა მსოფლიო ჩემპიონატზე ანუ მსოფლიო თასზე, როდესაც პლანეტის მეორე ნაკრების სახელი მოიპოვეს. შემდეგ კომერციული ტურნირების ჯერიც დადგა. ამ ტიპის შეჯიბრებებზე პირველ წარმატებას მოსკოვის ასიათასდოლარიან გრანპრიზე მივაღწიეთ. შემდეგ მასტერსის რიგიც მოვიდა - აქაც წარმატება.*

ბიბა ბურასაშვილი

ძიუდოს ისტორიაში პირველ მსოფლიო მასტერსის ტურნირს რუმინეთის დედაქალაქმა უმასპინძლა. ტატამზე მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტები იყვნენ მიწვეულნი. ბუქარესტში ასპარეზობის უფლება მიეცათ მხოლოდ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატსა და ახლახან დასრულებულ გრანპრიზე საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს. ბუნებრივია, მიწვეულთა შორის იყვნენ მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომრებიც. საერთოდ კი, ძიუდოისტთა მასტერსის პოლიტიკას თუ განვსაზღვრავთ, ყოველივეს ერთი რამ უდევს საფუძვლად - მასტერსი ძიუდოისტთა (და არა მარტო მათ) ყველაზე პოპულარულ შეჯიბრებად იქცეს. ამას ადასტურებს ნახევარმილიონიანი საპრიზო ფონდი და ისიც, რომ ასპარეზობის თითოეულ წონით კატეგორიაში მონაწილეობის უფლება აქვს რეიტინგის საუკეთესო ოთხეულს. მასტერსის მნიშვნელობას ხაზს უსვამს არა მარტო ელიტურ ძიუდოისტთა მონაწილეობა, არამედ ორთაბრძოლების განსასჯელად მიწვეული მსაჯთა კვალიფიკაციაც. ის, რომ პრესტიჟულ ძიუდოისტთა ტურნირს რუმინეთი მასპინძლობს, შემთხვევითი არ უნდა იყოს.

საქმე ის არის, რომ გრანპრისა და მასტერსის გათამაშებათა თავიდათავი ცნობილი პრომოუტერი, რუმინელი იონ ცირიაკია, რომელიც, ძირითადად, საჩოგბურთო კომერციული ტურნირებითაა დაკავებული. ცირიაკსა და მის გუნდს განზრახული აქვთ, ძიუდო, დიდი საერთაშორისო ტურნირების მეშვეობით, კიდევ უფრო პოპულარული გახადონ. ამისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია გრანპრის ასპარეზობები, რომლებიც 2001 წლიდან ეწყობა. გრანპრის რუკა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ქალაქებს, როგორებიცაა: მონაკო, რიო-დე-ჟანეირო, დუბაი, მოსკოვი და სევილია. მასტერსის მასპინძლობის პატივი კი ცირიაკმა დაიტოვა. ერთი სიტყვით, ბუქარესტში დიდი ბრძოლები გაიმართა. "სალა პოლოვალენტას" დარბაზში 18 ქვეყნის 58 ძიუდოისტი ქალ-ვაჟი გავიდა ტატამზე. როგორც წესი, სადებიუტო ასპარეზობებში თითზე ჩამოსათვლელი ქვეყნები მონაწილეობენ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ბუქარესტში ძიუდოს ფუძემდებლებს – იაპონელებსა და მათ მეზობლებს კორეელებს არ უჭიდავიათ, შეჯიბრება მაინც წარმომადგენლობითი გამოდგა. ტურნირი ნოკაუტის სისტემით ჩატარდა. შვიდი წონითი კატეგორიიდან თითოეულში ოთხ-ოთხი ძიუდოისტი გამოდიოდა. პაექრობები, ფაქტობრივად, ნახევარფინალებიდან



REUTERS

*ზურაბ ზვიადაური (მარჯვნივ) ფრედერიკ დემონფაკონთან ორთაბრძოლაში*

დაიწყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემპიონობისთვის ორი შეხვედრის მოგება იყო საჭირო. თუმცა, თითოეული მონაწილე ოლიმპიური თამაშებისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებული ან პრიზიორი გახლდათ. ამ მხრივ გამონაკლისი აღმოჩნდნენ გათამაშების მასპინძლები, რომლებიც ნაკლებად გამოირჩეოდნენ ტიტულებით. რუმინეთში მიწვეულთა შორის იყვნენ ნესტორ ხერგიანი (60კგ), დავით ქევხიშვილი (73კგ) და ზურაბ ზვიადაური (90კგ). მას შემდეგ, რაც მათ საკვალიფიკაციო წრე გადალახეს, ფინალში პაექრობის უფლებაც მოიპოვეს. ხერგიანმა პირველივე ორთაბრძოლა "იპონით" წააგო ევროპის ორგზის ჩემპიონთან, აზერაბაიჯანელ ელჩინ ისმაილოვთან. თუ მეორე ორთაბრძოლაშიც იგივე გამეორდებოდა, ხერგიანი პრიზიორთა მიღმა დარჩებოდა, მაგრამ ამჯერად მან იყოჩაღა - უტიტულო მასპინძელი იულიან სურლა "იპონით" დაამარცხა და მესამე ადგილი დაიკავა. იგივე სცენარით წარიმართა ქევხიშვილის პაექრობებიც. პირველი ორთაბრძოლა ოლიმპიურ ჩემპიონთან, იტალიელ ჯუზეპე მადალონისთან "იუკოთი" წააგო, რუს მსოფლიო ჩემპიონთან, ვიტალი მაკაროვთან კი უშეცდომოდ იჭიდავა და, "იპონით" გამარჯვებულმა, მესამე ადგილი დაიკავა. ზვიადაურს პირველ მეტოქედ უჩინო მასპინძელი შეხვდა. რუმინელმა ვალენტინ ბუსანუმ ქართველს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ზვიადაურმა სუფთად - "იპონით" დაამარცხა ბუსანუ. მეორე ორთაბრძოლა შედარებით დაძაბულად კი წარიმართა, მაგრამ ზვიადაური აქაც მეტოქეზე ძლიერი აღმოჩნდა. მეტოქედ კი ჰყავდა მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, ფრანგი ფრედერიკ დემონფაკონი, რომელსაც თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს ძიუდოისტად მიიჩნევენ.

კრივი

# ტრავმირებული კანდელაკი გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება

*ქართველი პროფესიონალი მოკრივე გიორგი კანდელაკი გუშინ გაემგზავრა მინსკში, სადაც იგი მსოფლიო კრივის კავშირის (WBU) ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაუფლებლად მოემზადება.*

პაატა თოთაძე

21 დეკემბერს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, კანდელაკი რუს ალექსანდრ ვასილიევს მის მშობლიურ ქალაქ სანკტ-პეტერბურგში შეხვდება. გიორგისთან ერთად მინსკში გაემგზავრა მისი პირადი მწვრთნელი ზურაბ გუნიაც. კანდელაკი ოპტიმისტურად არის განწყობილი. ცოტა ხნის წინათ მან სერიოზული ტრავმა მიიღო, მაგრამ მკურნალობის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. ეს კი კანდელაკს ბრძოლისთვის სათანადოდ მომზადების იმედს აძლევს.

ქართველი მოკრივე ბელორუსში 17 დეკემბრამდე დარჩება, მერე კი სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრება. "ტრავმამ ძალიან ამირია გეგმები. ბოლო ორი კვირაა, მარჯვენა ხელის ტკივილის გამო, სრულყოფილად ვერ ვვარჯიშობ. მარჯვენით მთელი ძალით ვერ ვურტყამ. რა თქმა უნდა, ამან ხელი შემიშალა, მაგრამ თუ ამ დღეებში საბოლოოდ გამივლის ტკივილი, ვფიქრობ, მომზადებას მოვასწრებ. მთავარია, სპარინგ-პარტნიორებთან ვარჯიშის საშუალება მომეცეს. მინსკში 6-რაუნდიანი "სპარინგები" მექნება. სამოყვარულო კრივისგან განსხვავებით, პროფესიულში სპარინგული ბრძოლები ჩვეულებრივისგან დიდად არ განსხვავდება - იგივეა დაძაბულობა, დარტყმის სიძლიერე, ტემპი. ასეთ დროს კი ჯანმრთელად ყოფნა აუცილებელია. მთავარი ბრძოლა, ცხადია, სანკტ-პეტერბურგში მელის. მისი შედეგი კი, ძირითადად, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოვემზადები მინსკში", - განაცხადა გიორგი კანდელაკმა "24 საათთან" საუბარში, მინსკში გამგზავრების წინ.

ზურაბ გუნია უფრო ფრთხილად ეკიდება კანდელაკის მდგომარეობას და მომავალ ბრძოლას. მწვრთნელის თქმით, მოულოდნელმა ტრავმამ წინასწარ შედგენილი განრიგი თავდაყირა დააყენა. ბრძოლის გადადებაზეც კი იყო საუბარი, თუმცა, კანდელაკმა ორთაბრძოლაზე თანხმობა განაცხადა. "გიორგი ფიზიკურად კარგად არის მომზადებული. ვარიანში ის, ძირითადად, ფიზიკურ გამძლეობაზე ვარჯიშობდა. ოპტიმალურ ფორმას კი, ალბათ, მიაღწევს მინსკში, სადაც მას საგანგებოდ შერჩეული ოთხი სპარინგ-პარტნიორი დაეხმარება. მთავარია, ტრავმა არ გაუმიზეზდეს", - განაცხადა მწვრთნელმა.

მინსკში ქართველ მოკრივეს ბელორუსის კრივის ფედერაციის წარმომადგენლები დახვდებიან და სასტუმროში დააბინავებენ. 2 დეკემბერს ის მსუბუქად ივარჯიშებს, ადაპტაციის პერიოდსაც გაივლის. 4 დეკემბრიდან კი სრული დატვირთვით შეუდგება ვარჯიშს.



*კანდელაკი თბილისის აეროპორტში*

რაგბი

# დათვური ნახევარფინალი

*ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ფავორიტად მიჩნეულმა ბათუმის "დათვებმა" გუშინ უმცროსი "დათვების" დამარცხებით ფინალის საგზური მოიპოვა. ახლა ლევან მგელაძის შეგირდებს გადამწყვეტ მატჩამდე ორკვირიანი შესვენება აქვთ. მომავალ შაბათს კი გამოვლინდება ის გუნდი, რომელიც "დათვებს" ჩემპიონობას შეეცილება.*

პაატა თოთაძე

**საქართველოს ჩემპიონატი**
**ნახევარფინალი**

**დათვები - დათვები-2 26:10**

**დათვები:** *მარგველაშვილი (ღლონტი), ბალანჩივაძე (ცნობილაძე), დადუნაშვილი (მოქია), პავლოვი, ბერიძე, ცხვედიანი (საყვარელიძე), სვანიძე, უჩავა, კიკაჩეიშვილი (ხელაძე), კიკნაძე, ტორაძე, კაპანაძე, პინჩუკოვი (აშვეთია), კ. ელოშვილი, ე. ძაგნიძე.*
**3 ლ.** - *კ. ელოშვილი, უჩავა, ცხვედიანი,*
**1 გ.** და **3 ჯ.** - *კიკნაძე.*

**დათვები-2:** *კეპულაძე (ბარამიძე), მოლაშხია (თათევოსიანი), პაპავა, პარწიკანაშვილი, ალიქაძე, კიკვიძე, სოსელია, ხაჟომია, გიორგაძე, ჩუბინიძე, შავაძე, ს. ევგენიძე, სვინტრაძე, გ. ევგენიძე, დავლაძე.*
**1 ლ.** - *ს. ევგენიძე*
**1 გ.** - *დავლაძე*
**1 ა.** - *ჩუბინიძე*

"მატჩი რომ ასე დასრულდებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ახლა მთავარია, დამარცხებულებმა დასკვნები გამოიტანონ და მომავალ თამაშამდე შეცდომები გამოასწორონ. წინ ხომ ფინალში გასასვლელი უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა", - განუცხადა მატჩის შემდეგ "24 საათს" აჭარის რაგბის კავშირის გენერალურმა დირექტორმა მერაბ დანელიამ. რა თქმა უნდა, ბათუმელებს სურთ, ფინალი თავიანთი გუნდების მონაწილეობით იხილონ, თუმცა, ეს უაღრესად ძნელი იქნება, რადგან თბილისის "ლოკომოტივი" ზედიზედ მესამე ჩემპიონობას უმიზნებს, მაგრამ, სჯობს, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ. გუშინ კი "დათვები 2"-მა, მცდელობის მიუხედავად, უფროს "დათვებს" ვერაფერი დააკლო. "დათვების" მთავარი მწვრთნელის, ლევან მგელაძის თქმით, მისმა გუნდმა გუშინდელი მატჩი ფინალისთვის მოსამზადებლად გამოიყენა. "საკმაოდ დაძაბული, საინტერესო მატჩი გამოვიდა, თუმცა, ფინალი გაცილებით რთული იქნება. არა აქვს მნიშვნელობა, ისევ ამ გუნდთან მოგვიწევს თამაში თუ "ლოკომოტივთან", - აღნიშნა მგელაძემ.

პირობითი მასპინძლების ("დათვების") უპირატესობა მატჩის დებიუტშივე გამოიკვეთა. პირველ ტაიმში, მეტოქის ჩათვლის მოედანზე, მათ ორჯერ დაამიწეს ბურთი. პირველად ეს კახა ელოშვილმა გააკეთა, მერე კი "დათვების" მორკინალებმა მეტოქის ლელოს მოედნიდან ხუთი მეტრის მოშორებით დანიშნული შერკინება ლელოდ აქციეს. "დათვების" შერკინებას საქართველოს ჩემპიონატში უძლიერესად თვლიან. ამიტომ მასთან ჭიდილი მეტოქეს ძალიან გაუჭირდა. დიდმა "დათვებმა" პატარები 12-ქულიანი სხვაობით გაისტუმრეს შესვენებაზე - 15:3.

სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა: უპირატესობას კვლავაც მგელაძის შეგირდები ფლობდნენ, თუმცა, შესვენების შემდეგ მეტოქეც შედარებით უკეთ ათამაშდა. ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა ტაიმის შუაგულში, რასაც ბერიძის უხეშობა მოჰყვა. ამის გამო მსაჯმა მას 10 წუთით დაატოვებინა მოედანი. ცალკე აღნიშვნის ღირსია სულხან ევგენიძის ლელო. მან, დაახლოებით, 60 მეტრი ირბინა და ისე დაამიწა ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანზე.

მოკლედ

**ფეხბურთი.** ლევერკუზენის "ბაიერს" რთული პერიოდი დაუდგა. კლუბი გერმანიის ჩემპიონატში მე-14 ადგილზე იმყოფება და ფეხბურთელებსაც კარგავს. "ჰამბურგთან შეხვედრაში ფეხის ტრავმა მიიღო ბრაზილიელმა ლუციომ, რომელიც ოპერაციას საჭიროებს. ექიმები ვარაუდობენ, რომ ლუციო მწყობრში ზამთრის არდადეგების დასრულებამდე ვერ ჩადგება. არდადეგები კი გერმანიაში 25 იანვარს მთავრდება. ლევერკუზენური კლუბის ლაზარეთში ამ დროისთვის იმყოფება: ხუანი, ნოვოტნი, შებეჩკენი და პასკალ ოჟიგვე.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** წლევენდელ სეზონში ბარსელონის "ესპანიოლი" ესპანეთის პრიმერადივიზიონის აშკარა აუტსაიდერია, ამიტომ კლუბის აქციონერთა შეკრებაზე გუნდის გაძლიერება გადაწყდა. კატალონიურ კლუბს რამდენიმე ფეხბურთელი დაემატება. მათ შორის მადრიდის "რეალის" ფორვარდი ხორხე ლოპეს ტოტე. "ესპანიოლის" ხელმძღვანელობამ სამეფო კლუბს უკვე მიმართა წინადადებით, რომლის თანახმად კატალონიელები მადრიდელთაგან ტოტეზე ყველა უფლებას, სეზონის ბოლომდე, 360,5 ათას ევროდ გამოისყიდიან. ხორხე ტოტეს სამეფო კლუბთან კონტრაქტი 2003 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს. თუმცა ფეხბურთელმა უარყო "რეალის" ხელმძღვანელობის წინადადება კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ ხორხე ვალდანო და ვისენტე დელ ბოსკე ტოტეს ახალ 2-წლიან კონტრაქტს კიდევ შესთავაზებენ და თუ კვლავ უარი მიიღეს, მაშინ "ესპანიოლთან" მოლაპარაკებას გამართავენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ცნობილი ავსტრალიური მედია-მაგნატი რუპერტ მერდოკი რომის "ლაციოს" შეძენას აპირებს. "Gazzetta dello Sport"-ის ცნობით, კლუბის ფინანსური საქმეები, რომელსაც კომპანია "Cirio" ფლობს, ამჟამად ცუდად ვითარდება. მიუხედავად ამისა, იტალიის ჩემპიონატში გუნდი საფუძვლიანად დამკვიდრდა მესამე ადგილზე. გაზეთის ცნობით კომპანია მერდოკის წარმომადგენლები რომში დღეს ჩავლენ და "ლაციოს" მფლობელებთან მოლაპარაკებებს გამართავენ. კლუბის პრეს-სამსახური ყოველგვერი კომენტარისგან თავს იკავებს. "ლაციოს" პრეზიდენტმა სერჟიო კრანიოტიმ კი განაცხადა, რომ კომპანია "Cirio"-ს რეორგანიზაციის პროცესში კლუბის გაყიდვას აპირებს. შეგახსენებთ, რომ კრანიოტის კომპანიის ვალი 150 მილიონ ევროზე მეტს შეადგენს. "ლაციოს" შეძენის სხვა მსურველთა შორის ასახელებენ ლიბიის ლიდერ მუამარ კადაფისაც. "Gazzetta dello Sport"-ი კი აღნიშნავს, რომ რუპერტ მერდოკისთვის, იტალიის კომერციულ ბაზარზე "ლაციო" უკვე მეორე ობიექტია. ადრე კომპანია იტალიის ერთ-ერთი ტელეკომპანიის შესყიდვასაც გეგმავდა. სპორტულ კლუბებში, სადაც მერდოკი აქციათა მსხვილ პაკეტს ფლობს, ფიგურირებენ ინგლისური კლუბები - "მანჩესტერ იუნაიტედი", "ლიდს იუნაიტედი" და "ჩელსი".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბილბაოს "ატლეტიკის" ნახევარმცველმა ხოსება ეჩებერიამ უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ სატრანსფერო დერეფნის ამოქმედების შემდეგ მიუნხენის "ბაიერნში" გადაბარგდება. ბავარიელებმა ტრავმის გამო სეზონის ბოლომდე დაკარგეს ბოსნიელი ჰასან სალიჰამიჯიჩი და ეჩებერიას უპრობლემოდ შეეძლო მისი შეცვლა. "ბილბაოში ყველაფერი მომწონს - განაცხადა ფეხბურთელმა - კლუბთან კონტრაქტი 2004 წლამდე მაკავშირებს. ასე რომ დრო კიდევ მაქვს. თანაც ვერ ვხედავ მიზეზს, რომელიც კონტრაქტის გაგრძელებაში ხელს შემიშლის".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელობამ კომენტარის გარეშე დატოვა გაზეთ "სანის" ინფორმაცია, რომ კლუბის ავსტრალიელ მეკარე მარკ ბოსნიჩს ხელფასი ჩამოერთვა და დოპინგთან დაკავშირებული პრობლემების გამო დისკვალიფიკაცია მიიღო. დოპინგ-ტესტმა ავსტრალიელი მეკარის ორგანიზმში მარიხუანის კვალი აღმოაჩინა. თუ განმეორებითი ტესტიც ანალოგიურ შედეგს აჩვენებს, მაშინ ბოსნიჩი ერთწლიან დისკვალიფიკაციას მიიღებს. ბოლო ინფორმაციით "ჩელსის" მენეჯერმა ტრევორ ბერჩმა ბოსნიჩს წერილით შეატყობინა, რომ საქმის ვითარების ბოლომდე გარკვევამდე მას ხელფასი ჩამოერთვა. ამ საკითხთან დაკავშირებით ბერჩმა გუშინ მხოლოდ ეს თქვა: "ეს არის კლუბისა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საშინაო საქმე. მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარე მარკ ბოსნიჩმა "მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ტრავმისა და გუნდში ფაბიენ ბარტეზის მოსვლის შემდეგ დაკარგა. ფეხბურთელი "ჩელსიში" გადავიდა, სადაც ისევ კონკურენტის - იტალიელი კარლო კუდიჩინის ჩრდილში მოექცა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუმინელი მცველი კრისტიან კივუ სეზონის ბოლოს დატოვებს ამსტერდამის "აიაქსს" და მადრიდის "რეალში" გადაბარგდება. კლუბის დირექტორის ერი ვან ეიდინის განმარტებით, ამჟამად კივუ მხოლოდ 22 წლისაა და ისეთ კლუბში გადასვლა, როგორიც მადრიდის "რეალია" მის თამაშს მხოლოდ გააუმჯობესებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მადრიდის "რეალი" იაპონიაში ჩავიდა სადაც საკონტინენტთაშორისო თასის მორიგი შეხვედრისთვის მოემზადება. მატჩი ხვალ გაიმართება. სამეფო კლუბის მეტოქე, ლიბერტადორესის თასის მფლობელი, პარაგვაის "ოლიმპია" იქნება. ევროპელთათვის ეს მატჩი პრინციპული ხასიათის იქნება. "რეალი" რამდენიმე წლის წინათ არგენტინის "ბოკა ხუნიორსთან" - 1:2 დამარცხდა და თავის მდიდარ კოლექციას ვერ შემატა რიგით მესამე საკონტინენტთაშორისო თასი. "ამ სეზონში ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა პრესტიჟული ჯილდოს მოპოვებაა - გამოტყდა მადრიდელთა მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე - "ბოკასთან" განცდილმა მარცხმა გულში ხინჯი დაგვიტოვა, ამიტომ გვინდა მოვიგოთ. ვაჩვენოთ შესანიშნავი თამაში და ჩვენი კლუბის მაღალი სტატუსი დავადასტუროთ". შეგახსენებთ, რომ "რეალი" თასს ფლობდა 1960 წელს, როცა "პეკაროლი" დაამარცხა და 1998 წელს. ამჯერად სამეფო კლუბმა არგენტინის "რივერ პლეიტს" სძლია. "თამაში 90წუთის განმავლობაში გრძელდება, ამიტომ შევეცდებით ჩვენი საქმე ვაკეთოთ და დავივიწყოთ "ბოკა ხუნიორსთან" განცდილი მარცხი. "ოლიმპიას" შესახებ თითქმის არაფერი ვიცით, მაგრამ ლიბერტადორესის თასის მოგება თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. დღეს ამან გამარჯვებაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს, რადგან ჩვენს მეტი ამ საქმეს არავინ გააკეთებს" - განაცხადა მადრიდელთა კაპიტანმა ფერნანდო იერომ.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ოთხშაბათს ლონდონში ფორმულა 1-ის ტექნიკური კომისიის სხდომა გაიმართება. დღის წესრიგში მრავალი საკითხი იქნება - ტესტების პროცედურა, ბოლიდებისთვის დამხმარე ელექტრონული სისტემების შემუშავება და სხვა. ფორმულა 1-ის ბოსი ბერნი ეკლსტოუნი გაცვეთილი საბურავების დაბრუნების მომხრეა. ტექნიკური კომისიის სხდომა სხვა გარემოებებთან ერთად არის გაფართოებული სხდომის მოსამზადებელი პერიოდიც, რომელიც 12 დეკემბერს გაიმართება. შემდეგ კი მონაკოში FIA-ს საბჭო შეიკრიბება და საბოლოო გადაწყვეტილებას ჩამოაყალიბებს.



J 1 რუსიკო ამაშუკელი ასაკი-18, 182/81/62/92, თვალი - თაფლის, თმა - შავი



J 2 სოფიკო კუპრაძე ასაკი-13, 172/81/63/90, თვალი - ცისფერი, თმა - წაბლის



J 3 გვანცა ფოფხაძე ასაკი-15, 177/84/64/91, თვალი - ყავის, თმა - წაბლის



J 4 ნინო ოსაძე ასაკი-17, 177/81/68/93, თვალი - მწვანე, თმა - წაბლის



J 5 ბელა ძაგანია ასაკი-17, 178/81/68/93, თვალი - თაფლის, თმა - ღია წაბლის



J 6 თათა ქართველიშვილი ასაკი-16, 178/89/61/90, თვალი - მწვანე, თმა - წაბლის


გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საცურაო კოსტუმი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

# ინტერნიუსი აცხადებს სოციალური რეკლამების იდეების კონკურსს

გამარჯვებული იდეების ავტორები დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით

კონკურსის შესახებ სრული ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ 22 ნოემბრიდან ინტერნიუსის ოფისში: ჭავჭავაძის პროსპექტი 74, მე-6 სართული
ტელ.: 25-38-60/61/62
ან ვებგვერდზე:
http://www.internews.ge/geo/psa/

პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2002 წლის 20 დეკემბერი

„ქართული ელექტრონული გამომცემლობა"
სერიიდან „ლიტერატურა თანამედროვე კარიერა-ლექსიკონისთვის"
გთავაზობთ
ქართული ფოლკლორი

თქვენი ელექტრონული ბიბლიოთეკისათვის!

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"





პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"



მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.